სპეციალური ანგარიში

კოვიდ-19-ის პანდემიის ბავშვთა უფლებებზე ზემოქმედების შეფასება საქართველოში

თბილისი 2022

ანგარიში მომზადებულია გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით, ევროპის ბავშვთა ომბუდსმენთა ქსელის (ENOC) და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ერთობლივი პროექტის ფარგლებში. მასში გამოთქმული მოსაზრებები, არ არის აუცილებელი, ასახავდეს ევროპის ბავშვთა ომბუდსმენთა ქსელის (ENOC) და გაეროს ბავშვთა ფონდის ოფიციალურ თვალსაზრისს.

მკვლევრები:

გოგა ხატიაშვილი

მარიამ ჯანიაშვილი

ნანა გოჩიაშვილი

აქრონიმები

CEDAW – კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ

CERD – რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენცია

CESCR – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი

CRC – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენცია

CRC – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კომიტეტი

CRIA – ბავშვთა უფლებებზე ზემოქმედების შეფასება

CRPD – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი

CRPD – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია

ENOC – ევროპის ბავშვთა ომბუდსმენთა ქსელი

ICCPR – სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი

ICESCR – ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი

UNICEF – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი

სსიპ – საჯარო სამართლის იურიდიული პირი

სსკ – სისხლის სამართლის კოდექსი

სსსკ – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

სსსმ – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე

შსს – შინაგან საქმეთა სამინისტრო

შშმ – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

შინაარსი

შესავალი 6

1. კვლევის მეთოდოლოგია 9

1.1. კვლევის მიზანი და ამოცანები 9

1.2. კვლევის დიზაინი 10

1.3. კვლევის ეტაპები 11

1.3.1. პირველი ეტაპი - სკრინინგი - პანდემიის გავრცელების პრევენციის მიზნით მიღებული ზომების იდენტიფიცირება 11

1.3.2. მეორე ეტაპი - მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი 11

1.3.3. მესამე ეტაპი - მტკიცებულებების შეგროვება და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია 11

1.3.3.1. კვლევაში მონაწილეები 12

1.3.3.2. სამაგიდო კვლევა 13

1.3.3.3. ბავშვების ჩართულობა და მონაწილეობა 16

1.3.3.4. ინტერვიუები გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან და მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციებთან 17

1.3.4. ბავშვების მონაწილეობის შეფასება შეზღუდვების (ზომების) მიღების გადაწყვეტილების პროცესში 17

1.3.5. მონაცემების ანალიზი - გავლენის შეფასება 18

1.3.6. კვლევის ანგარიშის მომზადება - დასკვნა და რეკომენდაციები 18

1.3.7. CRIA-ს გამოქვეყნება და გავრცელება 18

1.4. შეზღუდვები და გამოწვევები 19

2. CRIA-ს ფარგლებში შერჩეული ზომების მიმოხილვა 20

კოვიდ-19-ის პანდემიის პრევენციის მიზნით მიღებული ზომების გავლენა ბავშვთა მიმართ ძალადობაზე 26

1. ბავშვის ძალადობისა და ფიზიკური ხელშეუხებლობისგან დაცვის სტანდარტების ანალიზი 26

1.1. COVID-19-ის პრევენციის მიზნით მიღებული ზომების გავლენა ბავშვთა მიმართ ძალადობაზე 27

1.2. დისტანციური სწავლება და იზოლაცია 28

1.3. სამეწარმეო/ეკონომიკური საქმიანობის შეჩერება 38

1.4. სერვისების დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლა და რესურსების ნაკლებობა 40

1.5. სავალდებულო იზოლაციის/კარანტინის რეჟიმის დაწესება 45

1.6. ძირითადი მიგნებები 46

რეკომენდაციები 48

კოვიდ-19-ის პანდემიის დროს მიღებული ზომების ზეგავლენა ბავშვთა ზოგადი განათლების უფლებაზე 50

1.1. ბავშვის ზოგადი განათლების უფლება, საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტების მიმოხილვა 50

1.2. სწავლის დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა 53

1.2.1. ზოგადი რეგულაციები და გამოწვევები 54

1.2.2. დისტანციური სწავლების რეჟიმის ზეგავლენა ინკლუზიური განათლების სისტემაზე 61

1.3 ეკონომიკური საქმიანობების შეჩერება 63

1.4. სერვისების ფიზიკური გაცემისა და ტრანსპორტის შეზღუდვა 64

1.5. ვაქცინაციის დანერგვის ეროვნული გეგმით გათვალისწინებული პრიორიტეტები 65

1.6. ძირითადი მიგნებები 66

რეკომენდაციები 68

კოვიდ-19-ის პანდემიის დროს მიღებული ზომების სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება 70

1.1. კოვიდ-19-ის პანდემია და სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების უფლებების დაცვის გამოწვევები 70

1.2. კოვიდ-19 და ინფორმაციის მიღების უფლება 71

1.3. კოვიდ-19 და საჭირო სერვისებზე წვდომის შენარჩუნება 73

1.4. ზომების ზეგავლენა ჯანმრთელობის დაცვის უფლებაზე 76

1.4.1. ფსიქიკური ჯანმრთელობა და ქცევითი სირთულეები 84

1.5. კოვიდ-19 და თავისუფალი დროის დაგეგმვა, თამაშისა და დასვენების უფლება 86

1.6. კოვიდ-19 და ოჯახთან ურთიერთობის შენარჩუნება 87

1.7. ძირითადი მიგნებები 88

რეკომენდაციები 91

დანართი 93

დანართი 1 - კვლევის ფარგლებში განხორციელებული ვიზიტები და შეხვედრები 93

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი არის სპეციალური ანგარიში, რომელიც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ევროპის ბავშვთა ომბუდსმენთა ქსელის (ENOC), ასევე, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ინიციატივითა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული ოფისისა და გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის მიერ მხარდაჭერილი პროექტის, „კოვიდ-19-ის პანდემიის დროს ბავშვთა უფლებებზე ზემოქმედების შეფასება საქართველოში", ფარგლებში მოამზადა. სპეციალურ ანგარიშში ასახულია COVID-19-ის პანდემიის დროს სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომების ბავშვის უფლებებზე ზემოქმედების შეფასების მიგნებები.

სახელმწიფოს მიერ მიღებულ ზომებს შორის უნდა გამოიყოს საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2020 წლის 21 მარტს გამოცემული დეკრეტი[1], რომლის საფუძველზეც გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და შეიზღუდა საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით („ადამიანის ძირითადი უფლებები") გათვალისწინებული გარკვეული უფლებები და თავისუფლებები. დეკრეტით განსაზღვრულ შეზღუდვებს შორის იყო მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვა, ხოლო შესაბამის ორგანოებს მიეცათ უფლება, მთავრობის მიერ დადგენილი იზოლაციის ან კარანტინის წესების დარღვევისათვის პირი იძულებით გადაეყვანათ შესაბამის დაწესებულებაში. დეკრეტი შეეხო სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებებს. შეიზღუდა ნებისმიერი სახის შეკრება, მანიფესტაცია და ადამიანების თავშეყრა, გარდა მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა. შეიზღუდა შრომის თავისუფლება, პროფესიული კავშირების თავისუფლება, გაფიცვის უფლება და მეწარმეობის თავისუფლება. მთავრობას მიეცა უფლება, დაედგინა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ", „ზოგადი განათლების შესახებ", „პროფესიული განათლების შესახებ", „სპეციალური პროფესიული განათლების შესახებ", „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონებით დადგენილი წესისაგან განსხვავებული წესები და პირობები.

სახალხო დამცველის აპარატის შესწავლის თანახმად,[2] კოვიდ-19-ის პანდემიის დაწყებიდან, თითქმის ყველა მიმართულებით, ბავშვის უფლებების დაცვა ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, კერძოდ: კიდევ უფრო დამძიმდა იმ ბავშვების მდგომარეობა, რომლებიც მოკლებულნი არიან ოჯახურ გარემოს, არა აქვთ წვდომა სათანადო რესურსებზე, აქვთ ძალადობის გამოცდილება და საჭიროებენ სხვადასხვა სარეაბილიტაციო მომსახურებას. ამასთანავე, პანდემიის პერიოდში გაიზარდა ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ძალადობის მოწმედ ყოფნის რისკები და კიდევ უფრო შემცირდა მათი გამოვლენის მექანიზმები. ბავშვთა მიმართ ძალადობის რისკების ზრდა, ძირითადად გამოიწვია დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამ, იზოლაციაში ყოფნამ და კერძო სამართლის

[1] *საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის დეკრეტი №1 „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის* გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ", https://matsne.gov.ge/ka/document/view/4830372?publication=0.

[2] საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2020 წელი", 2021; ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3mxFRBU [ბოლოს ნანახია 2021 წლის 4 ოქტომბერი].

სუბიექტებისათვის სამეწარმეო/ეკონომიკური საქმიანობის აკრძალვამ, რამაც ადამიანები სამსახურისა და შემოსავლის გარეშე დატოვა. ბავშვებს შეეზღუდათ იმ პირებთან წვდომა, რომლებიც ბავშვების ქცევით, ემოციურ თუ ფიზიკურ ნიშნებზე დაკვირვებასა და ძალადობის გამოვლენაზე იყვნენ პასუხისმგებლები. ამასთანავე, ბავშვებს გაუჭირდათ ჩაკეტილ სივრცეში ყოფნა და დისტანციურ სწავლებაზე გადასვლისა და იზოლაციის გამო გართულდა მათი ფსიქოემოციური მდგომარეობა, ხოლო მშობლების ნაწილს არ აღმოაჩნდა არასრულწლოვანთა ამ საჭიროებებთან დამოუკიდებლად გამკლავების უნარები.

შეფასების შედეგებიდან იკვეთება, რომ გაზრდილი რისკების მიუხედავად, არ შეინიშნება სახელმწიფო უწყებებისადმი მიმართვიანობის არსებითი მატება. რიგ შემთხვევებში, მიმართვიანობა მცირედით არის გაზრდილი ან პირიქით, ვლინდება კლების ტენდენცია. ეს, სავარაუდოდ, უკავშირდება ბავშვთა მიმართ შესაძლო ძალადობის შემთხვევების გამოვლენის პრობლემას. პანდემიის პერიოდში მათ უწყებაში ბავშვთა მიმართ ძალადობაზე მიმართვიანობის მკვეთრ მატებაზე მიუთითებენ მხოლოდ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკები.

პანდემიის დროს მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა ბავშვების ზოგადი განათლების უფლების რეალიზაციაც. სკოლაში სიარული, რომელიც არასრულწლოვნებისთვის არა მხოლოდ ცოდნის მიღების, არამედ სოციალიზაციისა და ურთიერთობის პოზიტიური გამოცდილების წყარო იყო, სახლმა და კომპიუტერმა ჩაანაცვლა. დისტანციური სწავლების რეჟიმზე გადასვლამ, ისევე როგორც მთავრობის მიერ დაწესებულმა სხვა ზომებმა, ბავშვები და მათი ოჯახის წევრები მნიშვნელოვანი სტრესისა და გაურკვევლობის წინაშე დააყენა.

კოვიდ-19-ის პანდემიამ ყველაზე მწვავედ გამოკვეთა ის საკითხები, რომლებიც წლების განმავლობაში განათლების სისტემის პრობლემას წარმოადგენდა. მათ შორისაა, შშმ და სსსმ ბავშვების ეფექტიანი ჩართვა საგაკვეთილო პროცესში, სწავლების ხარისხი, ტექნოლოგიებზე წვდომის მაჩვენებელი და სხვ. მოცემული გამოწვევების ანალიზისას, კიდევ უფრო ნათლად წარმოჩნდა მთავრობის უმოქმედობა და არაეფექტიანობა როგორც პანდემიამდე, ისე პანდემიის მიმდინარეობის პროცესში. კერძოდ, ერთი მხრივ, არ არსებობდა კრიზისულ სიტუაციებში გამოსაყენებელი სპეციალური გეგმა/ხედვა, მათ შორის, არც განათლების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით, ხოლო, მეორე მხრივ, პანდემიის დროს სახელმწიფოს მიერ მიღებულმა ზომებმა, მისი ზოგადი ხასიათის გათვალისწინებით, ვერ უზრუნველყო ბავშვების საჭიროებების ეფექტიანი გამოვლენა და მათ წინაშე არსებული გამოწვევების აღმოფხვრა. ყოველივე ამის შედეგად, არსებითი ზიანი მიადგა არა მხოლოდ ზოგადი განათლების უფლების, არამედ მრავალი სხვა უფლებისა და თავისუფლების რეალიზაციასა და არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებს.

პანდემიის პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე დაუცველი ჯგუფი სახელმწიფო ზრუნვაში მცხოვრები ბავშვები არიან, რომელთა იზოლირება კიდევ უფრო მეტად გაამყარა ახალმა გლობალურმა პანდემიამ. ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც, მშობლების მზრუნველობას მოკლებული ბავშვები, რომელთა დიდი ნაწილი სხვადასხვა რეზიდენტულ ინსტიტუციაში ცხოვრობს, იმ რისკ-ჯგუფებში აღმოჩნდნენ, რომლებიც უფრო

ადვილად შეიძლება დაინფიცირებულიყვნენ ახალი კორონა ვირუსით. ამის თავიდან ასარიდებლად, მნიშვნელოვანი იყო კონკრეტულ მომსახურებებზე მიმართული რეგულაციების შემუშავება და სახელმწიფო მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების გაძლიერება. სამწუხაროდ, სახალხო დამცველის მიერ ჩატარებულმა შეფასებამ, ბავშვების ჯანმრთელობის უფლების, თამაშის, დასვენებისა და თავისუფალი დროის დაგეგმვის, ინფორმირებულობის, საჭირო სარეაბილიტაციო და სოციალურ სერვისებზე წვდომისა თუ ოჯახთან ურთიერთობის შენარჩუნების მიმართულებით, მთელი რიგი ხარვეზები გამოავლინა.

1. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევას საფუძვლად უდევს ბავშვთა უფლებებზე ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია (Child Right Impact Assessment), შემდგომში „CRIA". CRIA არის ინსტრუმენტი, რომელიც იძლევა ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლებების, საჭიროებებისა და ინტერესების სისტემური შეფასების შესაძლებლობას. CRIA აფასებს, რა გავლენა იქონია, ან, შესაძლებელია, იქონიოს მთავრობის გადაწყვეტილებებმა და მოქმედებებმა ბავშვის უფლებების დაცვაზე. მეთოდოლოგია ეფუძნება ENOC-ის ბავშვის უფლებების ზემოქმედების შეფასების ზოგად ჩარჩო რეკომენდაციებს (CFR). ეს მეთოდოლოგია იძლევა მიმართულებას COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომების შესაფასებლად, ბავშვების უფლებების დაცვის მიმართულებით.

შესწავლა და მონიტორინგი ჩატარდა „სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის საფუძველზე და გაეროს ადამიანის უფლებათა კომისრის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად. ამასთანავე, პანდემიის გავრცელების თავიდან ასარიდებლად მიღებული ზომების ბავშვის უფლებებზე ზემოქმედების შეფასების პროცესი დაეყრდნო გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციასა (UN CRC) და მის დამატებით ოქმებს, ასევე, სხვა საერთაშორისო დოკუმენტებსა თუ ინსტრუმენტებს.

კვლევის ინსტრუმენტების შემუშავებისა და პანდემიის გავრცელების თავიდან არიდების მიზნით მიღებული ზომების ბავშვის უფლებებზე ზემოქმედების შეფასების პროცესი ასევე დაეფუძნა გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტის (CRC) 11 რეკომენდაციას, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება COVID-19-ის პანდემიის პროცესში ბავშვის უფლებების შეფასების ძირითად მიმართულებებს.[3]

1.1. კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანი იყო COVID-19-ის პანდემიის დროს ბავშვების უფლებრივი მდგომარეობის შეფასება სახელმწიფოს მიერ პანდემიის გავრცელების თავიდან ასარიდებლად მიღებული ზომების ბავშვის უფლებებზე ზემოქმედების შესწავლის გზით, რაც ანგარიშის შემდგომ თავებში დეტალურად იქნება განხილული. პანდემიამდე ბავშვების მძიმე უფლებრივი მდგომარეობის კონტექსტისა და პანდემიის დროს არსებული გამოწვევე-

[3] გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტის (CRC) 11 რეკომენდაცია, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2WxoQyd [ბოლოს ნანახია: 31/08/21]

ბის, ისევე, როგორც სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომების შინაარსიდან გამომდინარე, საკვლევად შეირჩა შემდეგი თემატური მიმართულებები:

- ალტერნატიული ზრუნვა
- ზოგადი განათლება
- დაცვა ძალადობისა და არასათანადო მოპყრობისგან.

კვლევა ორ ნაწილად გაიყო:

- პანდემიის დროს ალტერნატიულ ზრუნვასთან, ბავშვების განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ინფორმირებულობის, ძალადობისგან დაცვის, სხვადასხვა სერვისზე წვდომასა და ოჯახებთან ურთიერთობის შენარჩუნებასთან დაკავშირებული სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომების შეფასება სამაგიდო კვლევის გზით და მეორე მხრივ, ზომების ზეგავლენის შეფასება საველე სამუშაოების, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების განხორციელების გზით.

კვლევის გრძელვადიანი მიზნებია:

- გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მონიტორინგის ხელშეწყობა
- არასრულწლოვნების მიმართ სახელმწიფო უწყებების ანგარიშვალდებულების გაზრდის ხელშეწყობა
- ეროვნულ დონეზე CRIA-ს ინსტრუმენტის გამოყენების წახალისება.

1.2. კვლევის დიზაინი

კვლევის დიზაინად განისაზღვრა სამაგიდე და თვისებრივი კვლევის მეთოდი.

კვლევის ფარგლებში აქცენტი გაკეთდა ბავშვის უფლებათა კონვენციის 4 ძირითად პრინციპზე (სიცოცხლე და განვითარება, დისკრიმინაციისგან დაცვა, ბავშვის საუკეთესო ინტერესი და ბავშვის ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში), ასევე, გამოიყო ის ძირითადი უფლებები, რომლებზეც ყველაზე მეტად შეეძლო მოეხდინა გავლენა პანდემიის პრევენციის მიზნით მიღებულ ზომებს ბავშვებთან მიმართებით. ეს უფლებებია:

- განათლების უფლება (მუხლები 23, 28)
- ჯანმრთელობის დაცვის უფლება (მუხლები 24, 26, 27, 39)
- ოჯახთან ურთიერთობის შენარჩუნება (მუხლები 5, 9-11, 18, 20, 27)
- ინფორმაციის მიღების უფლება (მუხლი 13)
- ძალადობისგან დაცვა (მუხლები 19, 24, 28, 34, 37, 39)
- თავისუფალი დროის დაგეგმვა, თამაშისა და დასვენების უფლება (მუხლი 31)
- საჭირო სერვისებზე წვდომის შენარჩუნება, მათ შორის, ფსიქოსოციალური მხარდაჭერის საჭიროების შემთხვევაში (მუხლები 3, 18, 23, 24, 39).

1.3. კვლევის ეტაპები

კვლევა მოიცავდა 8 ძირითად ეტაპს :

- სკრინინგი - პანდემიის გავრცელების თავიდან ასარიდებლად მიღებული ზომების გამოკვეთა და შესაფასებელი ზომების შერჩევა
- მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალის განსაზღვრა
- მტკიცებულებების შეგროვება და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია
- ბავშვების მონაწილეობის შეფასება შეზღუდვების (ზომების) მიღების გადაწყვეტილების პროცესში
- მონაცემების ანალიზი - გავლენის შეფასება
- კვლევის ანგარიშის მომზადება - დასკვნა და რეკომენდაციები
- CRIA-ს გამოქვეყნება და გავრცელება
- მონიტორინგი და შემდგომი შეფასება

1.3.1. პირველი ეტაპი - სკრინინგი - პანდემიის გავრცელების პრევენციის მიზნით მიღებული ზომების იდენტიფიცირება

ამ ეტაპზე გამოიკვეთა სახელმწიფოს მიერ პანდემიის გავრცელების პრევენციის მიზნით მიღებული ზომები.

პანდემიის გავრცელების პრევენციის მიზნით მიღებული ყველა ზომის გამოკვეთის შემდეგ, შეირჩა კვლევის მიზნების შესაბამისი ზომები. ისინი სამ კატეგორიად დაჯგუფდა: ზომები, რომლებიც უშუალოდ აისახა ბავშვების უფლებებზე; ზომები, რომლებიც უშუალოდ არ მიემართებოდა ბავშვების უფლებებს, მაგრამ უშუალოდ, გარკვეულ გავლენას ახდენდა მათ უფლებრივ მდგომარეობაზე და ზომები, რომლებსაც გავლენა არ მოუხდენია არასრულწლოვნების უფლებრივ მდგომარეობაზე.

1.3.2. მეორე ეტაპი - მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი

მეორე ეტაპზე დეტალურად განისაზღვრა შეფასებაზე მუშაობისა და მონაცემთა ანალიზის განრიგი. ასევე, კვლევის მონაწილეები და პრაქტიკული კვლევის განხორციელების დაწესებულებები.

1.3.3. მესამე ეტაპი - მტკიცებულებების შეგროვება და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია

მესამე ეტაპზე მომზადდა სამაგიდო კვლევა, ასევე, მტკიცებულებებისა და მონაცემების შეგროვების მიზნით, დაინტერესებულ მხარეებთან, ჩატარდა საველე სამუშაოები. მესამე ეტაპი, თავის მხრივ, რამდენიმე ქვეეტაპად დაიყო: სამაგიდო კვლევა, ბავშვებთან ინტერვიუები და გასაუბრება გადაწყვეტილების მიმღები პირებთან და მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციებთან/თანამშრომლებთან (დანართი 1).

1.3.3.1. კვლევაში მონაწილეები

კვლევაში მონაწილე ჯგუფები იყვნენ:

- სახელმწიფო ზრუვაში მცხოვრები ბავშვები. მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობისა და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვები
- მცირე საოჯახო ტიპის სახლის თანამშრომლები
- დიდი ზომის ბავშვთა რეზიდენტული დაწესებულების თანამშრომლები
- საჯარო სკოლებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებული სკოლა-პანსიონატების მოსწავლეები
- საჯარო სკოლებისა და სკოლა-პანსიონის თანამშრომლები
- ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების, დედათა და ბავშვთა თავშესაფრის, მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრებისა და დღის ცენტრების, სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარები და თანამშრომლები
- სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები[4].

კვლევის ფარგლებში ფოკუს ჯგუფები და ინტერვიუები ჩატარდა შემდეგი რაოდენობის ინდივიდთან

- სახელმწიფო ზრუნვაში მცხოვრები ბავშვი - 43
- სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებების თანამშრომელი - 6
- საჯარო სკოლების, მათ შორის, სკოლა-პანსიონის მოსწავლე - 50
- საჯარო სკოლების, მათ შორის, სკოლა-პანსიონის თანამშრომელი - 74
- ბავშვებისთვის მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან - 7 ორგანიზაცია
- ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის მომსახურების მიმღები ქალი - 5
- ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრების) თანამშრომელი - 22
- სახელმწიფო უწყება - 4
- მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფარში მცხოვრები ბავშვი - 9
- მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრის თანამშრომელი - 3

[4]საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, საქართველოს გენერალური პროკურატურა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო.

- სოციალური საცხოვრისის თანამშრომელი - 3
- სოციალური საცხოვრისის მცხოვრები - 3

თანამშრომლებთან ინტერვიუები შედგა ყველა დაწესებულებაში, სადაც ჩატარდა საველე სამუშაო. მაგალითისთვის, განხორციელდა აღმზრდელებისა და კოორდინატორების ინტერვიუირება (სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში ვიზიტისას), მასწავლებლებთან, მანდატურის სამსახურის თანამშრომლებთან, სკოლის დირექტორთან და ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებთან გასაუბრება (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შემთხვევაში).

ის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც სახალხო დამცველის აპარატმა მოინახულა, შემდეგი კრიტერიუმებით შეირჩა:

- გეოგრაფიული მდებარეობა - კვლევისას მაქსიმალურად იყო დაცული გეოგრაფიული ბალანსი, ასევე, ბალანსი ქალაქად და სოფლად არსებულ დაწესებულებებს შორის. კონტექსტის სრულად აღსაქმელად, ვიზიტები განხორციელდა მცირეკონტინგენტიან სკოლებშიც (მაღალმთიანი რაიონები), ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. დაწესებულებების არჩევის დროს ასევე გამახვილდა ყურადღება იმ მუნიციპალიტეტებზე (ქვემო ქართლის რეგიონი), რომელთა მიმართაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში მკაცრი საკარანტინე ღონისძიებები დაწესდა
- ბავშვთა მოწყვლადობის მაჩვენებლები - კვლევის პერიოდში განათლებისა და ძალადობისგან დაცვის უფლების რეალიზაციის შეფასებისას, ზოგად გამოწვევებთან ერთად, გათვალისწინებული იქნა ისეთი ჯგუფის საჭიროებები, როგორიცაა, საცხოვრისის სერვისში მყოფი ჯგუფები (სოციალურ საცხოვრისებში, მცირე საოჯახო სახლებში, პანსიონებში მცხოვრები ბავშვები), ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე ბავშვები, შშმ/სსსმ ბავშვები, არადომინანტი ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლები. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონიდან გამომდინარე, სახელმწიფო უწყებების შერჩევის ძირითადი კრიტერიუმი იყო მათი გადაწყვეტილებების უშუალო თუ ირიბი გავლენის შესაძლებლობა ბავშვების განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, რეაბილიტაციის, სხვადასხვა სერვისზე წვდომის, ძალადობისგან დაცვის, ინფორმირებულობის და ოჯახებთან ურთიერთობის შენარჩუნების უფლებებზე.

1.3.3.2. სამაგიდო კვლევა

სამაგიდო კვლევის ფარგლებში განისაზღვრა და დამუშავდა ბავშვის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები, პანდემიის თავიდან არიდებისა და ამ პროცესში ბავშვის უფლებების დაცვის საერთაშორისო რეგულაციები და საუკეთესო პრაქტიკები, ადგილობრივ დონეზე სამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების მიერ მომზადებული ანგარიშები და სახელმწიფო უწყებებიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია. კერძოდ, სამაგიდო კვლევის ფარგლებში გაანალიზდა შემდეგი წყაროები:

1. ადგილობრივი კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პროგრამების ანალიზი

კვლევის ფარგლებში დეტალურად დამუშავდა განათლებისა და ძალადობისგან დაცვის უფლებების რეალიზაციისა და სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების უფლებების მარეგულირებელი აქტები, ასევე, COVID-19-ის პანდემიის მიმდინარეობისას მთავრობის მიერ მიღებული რეგულაციები, რომლებიც არსებითი იყო საკვლევი საკითხების თვალსაზრისით. კერძოდ, გაანალიზდა ისეთი აქტები, როგორიცაა:

- საქართველოს კონსტიტუცია
- „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი
- ბავშვის უფლებათა კოდექსი
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ"
- საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ"
- ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების 2020-21 წლის ბიუჯეტები.

2. საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი

კვლევის მიმდინარეობისას გაანალიზდა სფეროსთვის მნიშვნელოვანი საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის არაერთ შინაარსობრივ ასპექტს და COVID-19-ის დროს სახელმწიფოს მიერ მისაღებ ზომებს ეხება. ამ მიზნით, კვლევის ფარგლებში, გაანალიზდა შემდეგი ინსტრუმენტები:

- გაეროს ბავშვის უფლებების კონვენცია
- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია
- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია
- ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენცია
- ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ
- იუნესკოს განათლებაში დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კონვენცია
- სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი
- კონვენცია ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ

- გაეროს სპეციალური მომხსენებლების (1. განათლების უფლების შესახებ; 2. უკიდურესი სიღარიბისა და ადამიანის უფლებების შესახებ; 3. შშმ პირთა უფლებების შესახებ) განცხადებები და თემატური ანგარიშები
- გაეროს სახელშეკრულებო ორგანოების (CRC, CRPD, CESCR) განცხადებები და ზოგადი კომენტარები
- ალტერნატიული ზრუნვის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელმძღვანელო მითითებები
- იუნესკოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და სახელმძღვანელო პრინციპები
- ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და სახელმძღვანელო პრინციპები.

3. სხვადასხვა ტიპის თეორიული წყაროების ანალიზი

კვლევის მიმდინარეობისას გაანალიზდა თემატური, საკვლევი საკითხებისათვის მნიშვნელოვანი თეორიული მასალები, მათ შორის: წიგნები, აკადემიური თუ ნახევრად აკადემიური მასალები, სხვადასხვა ორგანიზაციის/ინსტიტუტების ანგარიშები, უწყებების ოფიციალური განცხადებები/ბრიფინგები. დამატებით, გაანალიზდა სახალხო დამცველის აპარატის წარმოებაში არსებული ინდივიდუალური საქმეები.

4. საჯარო ინფორმაციის ანალიზი

საჯარო ინფორმაციის, მათ შორის, სტატისტიკური მონაცემების გამოთხოვა განხორციელდა 2020 წლის 1 მარტიდან 2021 წლის ივნისის ჩათვლით, ასევე, პანდემიამდელ პერიოდთან შესადარებლად, სტატისტიკური ინფორმაცია გამოთხოვილი იქნა 2019 წლისა 2020 წლის იანვრისა და მარტის ჩათვლით პერიოდზე, შემდეგი უწყებებიდან:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
- სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
- სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარეზბის სააგენტო
- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
- საქართველოს გენერალური პროკურატურა
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
- ადგილობრივი თვითმმართველობების გაერთიანება.

1.3.3.3. ბავშვების ჩართულობა და მონაწილეობა

ბავშვების ჩართულობა უმნიშვნელოვანესი იყო მონაცემების შეგროვების ეტაპზე. მნიშვნელოვანი იყო ბავშვების შეხედულებების გაგება, როგორც სახელმწიფოს მიერ COVID-19-ის პანდემიის პრევენციის მიზნით შემუშავებულ ზომებში მათი მონაწილეობის შესახებ, ისე იმ სირთულეების შესახებაც, რომლებიც შეექმნათ და/ან დღემდე ექმნებათ ამ ზომებიდან გამომდინარე.

ამ პროცესში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ბავშვთა მონაწილეობის ეთიკურ ასპექტებზე, ენოკის ეთიკურობის სტანდარტების გათვალისწინებით, სახალხო დამცველის შიდა წესების შესაბამისად და არასრულწლოვანთა მონაწილეობის როგორც კონფიდენციალურობის, ასევე, მათი პირადი მონაცემების დაცვის გათვალისწინებაზე. კერძოდ, როგორც კვლევის დაგეგმვის, ისე საველე სამუშაოების შესრულების, მონაცემების დამუშავებისა და მისი ფართო საზოგადოებისთვის გაცნობის პროცესში, გათვალისწინებული იყო და იქნება შემდეგი ეთიკური ასპექტები:

მონაწილეობა იყო გამჭვირვალე და ინფორმაციული	ბავშვებს მათთვის გასაგებ ენაზე განემარტათ CRIA-ს არსი და მნიშვნელობა, ასევე, მათი მონაწილეობის უფლების შესახებ. ეს ინფორმაცია ასევე მოიცავდა მითითებას, თუ როგორ ჩაერთვებოდნენ კვლევაში, და რატომ მიეცათ კვლევაში მონაწილეობის შესაძლებლობა. ინფორმაცია მიეწოდათ მონაწილეობის ფორმისა და სტრუქტურის, და იმ სარგებლის შესახებაც, რომელსაც მიიღებდნენ კვლევაში მონაწილეობით.
მონაწილეობა იყო ნებაყოფლობითი	ბავშვებს შეეძლოთ აერჩიათ, მიიღებდნენ თუ არა კვლევაში მონაწილეობას და ინფორმირებულები იყვნენ, რომ შეეძლოთ ნებისმიერ დროს შეეწყვიტათ მონაწილეობა.
მონაწილეობის პროცესები ეყრდნობოდა პატივისცემას	მკვლევრების მუშაობა ეფუძნებოდა პატივისცემის გამოხატვის პრინციპს, რათა მაქსმალურად შეთავაზებული ყოფილიყო ისეთი გარემო, სადაც ბავშვებს ექნებოდათ საკუთარი შეხედულებების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა.
მონაწილეობა იყო კონტექსტის შესაბამისი	მონაწილეობა ეფუძნებოდა ბავშვების უშუალო ცოდნას და აქცენტს აკეთებდა იმ საკითხებზე, რომლებიც ბავშვის ცხოვრებისა და ადგილობრივი კონტექსტისთვის იყო მნიშვნელოვანი.
გამოყენებული იყო ბავშვზე მორგებული მიდგომები	გამოყენებული იყო ბავშვისათვის მეგობრული მიდგომები, რათა მათ შეძლებოდათ პროცესში რეალური კონტრიბუციის შეტანა. მონაწილეობის მიდგომები და მეთოდები შექმნილი და მოდიფიცირებული იყო ბავშვების ასაკის, შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად.

	ბავშვების შერჩევის დროს დაწესებული არ ყოფილა ასაკობრივი შეზღუდვა. განსხვავებული იყო მხოლოდ მიდგომა ასაკის მიხედვით. ადრეული ასაკის შემთხვევაში, ბავშვებთან გასაუბრების დროს აქცენტი კეთდებოდა მათი ასაკის შესაბამის აქტივობებზე.
ინკლუზიურობა	ბავშვების მონაწილეობა ეფუძნებოდა ინკლუზიურობის პრინციპს და ითვალისწინებდა თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს.
უსაფრთხოება და რისკების მიმართ სენსიტიურობა	ბავშვებთან მუშაობის პროცესში უფროსებს ჰქონდათ მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ნებისმიერი რისკის პრევენციის ვალდებულება.
ანგარიშვალდებულება	ბავშვებს მიეწოდებოდათ ინფორმაცია, თუ როგორ მოხდებოდა მათი შეხედულებების ინტერპრეტაცია და გამოყენება, როგორი შესაძლო გავლენა ექნებოდა მათ შეხედულებებს შედეგებზე და სადაც შესაძლებელია, როგორ შეიძლებოდა ჩართულიყვნენ შეფასების პროცესსა და აქტივობებში.

1.3.3.4. ინტერვიუები გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან და მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციებთან

ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩატარდა გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან, მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციებთან და დაწესებულებების თანამშრომლებთან. შეხვედრების დროს ვითვალისწინებდით მათ სურვილს და ვაწვდიდით დეტალურ ინფორმაციას კვლევის მიზნებსა და საკვლევ საკითხებზე.

1.3.4. ბავშვების მონაწილეობის შეფასება შეზღუდვების (ზომების) მიღების გადაწყვეტილების პროცესში

ბავშვის აზრის მოსმენა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მისი ჩართვის მნიშვნელობა, ბავშვის უფლებათა კონვენციის ოთხ ძირითად პრინციპს შორის, სიცოცხლისა და განვითარების, დისკრიმინაციის აკრძალვისა და საუკეთესო ინტერესის პრინციპებთან ერთად, ერთ-ერთია. ბავშვის მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაცულია ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლით. კონვენცია აღიარებს როგორც ბავშვის უფლებას, ჰქონდეს საკუთარი შეხედულებები და გამოხატოს ისინი თავისუფლად, ისე ბავშვზე ზრუნვის სფეროში ჩართული პირების ვალდებულებას, მოუსმინონ ბავშვს და მხედველობაში მიიღონ მის მიერ გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები. ამავე უფლებას იცავს ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-8 მუხლიც.

COVID-19-ის თავიდან არიდების მიზნით მიღებული ზომების შემუშავების პროცესში ბავშვების მონაწილეობის საკითხის შესწავლა წარიმართა როგორც უშუალოდ ბავშვების, ისე გადაწყვეტილების მიმღები პირების ინტერვიუერების გზით. სამწუხაროდ, შეფასებამ აჩვენა, რომ ბავშვებს ამ პროცესში მონაწილეობა არ მიუღიათ, მიუხედავად იმისა, რომ ეს მნიშვნელოვან გავლენას მოახდენდა მათ ყოველდღიურ ცხოვრებასა და უფლებების რეალიზებაზე.

1.3.5. მონაცემების ანალიზი - გავლენის შეფასება

პანდემიის პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ზეგავლენის ანალიზის დროს, სტრუქტურა CRC-ის სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით დაორგანიზდა:

- სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები: მუხლები 8, 13, 14, 16, 17, 28, 37, 39
- ოჯახური გარემო და ალტერნატიული ზრუნვა: 5, 9, 10, 18, 19, 20, 21, 25, 27, 39
- ჯანმრთელობა და კეთილდღეობა: 6, 18, 23, 24, 26, 27, 33
- განათლება, დასვენება და კულტურული აქტივობები: 28, 29, 30, 31
- სპეციალური დაცვითი ზომები: 22, 30, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40

ანალიზის დროს, პანდემიის თავიდან არიდების მიზნით გატარებული თითოეული შერჩეული ზომის ზეგავლენა ბავშვების უფლებრივ მდგომარეობაზე, შეფასდა მტკიცებულებებზე დაყრდნობით და შეფასდა ღონისძიების როგორც უშუალო, ისე ირიბი გავლენა ბავშვის უფლებებზე.

1.3.6. კვლევის ანგარიშის მომზადება - დასკვნა და რეკომენდაციები

მონაცემების ანალიზისა და ბავშვის უფლებების დაცვაზე პანდემიის თავიდან არიდების მიზნით გატარებული ზომების შეფასების შემდეგ, მომზადდა კვლევის საბოლოო ანგარიში და შესაბამისი რეკომენდაციები.[5]

1.3.7. CRIA-ს გამოქვეყნება და გავრცელება

ანგარიშის მომზადების შემდეგი ეტაპი მისი ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა იქნება. ამ ეტაპზე, გარდა კვლევის შედეგების გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან გაზიარებისა, უზრუნველყოფილი იქნება ბავშვების მონაწილეობა და მათთვის უკუკავშირის მიწოდება, თუ როგორ მოხდა მათი ინფორმაციის გამოყენება და რა შედეგები შეიძლება იქონიოს კვლევის ფარგლებში მომზადებულმა დასკვნებმა და რეკომენდაციებმა მათ უფლებრივ მდგომარეობაზე.

ამავე ეტაპზე, ასევე იგეგმება ბავშვებისთვის ადაპტირებული ვერსიის შემუშავება, რომლის შექმნის პროცესშიც, ასევე უზრუნველყოფილი იქნება ბავშვების მონაწილეობა.

ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ კი, სახალხო დამცველის მანდატისა და უფლებამოსილების ფარგლებში, მოხდება CRIA–ს რეკომენდაციების შესრულებაზე ზედამხედველობა და შესრულების მაჩვენებლის შეფასება.

[5] იხ. გვ. 91

1.4. შეზღუდვები და გამოწვევები

კვლევის დროს გამოვლინდა შემდეგი შეზღუდვები და გამოწვევები:

- სახელმწიფო უწყებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის დროული მიღება
- უწყებებს არ მოუწოდებიათ სრულყოფილი, ამომწურავი და კონკრეტული სტატისტიკური ინფორმაცია, რის გამოც შეუძლებელი იყო ყოვლისმომცველი სურათის დანახვა (ცალკეულ საკითხებზე საერთოდ არ მოგვეწოდა დეტალური მონაცემები, რაც, სავარაუდოდ, იმით არის განპირობებული, რომ უწყებები არ აწარმოებენ ასეთ სტატისტიკას). გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ მონაცემები გამოვითხოვეთ კონკრეტული პერიოდების მითითებით, ცალკეულ უწყებებს ინფორმაცია არ დაუთვლიათ შესაბამისი თარიღების გათვალისწინებით. ასევე, უწყებები სტატისტიკას ითვლიან სხვადასხვა მეთოდოლოგიის გამოყენებით. ამ ყველაფერმა გაართულა შეგროვებული მონაცემების ერთმანეთთან დაკავშირება და შედარება, მათ შორის, პანდემიის პერიოდში, ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების გამოვლენისა თუ მიმართვიანობის მაჩვენებლის ზუსტი შეფასება
- ცალკეულ შემთხვევებში, ფოკუს-ჯგუფებისა თუ ინდივიდუალური გასაუბრებების შედეგად მიღებული პასუხები ძალიან ზოგადი იყო, რაც ართულებდა კონკრეტული საკითხების ზუსტად გამოკვლევასა და შეფასებას. ამ კუთხით, დამატებით პრობლემას ქმნიდა პანდემიის დროს ამგვარი ინტერვიუების/შეხვედრების დისტანციურ რეჟიმში წარმართვა, რაც კიდევ უფრო ამცირებდა დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას
- ზოგიერთ ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარი) მცხოვრები ბენეფიციარები უარს ამბობდნენ სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან გასაუბრებაზე ან ვიზიტის დროს არ იმყოფებოდნენ თავშესაფარში, რის გამოც მათთან ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობა მცირეა
- ჩატარებულმა ინტერვიუებმა და ფოკუს-ჯგუფებმა აჩვენა, რომ ცალკეულ საკითხებზე სპეციალისტები საუბრობდნენ მხოლოდ საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რაც შეიძლება არ ასახავდეს საერთო პრაქტიკას
- კვლევის საველე სამუშაოების პერიოდისთვის, სასწავლო პროცესი საჯარო სკოლებსა და სკოლა-პანსიონატებში, ფაქტობრივად, დასრულებული იყო. ამის გამო, ვერ მოხერხდა სკოლების უფრო დიდი რაოდენობის დაფარვა, ხოლო ზოგიერთ სკოლაში, სადაც ვიზიტი მოესწრო, ბავშვები აღარ დადიოდნენ
- კვლევის საველე სამუშაოების პერიოდი დაემთხვა ზაფხულის პერიოდს, როდესაც სახელმწიფო ზრუნვაში მცხოვრები ბავშვები, რომელთა მშობლებს აქვთ მათი დაწესებულებიდან გაყვანის უფლება, გადიან სერვისებიდან. ამის გამო ყველა ბავშვთან შეხვედრა და გასაუბრება ვერ მოხერხდა
- COVID-19-ის პანდემიის დადასტურებულ შემთხვევათა გამო, ორ დაწესებულებაში საველე სამუშაოები ვერ განხორციელდა

- სახელმწიფო ზრუნვაში მცხოვრები, დიდი ზომის რეზიდენტულ დაწესებულებებში მცხოვრები ბავშვები ქვეყანაში დიდი ზომის ინსტიტუციების დეინსტიტუციონალიზაციის მიმართულებით არსებული პროცესის პარალელურად განვითარებული დაძაბული ფონის გამო, არ გამოთქვამდნენ სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან გასაუბრების სურვილს. ბავშვები, რომლებთანაც მოხერხდა გასაუბრება, გარკვეულ შემთხვევებში, გამოირჩეოდნენ აგრესიით და მხოლოდ წინასწარ მომზადებული ტექსტით პასუხობდნენ ინტერვიუერებს. ამან გაართულა მათი უფლებების დარღვევის შესაძლო კონკრეტული ფაქტების გამოვლენა
- კვლევის შემჭიდროებულ ვადებში ჩატარების გამო, ინტერვიუებიც მხოლოდ იმ სახელმწიფო უწყებებისა და მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან ჩატარდა, რომლებთან დაკავშირებაც მოკლე ვადებში მოხერხდა და გამოთქვეს კვლევაში მონაწილეობის სურვილი
- ცალკეულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ვიზიტისას საგრძნობი იყო გარკვეული ბარიერები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებთან (აზერბაიჯანულ ენაზე მოსაუბრე დირექტორის, მასწავლებლებისა და მოსწავლეების შემთხვევაში), ასევე, ყრუ და სმენის სირთულის ბავშვებთან კომუნიკაციის პროცესში. ამ ტიპის გამოწვევა აღმოიფხვრა ერთ შემთხვევაში, აზერბაიჯანულ-ენოვანი, ხოლო მეორე შემთხვევაში, ჟესტური ენის, თარჯიმნების დახმარებით.

2. CRIA-ს ფარგლებში შერჩეული ზომების მიმოხილვა

მოცემულ თავში განხილულია სახელმწიფოს მიერ პანდემიის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, 2020 წლის მარტიდან 2021 წლის მაისის ჩათვლით, ეტაპობრივად მიღებული ზომები, რომელიც შეირჩა კვლევის მიზნებისთვის და ზეგავლენა იქონია ბავშვის უფლებებზე, მათ შორის, ბავშვების ძალადობისა და არასათანადო მოპყრობისგან დაცვის, განათლების უფლებისა და სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების ზოგად უფლებრივ მდგომარეობაზე.

- 2020 წლის 21 მარტს, საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული დეკრეტის საფუძველზე, გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და შეიზღუდა საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით გათვალისწინებული გარკვეული უფლებები და თავისუფლებები.6 2020 წლის 31 მარტიდან ამოქმედდა კომენდანტის საათი (21:00-06:00 საათი)[7] და გამკაცრდა საგანგებო მდგომარეობით გათვალისწინებული შეზღუდვები. ამავე დღეს აიკრძალა ნებისმიერი ტიპის საზოგადოებრივი ტრანსპორტით (მათ შორის - მეტროთი) გადაადგილება ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების შიგნით.[8] 2020 წლის 23 მარტიდან აიკრძალა საჯარო სივრცეში 10

[6] „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტი. მე-13, მე-14, მე-15, მე-18, მე-19, 21-ე და 26-ე მუხლებში მითითებული უფლებები.

[7] „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილება, 2020 წლის 31 მარტს მოქმედი რედაქცია, მე-2 მუხლის მე-9 პუნქტი.

[8] „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილება, 2020 წლის 23 მარტს მოქმედი რედაქცია, მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი.

ადამიანზე მეტის თავშეყრა[9], ასევე აიკრძალა ისეთი სოციალური ღონისძიებები, რომელიც დაკავშირებულია 10-ზე მეტი ფიზიკური პირის შეკრებასთან (მაგ: ქელეხი, ქორწილი და სხვა მსგავსი ღონისძიებები).[10] ხოლო 2020 წლის 31 მარტიდან საჯარო სივრცეში ფიზიკურ პირთა თავშეყრის მაქსიმალური რაოდენობა შემცირდა 3 პირამდე.[11] აღნიშნული შეზღუდვა მოქმედებდა 2020 წლის 14 მაისის ჩათვლით, ხოლო 18 მაისიდან მაქსიმალური რაოდენობა კვლავ 10 პირამდე გაიზარდა.[12]

- საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა დაწესებული შეზღუდვების მოხსნის ეტაპობრივად ამოქმედების გეგმა. გეგმა შედგებოდა 6 ეტაპისგან, რომელთა შორის შეზღუდვების მოხსნის შუალედად მოიაზრებოდა საშუალოდ 2 კვირა,[13] კერძოდ, 2020 წლის 27 აპრილიდან დასაშვები გახდა მექანიკური სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილება; 2020 წლის 23 მაისს დასრულდა საგანგებო მდგომარეობა და გაუქმდა „კომენდანტის საათი".

- სახელმწიფომ პირთა გადაადგილებასთან დაკავშირებით შეზღუდვა საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგაც დააწესა. კერძოდ, 2020 წლის 9 ნოემბერს ცვლილება შევიდა „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილებაში და, დადგენილებით განსაზღვრული საგამონაკლისო შემთხვევების გარდა. ქ. თბილისში და ასევე სხვა რამდენიმე ქალაქში[14] 22:00 საათიდან 05:00 საათამდე პირთა გადაადგილება, როგორც ქვეითად, ისე სატრანსპორტო საშუალებით, ასევე საჯარო სივრცეში ყოფნა აიკრძალა. შემდგომში კი, 2020 წლის 28 ნოემბრიდან ძალაში შევიდა ახალი ცვლილება, რომლის მიხედვითაც, თავად დადგენილებით განსაზღვრული საგამონაკლისო შემთხვევების გარდა, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე აიკრძალა 21:00 საათიდან 05:00 საათამდე პირთა გადაადგილება.[15] საბოლოოდ კომენდანტის საათი 2021 წლის 30 ივნისის 23:00 საათიდან გაუქმდა.[16]

---

[9] „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილება, 2020 წლის 23 მარტს მოქმედი რედაქცია, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი.

[10] „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილება, 2020 წლის 23 მარტს მოქმედი რედაქცია, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი.

[11] „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილების 2020 წლის 31 მარტიდან 2020 წლის 14 მაისის ჩათვლით მოქმედი რედაქცია, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი.

[12] „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილების 2020 წლის 18 მაისიდან მოქმედი რედაქცია, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი.

[13] COVID-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში, 2020; ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3nUIHDg [ბოლოს ნანახია 2021 წლის 21 სექტემბერს].

[14] ქ. ბათუმში, ქ. ქუთაისში, ქ. რუსთავში, ქ. გორში, ქ. ფოთში, ქ. ზუგდიდში.

[15] „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილების 2020 წლის 31 დეკემბრის 21:00 საათამდე მოქმედი რედაქციის მე-2 მუხლის მე-6[1] პუნქტი.

[16] „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 22 ივნისის N294 დადგენილება.

გადაადგილებასთან დაკავშირებული შეზღუდვები უარყოფითად აისახა ყველა ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე, მათ შორის, სხვადასხვა სოციალური რეაბილიტაციის სერვისის საჭიროების მქონე ბავშვებზე, სოციალური მუშაკის მომსახურების მიმღებ ბავშვებსა და სხვებზე. კერძოდ, საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეფერხების გამო ბავშვები ვერ იღებდნენ მათთვის აუცილებელ სერვისს, რაც სხვა საკითხებთან ერთად განათლების უფლებაზეც აისახებოდა. გარდა ამისა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობის შეჩერებამ სერიოზული გამოწვევები შეუქმნა სოციალური მუშაკების გადაადგილებას, რამაც გაართულა ბავშვის დაცვისა და ზრუნვის პროცესი; საყოველთაო კარანტინის გამოცხადების დროს, შეიზღუდა სარეაბილიტაციო და სოციალური სერვისების მიწოდება ბავშვებისათვის, რაც უარყოფითად აისახა მათ სოციალურ და ემოციურ მდგომარეობაზე, ასევე, მათი განვითარების უფლებაზე. ცენტრში ვიზიტის შეუძლებლობის ფონზე, ზოგიერთ მათგანს აღარ ჰქონდა შესაძლებლობა მიეღო ის მინიმალური საკვები, რომელსაც დაწესებულებები, მაგალითად, დღის ცენტრები, სთავაზობდათ.

- 2020 წლის 4 მარტიდან საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეჩერდა სასწავლო პროცესი და დაიწყო მზადება ონლაინ სწავლების ფორმატზე გადასასვლელად. 30 მარტიდან სასწავლო პროცესი სრულად გადავიდა დისტანციურ სწავლებაზე.[17] ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა ძირითადად დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობდა. 2021 წლის 15 თებერვლიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სწავლა საკლასო ოთახებში განახლდა. ხოლო, 2021-2022 სასწავლო წლის დაწყებიდან, საგანმანათლებლო დაწესებულებებმა (ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული, უმაღლესი) 2021 წლის 4 ოქტომბრამდე სასწავლო პროცესი მხოლოდ დისტანციური სწავლებისა და, საჭიროების შემთხვევაში, კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმის გამოყენებით განაახლეს.

მიღებულმა ზომამ უარყოფითი გავლენა იქონია ყველა ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე, მათ შორის, განსაკუთრებით, მრავალშვილიან ოჯახებსა და სიღარიბეში მცხოვრებ ბავშვებზე; შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებზე, მიუსაფარ, უსახლკარო, დევნილ და ლტოლვილ, ასევე, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ბავშვებზე; აგრეთვე, საქართველოს რეგიონებში მცხოვრებ იმ ბავშვებზე, სადაც არ არის ინტერნეტზე წვდომა. ეს ზომა აისახა ბავშვების უშუალოდ განათლების უფლებაზე, ასევე, ბავშვის ნებისმიერი სახის ძალადობისგან დაცვის, ჯანმრთელობის და სხვა უფლებებზე, რასაც შემდგომ თავებში განვიხილავთ. ზემოაღნიშნულის პარალელურად, დისტანციურმა სწავლებამ დადებითი ზეგავლენა მოახდინა ბავშვებსა და მათი ოჯახის წევრებში კორონავირუსის გავრცელებისა და სასწავლო სემესტრის აკადემიურად გამოცხადების პრევენციაზე.

- 2020 წლის მარტიდან, სახელმწიფო უწყებებში დასაქმებულთა ნაწილი დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადავიდა. განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, შეიზღუდა სამსახურებრივი მივლინებები. ასევე, დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე

[17] იქვე;

გადასვლის რეკომენდაცია გაიცა კერძო სექტორისთვისაც.[18] ნაწილობრივ დისტანციურ რეჟიმზე გადავიდა სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო. 2020 წლის 16 მარტს გავრცელებული განცხადების თანახმად, დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა შეეხო სოციალურ მუშაკებსაც. კერძოდ, მინდობით აღზრდისა და მცირე საოჯახო ტიპის სახლის ბენეფიციართა შემთხვევებზე სოციალური მუშაკები ეწეოდნენ სატელეფონო კონტროლს, ადგილზე კი, მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში გადიოდნენ.[19]

სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამით გათვალისწინებული მომსახურებების დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლამ, უარყოფითი გავლენა იქონია ყველა ბავშვის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე, ასევე, ძალადობის მსხვერპლ ბავშვებზე. დისტანციურ რეჟიმზე გადასვლამ ხელი შეუშალა ბავშვთა მიმართ ძალადობის გამოვლენასა და ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა რეაბილიტაციას. ამის პარალელურად, ზოგიერთი ბავშვისთვის ონლაინ სერვისების მიწოდებამ, მაგალითისათვის, მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა გაზარდა. კერძოდ, სოფელში მცხოვრები ბავშვებისთვის, რომლებსაც, შესაძლოა, დიდი მანძილის გავლა დასჭირვებოდათ ცენტრის მომსახურების მისაღებად, ონლაინ მომსახურება უფრო კომფორტული აღმოჩნდა.

- 23 მარტიდან დაიკეტა, ფაქტობრივად, ყველა სავაჭრო ობიექტი, სასურსათო მაღაზიებისა და აფთიაქების გარდა.[20] 31 მარტიდან კი,[21] ეტაპობრივად შეჩერდა სხვადასხვა ტიპის ეკონომიკური საქმიანობა, გარდა გამონაკლისის სახით განსაზღვრული აუცილებელი საქმიანობების, საწარმოებისა და ობიექტებისა.[22] 23 მაისიდან, საგანგებო მდგომარეობის დასრულებისას დასაშვები გახდა ყველა ეკონომიკური საქმიანობა, გარდა გამონაკლისებისა.[23]

ამ ზომამ უარყოფითი გავლენა იქონია ყველა ბავშვზე, მათ შორის, მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვებზე და ასევე, იმ ბავშვებზე, რომელთა ოჯახებსაც მნიშვნელოვნად შეუმცირდათ ან შეუწყდათ შემოსავალი. კერძოდ, საქმიანობის შეჩერების/დაკარგვის გამო შემცირდა ბავშვების განათლებაზე დახარჯული თანხების რაოდენობა, რამაც გაზარდა განათლებაზე ფინანსური წვდომის გამოწვევები; გაიზარდა ბავშვთა ძალადობისა და შრომის ექსპლუატაციის, მათ შორის, ბავშვის საშინაო საქმე-

[18] „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის №529 განკარგულება.

[19] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2XL0RN0 [ბოლოს ნანახია 2021 წლის 21 სექტემბერს].

[20] „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილება, მე-7 მუხლი;

[21] „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილება, 2020 წლის 31 მარტს მოქმედი რედაქცია, მე-7.

[22] COVID-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში, 2020; ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3nUIHDg [ბოლოს ნანახია 2021 წლის 21 სექტემბერს].

[23] იქვე.

ებში ჩართვის რისკები, აგრეთვე, ალტერნატიული სერვისების არარსებობის პარალელურად, მშობლები, რომელთა საქმიანობაც პანდემიის დროს გაგრძელდა, ნაკლებად იყვნენ ჩართულები ბავშვის ცხოვრებასა და განათლების მიღების პროცესში.

- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებით დამტკიცებულია „იზოლაციისა და კარანტინის წესები", რომლის მიზანია ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების თავიდან ასარიდებლად, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული იზოლაციისა და კარანტინის წესების, ასევე, ქვეყნის მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხის შემცირებისა და ეპიდემიოლოგიური სიტუაციის სამართავად შესაბამისი ღონისძიებების განსაზღვრა. ამ დადგენილების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იზოლაცია, კორონავირუსის გავრცელების რისკის აღკვეთის მიზნით, ხორციელდება კორონავირუსზე საეჭვო ან მაღალი რისკის მატარებელი პირების მიმართ. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კი, იზოლაცია, შესაძლოა, მოხდეს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ საკარანტინე სივრცეში (კარანტინი) ან თავად ამ პირის მიერ უზრუნველყოფილ სივრცეში (თვითიზოლაცია). 2020 წლის 23 მარტიდან, ეტაპობრივად მკაცრი კარანტინი ამოქმედდა ცალკეულ მუნიციპალიტეტებში.[24] საკარანტინო შეზღუდვები ეტაპობრივად შემსუბუქდა ან გაუქმდა.

- საგანგებო მდგომარეობისას, ასევე მისი დასრულების შემდეგ, მოქმედ საქართველოს კანონმდებლობაში გაწერილი არ იყო დეტალური კრიტერიუმები იმის თაობაზე, თუ რა შემთხვევაში იყო, კარანტინის ნაცვლად, თვითიზოლაციის გამოყენება შესაძლებელი. 2020 წლის 2 ივნისიდან საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრა, რომლებიც პირს თვითიზოლაციაში გადასაყვანად უნდა დაეკმაყოფილებინა.25 უფრო ზუსტად კრიტერიუმების სახით განისაზღვრა: ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე აუცილებელი სამედიცინო საჭიროებები; შშმ პირის სტატუსი; არასრულწლოვნება და სხვა განსაკუთრებული გარემოებები. ეს კრიტერიუმები თვითიზოლაციის გამოყენების უფრო ფართო შესაძლებლობას უზრუნველყოფდა.26 თუმცა, დასახელებული ცვლილების მიუხედავად, თვითიზოლაციის შესაძლებლობით სარგებლობასთან დაკავშირებული პრობლემები კვლავ არსებობდა. = მითითებული კრიტერიუმების გამოყენების შესაძლებლობის მომცველი მუხლი საქართველოს მთავრობის დადგენილებიდან 2020 წლის 21 ოქტომბრიდან ამოღებულ იქნა.[27] ამ

[24] COVID-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში, 2020; ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3nUIHDg [ბოლოს ნანახია 2021 წლის 21 სექტემბერს].

[25] „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილების 2020 წლის 21 ოქტომბრამდე მოქმედი რედაქციის მე-11 მუხლის 7[1] და 72 პუნქტები.

[26] საქართველოს სახალხო დამცველი, „ახალი კორონავირუსის (COVID-19) წინააღმდეგ მიმართული საკარანტინე ღონისძიებებით გამოწვეული თავისუფლების შეზღუდვის ადგილების მონიტორინგის ანგარიში, თბილისი, 2020 14. ანგარიში ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Bjy3Zw [ბოლოს ნანახია 2021 წლის 2 აგვისტოს]

[27] „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 21 ოქტომბრის N637 დადგენილება.

ეტაპზე, პირს შეუძლია ავტომატურად დარჩეს თვითიზოლაციაში და მხოლოდ მაშინ, თუ არ აქვს თვითიზოლაციის შესაძლებლობა, თავისივე მოთხოვნით გადაიყვანენ საკარანტინე სივრცეში.

კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად, მიუსაფარ ბავშვთათვის ერთი თვით, 2020 წლის 28 მარტიდან - მაისის პერიოდში, ფუნქციონირებდა საკარანტინო სივრცე, სადაც სულ, 18 ბავშვი მოთავსდა.

მიღებულმა ზომამ უარყოფითი გავლენა იქონია ყველა ბავშვზე, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე. კერძოდ, კარანტინის რეჟიმის გამო გაიზარდა მშობლების/არასრულწლოვნებთან ერთად განთავსებული პირების მხრიდან ბავშვის მიმართ ძალადობის რისკები და შემცირდა მისი გამოვლენის შესაძლებლობები, ასევე, ბავშვების ერთ სივრცეში გამოკეტვამ შეზღუდა განვითარებისათვის საჭირო სერვისებზე წვდომა.

- 2020 წლის 23 მარტიდან, მთავრობის დადგენილებით, შეიზღუდა სოციალური ღონისძიებები. კერძოდ, აიკრძალა ყველა ტიპის კულტურული ღონისძიების ჩატარება როგორც დახურულ, ისე ღია სივრცეში, ასევე აიკრძალა ყველა ტიპის მასობრივი სპორტული ღონისძიების ჩატარება, რაც შემდგომ ეტაპობრივად მოიხსნა.[28]

ამან შეაფერხა ბავშვის ჩართვა სოციალურ ცხოვრებაში და მისი პიროვნების განვითარება. ბავშვებს შეეზღუდათ თამაშებსა და გასართობ ღონისძიებებში, ასევე, კულტურულ ცხოვრებასა და ხელოვნებაში მონაწილეობის შესაძლებლობა; განსაკუთრებულ იზოლაციაში აღმოჩნდნენ სახელმწიფო ზრუნვაში მცხოვრები ბავშვები, რომლებიც თვეების განმავლობაში იძულებულები იყვნენ არ დაეტოვებინათ დაწესებულების ტერიტორია, არ ჰქონდათ მშობლების მონახულების უფლება. დაწესებულებები არ აღმოჩნდნენ მზად, ჩაკეტილ სივრცეში ბავშვებისთვის ალტერნატიული სოციალური პროგრამები შეეთავაზებინათ.

- საქართველოში COVID-19-ის ვაქცინაციის დანერგვის ეროვნული გეგმით გათვალისწინებული პრიორიტეტები (მასწავლებლები გათვალისწინებულები II-III ფაზაში).

მიღებულმა ზომამ უარყოფითი გავლენა იქონია საგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეებზე. კერძოდ, მასწავლებლების ვაქცინაციის საკითხის ნაკლები პრიორიტეტულობის გამო, ვერ მოხერხდა ონლაინ სწავლების დროის მაქსიმალურად შემცირება და სკოლების დროულად გახსნა, რაც ღონისძიების უარყოფით გავლენაზე მიუთითებს.

[28] საქართველოს მთავრობის №181 დადგენილება „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" მოქმედებდა 2020 წლის 23 მარტიდან ამავე წლის 23 მაისამდე.

კოვიდ-19-ის პანდემიის პრევენციის მიზნით მიღებული ზომების გავლენა ბავშვთა მიმართ ძალადობაზე

1. ბავშვის ძალადობისა და ფიზიკური ხელშეუხებლობისგან დაცვის სტანდარტების ანალიზი

ბავშვთა მიმართ ძალადობის კუთხით, პანდემიის გამო მიღებული ზომების ზეგავლენის შეფასებამდე, მნიშვნელოვანია, ბავშვის ძალადობისა და ფიზიკური ხელშეუხებლობისგან დაცვის სტანდარტების - საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის მიმოხილვა.

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-19 მუხლი ითვალისწინებს ბავშვის ყველა სახის ძალადობისგან დაცვის უფლებას. კერძოდ, სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომები ბავშვის დასაცავად მშობლების, კანონიერი წარმომადგენლების ან ბავშვზე პასუხისმგებელი სხვა პირის მხრიდან ყველა ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური, ასევე, სექსუალური ძალადობისგან, შეურაცხყოფისგან, უხეში და დაუდევარი მოპყრობისა და ექსპლუატაციისგან. ეს მუხლი, ასევე ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას, მიიღოს პრევენციული ზომები ბავშვთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად, და შეიმუშაოს შესაბამისი პროგრამები ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნების რეაბილიტაციისა და მხარდაჭერისთვის, ასევე, უზრუნველყოს ძალადობის ფაქტების გამოვლენა და მათზე ეფექტიანი რეაგირება.

როგორც გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი მიუთითებს, საჭიროა, რომ სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის კანონმდებლობით, ზუსტი და აშკარა ფორმულირებით აიკრძალოს ფიზიკური დასჯა ან სხვა სასტიკი ან დამამცირებელი მოპყრობის ფორმები, რათა ნათელი გახდეს, რომ ბავშვის ცემა ან „გარტყმა" ან „მოტყაპუნება", ისეთივე უკანონოა, როგორც მოზრდილთათვის. ფიზიკური დასჯის ტრადიციული მიმღებლობის გათვალისწინებით, აუცილებელია, რომ ყველა შესაბამისი დარგობრივი კანონმდებლობა, მაგალითად, საოჯახო სამართალი, განათლების შესახებ კანონი, ასევე, კანონი ალტერნატიული ზრუნვის შესახებ და მართლმსაჯულების სისტემის კანონმდებლობა, აშკარად კრძალავდეს ამგვარი მიდგომის გამოყენებას.[29]

ბავშვის სხეულებრივი დასჯა ნიშნავს იმგვარი სხეულებრივი ან ფიზიკური სასჯელის გამოყენებას, რომელიც ბავშვს აყენებს ტკივილს ან უქმნის დისკომფორტს, თუმცა ფიზიკურ ძალადობაზე უფრო მსუბუქი ინტენსივობისაა. ბავშვის უფლებათა კომიტეტის (შემდგომში კომიტეტი) აზრით, სხეულებრივი დასჯა ყოველთვის დამამცირებელია.[30]

ბავშვის უფლებათა კოდექსის 53-ე მუხლი იზიარებს გაეროს კომიტეტის მიდგომას ფიზიკური დასჯის აკრძალვასთან მიმართებით. კერძოდ, ამ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბავშვის ფიზიკური დასჯა, წამება, მისდამი სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა აკრძალულია ნებისმიერ გარემოში, და საქართველოს კანონ-

[29] The right of the child to protection from corporal punishment and other cruel or degrading forms of punishment (arts. 19; 28, para. 2; and 37, inter alia), General comment No. 8, Committee on the Rights of the Child, 2006, §34-35; ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3fwyfMY [ბოლოს ნანახია 2021 წლის 4 აგვისტოს].
[30] იქვე.

მდებლობის შესაბამისად, იწვევს პასუხისმგებლობის დაკისრებას. ამავე კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, დაუშვებელია საგანმანათლებლო დაწესებულებაში დისციპლინურ ზომად ნებისმიერი ფორმის ძალადობის, მათ შორის, ფიზიკური დასჯის ან სხვა სასტიკი ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის გამოყენება.

ბავშვის უფლებათა კოდექსით ბავშვის ფიზიკური დასჯის აკრძალვის მიუხედავად, პრობლემურია მისი ეფექტიანი აღსრულება. კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს ამომწურავ და დეტალურ განმარტებებს იმის შესახებ, თუ რა იგულისხმება ბავშვის სხეულებრივ დასჯაში (არ განსაზღვრავს ბავშვის სხეულებრივი დასჯის ფორმებს) და ბუნდოვანია, რეაგირების რა მექანიზმები თუ პასუხისმგებლობის ზომები შეიძლება გამოიყენებოდეს ასეთ დროს. ამის გამო, შეუძლებელი ხდება ამ მანკიერ პრაქტიკაზე შესაბამისი უწყებების მხრიდან ეფექტიანი რეაგირება.[31]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადია ფიზიკური ძალადობა როგორც ოჯახში, ისე მის მიღმა, მათ შორის, თუ ის არასრულწლოვნის მიმართ არის ჩადენილი, მხოლოდ მაშინ, თუ ქმედებამ დაზარალებულში ფიზიკური ტკივილი გამოიწვია. გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსის 144[3] მუხლის თანახმად, დასჯადია პირის დამცირება ან იძულება, არაადამიანურ, პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მას ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს.

საქართველოს კანონმდებლობა ბავშვთა მიმართ ძალადობის შემდეგ ფორმებს ითვალისწინებს: ფიზიკური ძალადობა, ფსიქოლოგიური ძალადობა, სექსუალური ძალადობა, ეკონომიკური ძალადობა, ექსპლუოატაცია, იძულება და არასრულწლოვნის ინტერესების უგულებელყოფა.

1.1. COVID-19-ის პრევენციის მიზნით მიღებული ზომების გავლენა ბავშვთა მიმართ ძალადობაზე

ბავშვის ძალადობისგან დაცვის ფუნდამენტური მნიშვნელობიდან და მისი საზიანო შედეგებიდან გამომდინარე, შეფასდა პანდემიისა და მიღებული ზომების გავლენა ძალადობის რისკების გაზრდაზე, გამოვლენასა და რეაგირებაზე.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პანდემიის პერიოდში გაიზარდა ბავშვთა მიმართ ძალადობის, მათ შორის, მათი ფიზიკური დასჯის რისკები. ამას ადასტურებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პოლიტიკის კვლევის დოკუმენტი, რომლის თანახმად, სერვისების, მომსახურებებისა და ბიზნესის დახურვამ, ასევე, სახლში იზოლაციამ, შესაძლოა, გაზარდოს ბავშვის მიმართ ძალადობისა და ბავშვის ძალადობის მოწმედ ყოფნის რისკი.[32] ამასთანავე, ბავშვებს აღარ აქვთ სრულყოფილი კომუნიკაცია თავიანთ მასწავლებლებთან, რომ მათ მიმართ ოჯახში ჩადენილი ძალადობის შემთხვევების შესახებ შეატყობინონ. გარდა ამისა, ბავშვებისთვის ზიანის მიყენების საფრთხე იმითაც იზ-

[31] ხელისუფლების კომპრომისი ბავშვთა ძალადობის მიმართ, პოლიტიკის დოკუმენტი, ფონდი - „ღია საზოგადოება - საქართველო", ანა აბაშიძის, ნანა გოჩიაშვილისა და ანა არგანაშვილის ავტორობით, 2016, 8; ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37oImiq [ბოლოს ნანახია 2021 წლის 7 აგვისტოს].

[32] COVID-19-ის გავლენა ბავშვებზე, პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 2020; ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2WZb4on [ბოლოს ნანახია 2021 წლის 4 აგვისტოს].

რდება, რომ სკოლების დახურვისა და ეკონომიკური კრიზისის ერთობლივი გავლენით, ზოგიერთი ბავშვი იძულებულია სკოლა მიატოვოს და ჩაერთოს შრომაში,[33] ასევე მაღალია ბავშვთა ქორწინებების რიცხვის გაზრდის საშიშროება.[34] განსაკუთრებით დაუცველები არიან სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვები, მათ მიმართ ექსპლოატაციისა და სხვა არასათანადო მოპყრობის გამოყენების თვალსაზრისით.[35]

1.2. დისტანციური სწავლება და იზოლაცია

დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამ, ასევე, სოციალური ღონისძიებების შეზღუდვამ, ხელი შეუწყო ბავშვების იზოლაციას, რამაც, სახლის/დაწესებულების პირობებში ჩაკეტილ სივრცეში ყოფნა, ბავშვებისთვის სტრესული გახადა.[36] ასევე, ბავშვები სკოლაში დაბრუნების შემდეგ უფრო დათრგუნულები იყვნენ.[37] პანდემიისა და შეზღუდვების დაწესების საწყის ეტაპზე, სტაბილურად კარგი იყო ბავშვების ფსიქოემოციური მდგომარეობა, თუმცა დროთა განმავლობაში, მიუხედავად იმისა, მოიხსნა თუ არა დაწესებული შეზღუდვები, ბავშვების ქცევა გართულდა.[38]

- *ოჯახში ნაკლებად ჰქონდათ ფსიქოსოციალური განვითარებისთვის საჭირო რესურსები, არც მშობლები იყვნენ მზად ბავშვების სახლში სამეცადინოდ. ამიტომ, სკოლაში დაბრუნების შემდეგ, ბავშვებს ჰქონდათ გართულებული ქცევა, რომელიც მოწესრიგდა ფსიქოლოგისა და სხვა სპეციალისტების ჩარევის შედეგად. როდესაც განახლდა კონტაქტური სწავლება, ბავშვები ნელ-ნელა გახალისდნენ*

[33] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „ბავშვთა შრომა ახალი კორონა ვირუსის პანდემიის პირობებში და მის მიღმა", 2021, 7, 29-30; ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3C9bx7p [ბოლოს ნანახია 2021 წლის 2 აგვისტოს].

[34] COVID-19-ის გავლენა ბავშვებზე, პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 2020; ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2WZb4on [ბოლოს ნანახია 2021 წლის 4 აგვისტოს].

[35] იქვე.

[36] ფოკუს-ჯგუფი ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების თავშესაფრების პერსონალთან; ასევე, ერთ-ერთ ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის ბენეფიციარის განმარტებით, დაწესებული კომენდანტის საათი, როდესაც ყველა ცდილობდა მოესწრო პროდუქტების შეძენა, იყო რიგები მაღაზიებში, სადაც დისტანციის დაცვის შესაძლებლობა არ იყო, დამატებით სტრესს ქმნიდა; ფოკუს-ჯგუფი ერთ-ერთი მცირე საოჯახო ტიპის სახლის პერსონალთან.

[37] ფოკუს-ჯგუფი სკოლა-პანსიონის ადმინისტრაციასა და ფსიქოლოგთან (სკოლა-პანსიონი მომსახურებას უწევს შშმ და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებს); ფოკუს-ჯგუფი სკოლა-პანსიონის თანამშრომლებთან (სკოლა-პანსიონისსმ მოსწავლეთათვის განკუთვნილი საგანმანათლებლო დაწესებულებაა); ფოკუს-ჯგუფი სკოლა-პანსიონის დირექტორთან, მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან (სკოლაში ირიცხებიან ყრუ და სმენის სირთულის მქონე მოსწავლეები); ფოკუს-ჯგუფი ქუთაისში მდებარე ერთ-ერთ მცირე საოჯახო ტიპის სახლის პერსონალთან; ფოკუს-ჯგუფი მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრისა და დღის ცენტრის პერსონალთან (მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ბავშვებში ქცევითი სირთულეები ძალიან გამწვავდა, მათ შორის, იმ ბავშვებშიც კი, რომლებსაც აქამდე არ გამოუმჟღავნებიათ რაიმე სირთულე); ფოკუს-ჯგუფი სამეგრელოში მდებარე ერთ-ერთ მცირე საოჯახო ტიპის სახლის პერსონალთან; გასაუბრება ფსიქოლოგიური სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელთან (ორგანიზაციამ 2020 წლის მარტიდან 2021 წლის იანვრამდე დაახლოებით 500 ბავშვთან და 350-მდე აღმზრდელთან იმუშავა).

[38] სერვისის მიმწოდებელი ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ბავშვების ფსიქოემოციური მდგომარეობის კუთხით არაფერი შეცვლილა, თუმცა ერთ-ერთ ბავშვს გაურთულდა ქცევა. კერძოდ, უფრო მეტად აგრესიული გახდა სხვების მიმართ და როგორც მასთან, ისე სხვა ბავშვებთან მუშაობის პროცესში ჩაერთო ფსიქოლოგი.

და აქტიურად ჩაერთნენ სასკოლო ცხოვრებაში - სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი სკოლა-პანსიონის თანამშრომლები;

- *ბავშვების ფსიქოემოციური მდგომარეობა დისტანციური სწავლების რეჟიმიდან კონტაქტურ სწავლებაზე გადასვლისას და ბავშვების სახლიდან დაბრუნების შემდგომ, გართულებული იყო, მათში შეინიშნებოდა სტრესული მდგომარეობა. ასევე, სკოლების დახურვამ ნეგატიურად იმოქმედა ბავშვების განვითარებაზეც, რადგან სკოლაში იყო ადაპტირებული სავარჯიშოები, სწავლების სპეციალური კომპონენტები, შემეცნებითი ინვენტარი, ხოლო დისტანციური სწავლების პერიოდში ამ რესურსით ბავშვებს სარგებლობის შესაძლებლობა არ ჰქონდათ. შესაბამისად, დისტანციური სწავლების ნეგატიურ ასპექტებად დასახელდა: სტრესი, ერთფეროვანი გარემო, განვითარების პროცესის შეფერხება - სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი სკოლა-პანსიონის თანამშრომლები;*

- *მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ძირითადი სირთულე რუტინა და პანდემიის პრევენციის მიზნით შემოღებული წესები იყო, ხელების დაბანასაც კი შეეძლო ქცევა გაერთულებინა. პანდემიამ ბავშვებში გამოიწვია ქცევის სირთულეები, მათ შორის, გახშირდა დაწესებულებიდან გაქცევის ფაქტები, გამძაფრებული იყო ბავშვების მიერ აღმზრდელის თანდასწრებით დემონსტრაციული ქცევა (მაგ., საჯაროდ მასტურბირების შემთხვევები) - სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაცია;*

- *ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც მშობელი (დედა) მიდიოდა სოციალურ მუშაკთან და ეუბნებოდა, რომ უჭირდა საკუთარ შვილთან (ძირითადად, თინეიჯერულ ასაკში) ურთიერთობა და ამის გამო, ოჯახში დაძაბული სიტუაცია იყო და ფსიქოლოგის დახმარებას ითხოვდა - სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკი;*

- *მშობლები ხშირად მიმართავდნენ მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრს შვილების ქცევის მართვის პრობლემაზე, განსაკუთრებით, ინტერნეტზე დამოკიდებულების გამო - მანდატურის სამსახურის წარმომადგენელი;*

- *მშობლები იმდენად დაშორებულები არიან საკუთარ შვილებს და არ იცნობენ მათ საჭიროებებს, რომ პანდემიამ და ერთ სივრცეში ყოფნამ დააახლოვა ადამიანები. ზოგმა მშობელმა წარმატებით გაართვა თავი შვილის ქცევას, ხოლო ზოგმა მშობელმა არ იცოდა რთული ქცევის მართვა[39] - ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის თანამშრომელი;*

- *ბავშვებს ვუხსნიდით, მაგრამ ვერ იგებდნენ, თუ რატომ ვერ გაგვყავდა სათამაშოდ და სასეირნოდ და ამის გამო ნერვიულობდნენ. ბავშვები ტიროდნენ, ხოლო მამა ეუბნებოდა, რომ გაჩერებულიყვნენ. სიმთვრალეში მამა უყვიროდა კიდეც, როდესაც ბავშვები არ უჯერებდნენ - ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის ბენეფიციარი.*

[39] იმავეს ადასტურებს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის წარმომადგენელი.

მართლმადიდებელ ეკლესიას დაქვემდებარებული პანსიონის ერთ-ერთი აღმზრდელი მიუთითებს, რომ პანდემიის შემდგომ, ბავშვები უფრო დაძაბულები და აგრესიულები გახდნენ, მოიმატა გაღიზიანებამ, თუმცა ამაზე მათთან სასაუბროდ არავის სცალია, ხოლო თავად კი კომპეტენცია არ ჰყოფნის. ამავე დაწესებულებაში მომუშავე კიდევ ერთი თანამშრომლის განმარტებით, მართალია, პანდემიის პერიოდში არ გაზრდილა პანსიონში ბავშვის მიმართ ძალადობის რისკები, თუმცა 2020 წლის ოქტომბრიდან თებერვლის ბოლომდე, ბავშვები იზოლირებულები იყვნენ, 5 თვე ერთ სივრცეში იყვნენ ჩაკეტილები, რამაც მათი ქცევა კიდევ უფრო გაართულა. ფოკუს-ჯგუფის დროს, ერთ-ერთმა მცირე საოჯახო ტიპის მომსახურების მიმწოდებელმა ორგანიზაციამ, ბავშვების გართულებული ქცევის გამო, ასევე მიუთითა არასრულწლოვნებს შორის მომატებულ ძალადობის შემთხვევებზეც.

დისტანციურმა სწავლებამ და იზოლაციამ გაზარდა ბავშვთა მიმართ ძალადობის რისკები.[40] ასევე, დისტანციური სწავლების რეჟიმზე გადასვლის გამო, ბავშვებს უფრო ხშირად უწევდათ სახლში ყოფნა და დიდი ალბათობა იყო იმისა, რომ ისინი იქნებოდნენ ოჯახში ძალადობის ფაქტის შემსწრეები.[41]

- *დისტანციურმა სწავლებამ გაზარდა რისკები. ოჯახის წევრების ერთ სივრცეში შეკრებამ გამოიწვია დაძაბულობა, ადამიანები ვეღარ აკონტროლებდნენ საკუთარ ემოციებსა და ქცევას - სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკი;*

- *იზოლაციაში ყოფნამ, ძირითადად, გაზარდა ძალადობის რისკები, რადგან ადამიანებს ერთ სივრცეში უწევდათ ყოფნა, ხოლო ბავშვის თამაში, სიცელქე გამაღიზიანებელი აღმოჩნდა ოჯახის წევრებისთვის. ბავშვები ასევე გახდნენ ირიბი ძალადობის მსხვერპლები, რადგან შემსწრეები იყვნენ მშობლების კონფლიქტების - ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის თანამშრომელი;*

- *დისტანციური სწავლების დროს შეინიშნებოდა შვილების მიმართ მშობლების არაჯანსაღი დამოკიდებულებები. კერძოდ, როდესაც ბავშვი სახლიდან ერთვებოდა საგაკვეთილო პროცესს, მშობლის მხრიდან შემდეგი კომენტარები გაკეთებულა: „რა ვეღარ დამთავრდა შენი გაკვეთილი"!? „რა ვეღარ მორჩი"!? მათი თქმით, რა თქმა უნდა, ეს ნეგატიურად აისახა ბავშვების ფსიქიკაზე, მუდმივად განიცდიდნენ სტრესს და თითქოს იმყოფებოდნენ ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ მშობლების მხრიდან. პედაგოგები ითხოვდნენ მშობლებისგან, რომ ბავშვებისთვის სასკოლო გარემო შეექმნათ, თუმცა როდესაც ოჯახი ერთ სივრცეში ცხოვრობს, სადაც რამდენიმე ბავშვია, შეუძლებელია ასეთ დროს მოსწავლეს ჰქონდეს განათლებაზე წვდომის ადეკვატური შესაძლებლობა - ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის თანამშრომელი.*

[40] ფოკუს-ჯგუფები ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების პერსონალთან. ერთ-ერთი თავშესაფრის წარმომადგენელთა განმარტებით, მხოლოდ ისეთ ოჯახებში გაიზარდა ძალადობის რისკები, რომლებსაც ისედაც კონფლიქტური სიტუაცია ჰქონდათ; ფოკუს-ჯგუფი სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალურ მუშაკებთან; გასაუბრება მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრისა და დღის ცენტრის წარმომადგენელთან.

[41] ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების ორი დაწესებულება (თავშესაფარი).

ბავშვთა მიმართ ძალადობის გაზრდილი რისკების მიუხედავად, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის გამო, გართულდა ბავშვის ქცევით, ემოციურ და ფიზიკურ ნიშნებზე დაკვირვება და ძალადობის ნიშნების გამოვლენა. კერძოდ, პრობლემაზე დაკვირვება აღარ იყო ხელმისაწვდომი გარეშე პირებისათვის (მაგ., სკოლისათვის, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურებისათვის).[42] ამავე პერიოდში, მანდატურებს კომუნიკაცია ძირითადად სკოლის ადმინისტრაციასთან და დამრიგებლებთან ჰქონდათ და მათ ან/და ბავშვის მიერ მოწოდებულ ფაქტებზე ატარებდნენ შესაბამის ღონისძიებებს.[43]

- *სიტუაციას ართულებდა ის გარემოება, რომ არასრულწლოვნის შესახებ ინფორმაციის წყაროები დახშული გახდა, კერძოდ, ბავშვის ქცევაზე დაკვირვება აღარ იყო ხელმისაწვდომი გარეშე პირებისთვის (მაგ., სკოლისთვის), რადგან ყველა სახლში იყო. შესაბამისად, გართულდა ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევათა გამოვლენა - მანდატურის სამსახურის წარმომადგენელი;*

- *პანდემიის პერიოდში საკმაოდ რთული იყო ბიოლოგიურ ოჯახებში მოსწავლეთა მიმართ ძალადობის შემთხვევების გამოვლენა. მსგავსი შემთხვევა არ გამოკვეთილა. სკოლის თანამშრომლების თქმით, რთულია, სახლში ზედამხედველობა გაუწიო მშობლების ქცევას და ამოიცნო ძალადობის ინდიკატორები. ისინი ასევე მიუთითებენ იმაზე, რომ ამ კუთხით ქმედითი ბერკეტი და მექანიზმები არ გააჩნიათ - სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი სკოლა-პანსიონის თანამშრომლები.[44]*

ბავშვის ქცევაზე დაკვირვების ბარიერების გამო, საფრთხე შეექმნა სკოლისა და მანდატურის სამსახურის წარმომადგენელთა მიერ ბავშვთა მიმართ სავარაუდო ძალადობის შემთხვევების გამოვლენას, რაც აისახა რეფერირების მაჩვენებლის შემცირებაზე ან უცვლელი დარჩა მიმართვიანობის ტენდენცია. საგანმანათლებლო დაწესებულება მანდატურის სამსახურის წარმომადგენლის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ სისტემა გადაეწყო ონლაინ მომსახურების გაწევაზე, ბავშვებთან კომუნიკაციის დამყარება ძალიან გაჭირდა, მით უმეტეს იმ პირობებში, როცა ინტერნეტ რესურსებით ყველა აღჭურვილი არ იყო. ასევე, არასრულწლოვნის ქცევაზე დაკვირვება შეუძლებელი იყო სკოლის გავლით, რაც კიდევ უფრო ართულებდა მდგომარეობას, შეუძლებელი იყო სკოლიდან გადამისამართება. თუმცა, როდესაც ხანგრძლივად სოციალური კონტაქტების გარეშე დარჩენილ ბავშვებს დაუმძიმდათ ქცევა, იმატა თვითდინებით მიმართვიანობამ. მანდატურის სამსახურის წარმომადგენელი ასევე აღნიშნავს, რომ ონლაინ მომსახურება გამოწვევა არ ყოფილა მხოლოდ ბავშვებისთვის და მათი მშობლებისთვის. ეს გამოწვევა იყო სპეციალისტებისთვისაც და ახლაც დგას ეს გამოწვევა. ფსიქოლოგია, სოციალური მუშაობა და ფსიქიატრია ისეთი მომსახურებებია, რომლის დროსაც, სხეულის ენასა და უშუალო ვიზუალურ კონტაქტს სრულიად სხვა შედეგი მოაქვს და ონლაინ ეს ყველა-

[42] გასაუბრება სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის წარმომადგენელთან;.

[43] სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის წერილი MES 1 21 0000578157; 16.06.2021.

[44] სკოლაში აწარმოებენ დაზიანებისა და თვითდაზიანების ჟურნალს, თუმცა, 2020 წელს (20.02.2020) მხოლოდ ერთი ჩანაწერია ჩანიშნული, რომელიც ეხება მოსწავლის მიერ მეორე მოსწავლის დაზიანებას. 2019 წელს აღნუსხულია 4 ჩანაწერი, ხოლო 2018 წელს, ასევე 4.

ფერი გართულდა. ასევე, აღსანიშნავია, რომ 13 წლამდე ასაკის ბავშვები უშუალოდ ვერ იღებდნენ მომსახურებას ონლაინ და მხოლოდ მათ მშობლებთან მყარდებოდა კომუნიკაცია. ამასთანავე, შესაბამისი სპეციალისტების ნაკლებობის გამო, გამოწვევა იყო უმცირესობის ენაზე მომსახურების გაწევა.[45]

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში გადამისამართების მაჩვენებლის საილუსტრაციოდ, ქვემოთ მოცემულია დიაგრამა.

ცხრილი №1



2020 წლის იანვრიდან 2021 წლის 8 ივნისის ჩათვლით სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში გადამისამართებული შემთხვევების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია 2019 წელს გადამისამართებულ შემთხვევებთან შედარებით. რაც შეეხება მოცემულ პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროში ბავშვთა მიმართ ძალადობის გადამისამართებულ შემთხვევებს, მხოლოდ 47 ერთეულით აღემატება 2019 წლის მონაცემებს. მათგან ყველაზე მეტი საქმე ეხებოდა ადრეული ქორწინებისა და ადრეული ქორწინების რისკებთან დაკავშირებულ გარემოებებს.[46]

დისტანციურმა სწავლებამ ძალიან შეამცირა სკოლის მხრიდან ბავშვთა მიმართ სავარაუდო ძალადობის ფაქტებზე შემოსული შეტყობინებების რაოდენობა.[47] სკოლის მხრიდან ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობისა და ნაადრევი ქორწინების შემთხვევებზე საკმაოდ დაბალ მიმართვიანობის მაჩვენებელზე მიუთითებენ სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლებიც, თუმცა მათი განმარტებით, სკოლიდან შემოსული შეტყობინებების რაოდენობა პანდემიამდელ პერიოდშიც მცირე იყო, ამიტომ უჭირთ იმის შეფასე-

[45] ჩაღრმავებული ინტერვიუ საგანმანათლებლო დაწესებულება მანდატურის სამსახურის წარმომადგენელთან.
[46] სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის წერილი MES 1 21 0000578157; 16.06.2021.
[47] გასაუბრება სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალურ მუშაკებთან.

ბა, რამდენად იქონია გავლენა პანდემიის თავიდან ასარიდებლად მიღებულმა ზომებმა სკოლის მხრიდან მიმართვიანობის შეფერხებაზე.[48]

- *პანდემიამდელ პერიოდში სკოლიდან ბევრი შეტყობინება შემოდიოდა ჩვენს სამსახურებში, თუმცა პანდემიის პერიოდში არ მახსოვს ისეთი შემთხვევა, როდესაც სკოლიდან შესულ შეტყობინებაზე მომიწია მუშაობა - სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკი;*

- *ადგილი ჰქონდა არასრულწლოვნის მიმართ ქორწინების იძულებას და სკოლამ გვიან გაიგო ამის შესახებ. მათ კი ინფორმაცია პოლიციისგან მიიღეს, ხოლო სამართალდამცველებმა ამ ფაქტის თაობაზე მხოლოდ მას შემდეგ გაიგეს, როდესაც ქორწინების იძულების მსხვერპლი არასრულწლოვანი, ასევე დაექვემდებარა ოჯახში სექსუალურ და ფიზიკურ ძალადობას. სკოლას რომ აქტიურად მიექცია ყურადღება იმისთვის, თუ რატომ აცდენდა ბავშვი ონლაინ გაკვეთილებს, უფრო ადრეულ ეტაპზევე შეიძლებოდა ქორწინების იძულების გამოვლენა - სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკი.*

სკოლებმა 2020 წლის მარტიდან 2021 წლის 16 ივნისის ჩათვლით, შინაგან საქმეთა სამინისტროში გადაამისამართეს ბავშვთა მიმართ სავარაუდო ძალადობის 5, ხოლო სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში - 6 შემთხვევა.[49] ასევე, დაბალია გადამისამართება იმ სკოლებიდან, რომლებსაც არ ჰყავთ მანდატურის სამსახური. კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, 2020 წლის მარტიდან 2021 წლის 16 ივნისის ჩათვლით, 4 შემთხვევა გადამისამართდა შინაგან საქმეთა სამინისტროში, ხოლო 5 შემთხვევა - სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში.[50]

ორგანიზაციამ, „ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის" (ISC), გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით შეიმუშავა დოკუმენტი/გზამკვლევი „ბავშვთა დაცვა საგანგებო სიტუაციის დროს და პანდემიისას". ამ დოკუმენტის მიზანი იყო, პანდემიის პირობებში, ონლაინ სწავლების დროს ბავშვის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები გამოევლინა.[51] გზამკვლევი მომზადდა მანდატურის სამსახურის სოციალური მუშაკებისა და მასწავლებლებისათვის,[52] თუმცა უცნობია მიეწოდა თუ არა იგი საგანმანათლებლო დაწესებულების ყველა მასწავლებელს და ხელმძღვანელობდნენ თუ არა პედაგოგები ამ გზამკვლევით. დოკუმენტის ეფექტიანობასა და მისი გამოყენების სიხშირეს ეჭვქვეშ აყენებს სკოლის მიერ ბავშვთა მიმართ სავარაუდო ძალადობის შემთხვევების შესაბამის სახელმწიფო უწყებებში გადამისამართების უკიდურესად დაბალი მაჩვენებელი.

რაც შეეხება იმ უწყებებისადმი მიმართვიანობას, რომლებიც პასუხისმგებლები არიან რეაგირება მოახდინონ ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე, სახელმწიფო ზრუნვის

[48] ფოკუს-ჯგუფი შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან.
[49] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი MES 9 21 0000581485; 16.06.2021;.
[50] იქვე.
[51] სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის წერილი MES 1 21 0000578157; 16.06.2021. გასაუბრება სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის წარმომადგენელთან.
[52] იქვე.

სააგენტოს სოციალური მუშაკების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მათ უწყებაში, ზოგადად, იმატა ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე შეტყობინებების რაოდენობამ. კერძოდ, შემოდგომიდან მოყოლებული, განსაკუთრებით მაღალია მიმართვიანობა ოჯახში ბავშვის მიმართ ძალადობაზე ან/და ოჯახში ძალადობის ისეთ შემთხვევებზე, სადაც ბავშვი ძალადობის შემსწრეა. ასევე, პანდემიის პერიოდში გაზრდილია ბავშვებში სუიციდის მცდელობის შემთხვევები. შეტყობინების ინიციატორები, ძირითადად არიან ბავშვები[53] და ოჯახის წევრები. ასევე, ბავშვთა მიმართ სავარაუდო ძალადობაზე შეტყობინების ძირითადი წყაროა ბავშვის უფლებათა ცხელი ხაზი - „111".

- *თვითიზოლაციამ, სამუშაოს დაკარგვამ და ოჯახში შექმნილმა ეკონომიკურმა პრობლემებმა, ხელი შეუწყო არა მხოლოდ ფსიქოლოგიური, არამედ, ფიზიკური ძალადობის შემთხვევების გაზრდასაც. ასევე, გახშირდა არასრულწლოვნებისათვის საპროცესო წარმომადგენლად სოციალური მუშაკის დანიშვნის შემთხვევები[54] - სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკები.*

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ბავშვის უფლებათა ცხელ ხაზზე შესული შეტყობინებების რაოდენობას.[55]

ცხრილი №2



ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სოციალური მუშაკების მიერ შესწავლილ ბავშვთა მიმართ სავარაუდო ძალადობის შემთხვევების რაოდენობას

ცხრილი №3



[53] სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკის ინფორმაციით, ხშირია შემთხვევები, როდესაც მშობლებს შორის ძალადობის დროს ბავშვი რეკავს პოლიციაში; სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა ინფორმაციით, ოჯახში ძალადობის ფაქტებზე მიმართვიანობის კუთხით, გააქტიურებულები არიან მეზობლებიც.

[54] მოწოდებული ინფორმაციით, გაიზარდა ბავშვთა მიმართ ძალადობის საქმეებზე საპროცესო წარმომადგენლად სოციალური მუშაკის დანიშვნის საჭიროება.

[55] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წერილი № 07/5111, 17.06.2021.

ფაქტობრივად, პანდემიის პერიოდში (2020 წლის მარტიდან 2021 წლის აპრილამდე) სახელმწიფო ზრუნვის სააგენტომ ბავშვთა მიმართ ძალადობის 2113 შემთხვევა შეისწავლა. აქედან, 456 შემთხვევა ეხებოდა ოჯახში ძალადობას, ხოლო 21 შემთხვევაში ძალადობა ჩადენილია სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ.[56]

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში რეფერირებული შემთხვევების რაოდენობას

ცხრილი №4



2020 წლის მარტიდან 2021 წლის აპრილამდე სააგენტოს მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროში რეფერირებული 200 შემთხვევიდან, უმეტესობა ფსიქოლოგიური, ფიზიკური და სექსუალური ძალადობისა და ადრეული ქორწინების ფაქტებს ეხებოდა.[57]

გაზრდილია ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის, განსაკუთრებით გარყვნილი ქმედების[58] ფაქტები, მათ შორის, მაღალია ამგვარი დანაშაულის ოჯახის წევრების მიერ ჩადენის შემთხვევები.[59]

- *2021 წელს გაიზარდა ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ფაქტებზე მიმართვიანობა. ასევე, სექსუალური ძალადობა ძირითადად ხორციელდება ოჯახის წევრების მხრიდან (ძმა, მამა, მამინაცვალი და ა.შ.) - ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის თანამშრომელი.*

[56] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წერილი № 07/5111, 17.06.2021. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოდან გამოვითხოვეთ 2019 წლის მონაცემებიც, მათ 2021 წლის 17 ივნისს გამოგზავნილი № 07/5111 წერილით გვაცნობეს, რომ 2020 წლის პირველი თებერვლიდან, სააგენტო არის სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამონაცვლე, შესაბამისად, მოგვეწოდა მხოლოდ 2020 წლისა და მისი შემდგომი პერიოდის ინფორმაცია.

[57] ფსიქოლოგიური ძალადობის 49 შემთხვევა, ადრეული ქორწინების 49 შემთხვევა, ფიზიკური ძალადობის 42 შემთხვევა და სექსუალური ძალადობის 21 შემთხვევა;

[58] აღნიშნულ შემთხვევაში იგულისხმება სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, კერძოდ ძალადობის გარეშე სრულწლოვანის გარყვნილი ქმედება დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ;

[59] ფოკუს-ჯგუფი სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალურ მუშაკებთან; ფოკუს-ჯგუფი შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან; ფოკუს-ჯგუფი ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის პერსონალთან;

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის[60] ფაქტებზე გამოძიების დაწყების მაჩვენებელს[61]

ცხრილი №5



2020-2021 (იანვარი-აპრილი) წლებში სქესობრივ დანაშაულებზე გამოძიების დაწყების მაჩვენებელი მცირედით აღემატება 2019 წლის მონაცემებს. ამ პერიოდში, 2019 წელთან შედარებით, 41-ით მეტ შემთხვევაზე დაიწყო გამოძიება. ჩადენილ დანაშაულებს შორის სჭარბობს სრულწლოვნის მიერ წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირის დამყარებისა და გარყვნილი ქმედების ფაქტები. ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2019 წელს გარყვნილი ქმედების 80 ფაქტზე დაიწყეს გამოძიება, 2020 წელს - 73 შემთხვევაზე, ხოლო 2021 წელს (იანვარი-აპრილი) – გამოძიება 27 სავარაუდო გარყვნილი ქმედების ჩადენის ფაქტზე დაიწყო.

- *პანდემიის პერიოდში მოიმატა მიმართვიანობამ იმ ბავშვებთან მიმართებით, რომლებსაც დამოკიდებული პირის სტატუსი ჰქონდათ. კერძოდ, გაიზარდა ძალადობის მსხვერპლი მრავალშვილიანი დედების მხრიდან მიმართვიანობა, რომლებსაც სურდათ თავშესაფრის სერვისით სარგებლობა - ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის თანამშრომელი.*

2020 წლის განმავლობაში თავშესაფრების მომსახურებით ისარგებლა 33 არასრულწლოვანმა და 183-მა დამოკიდებულმა პირმა, ხოლო 2021 წლის მხოლოდ პირველ კვარტალში

[60] მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე თავით გათვალისწინებული დანაშაულები;

[61] 2020 წლის 17 მარტის საკანონმდებლო ცვლილებებამდე, არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულები სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე-139-ე მუხლებში სხვა დამამძიმებელ გარემოებებთან ერთად იყო მოცემული. კერძოდ, ცალკეული მუხლები დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებდა დანაშაულის ჩადენას დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ. შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილია სტატისტიკა კონკრეტული მუხლების, ნაწილებისა და პუნქტების მიხედვით, რის გამოც, ვერ ხერხდება იმის იდენტიფიცირება, მოცემულ პერიოდში, რამდენ საქმეზე დაიწყო გამოძიება, რომელიც უშუალოდ მიემართებოდა არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილ დანაშაულს;

თავშესაფრების მომსახურებით ისარგებლა 8 არასრულწლოვანმა და 73-მა დამოკიდებულმა პირმა.[62]

შემცირებულია ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა დაცვის მიზნით გამოცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობა, რაც, სავარაუდოდ, მიმართვიანობის ნაკლებობით აიხსნება. კერძოდ, 2019 წელს ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა დაცვის მიზნით გამოიცა 806 შემაკავებელი ორდერი, 2020 წელს - 634, ხოლო 2021 წლის პირველ 4 თვეში (იანვარი-აპრილი), გამოცემულია 240 შემაკავებელი ორდერი.[63] ფაქტობრივად, 2020 წლის იანვრიდან, 2021 წლის პირველ 4 თვეში (იანვარი-აპრილი) გამოცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობა მცირედით აღემატება (68 ერთეულით) 2019 წელს გამოცემული შემაკავებელი ორდერების რიცხვს.[64]

ცხრილი №6

სტატისტიკური მონაცემები მოწმობს, რომ პანდემიის პერიოდში მცირედით გაიზარდა ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ფაქტებზე დაზარალებულად ცნობილი არასრულწლოვნების პროცენტული მაჩვენებელი.

[62] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წერილი № 07/5111, 17.06.2021.

[63] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი MIA 9 21 01895323; 20.07.2021; დანართი №1.

[64] შინაგან საქმეთა სამინისტროს არ მოუწოდებია ინფორმაცია არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილ სავარაუდო დანაშაულებთან დაკავშირებით, მათ შორის, არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილ ოჯახში ძალადობის ფაქტებზე გამოძიების დაწყების მაჩვენებლის თაობაზე. ამის გამო, რთულია იმის შეფასება, რა რეაგირება მოახდინა სამინისტრომ სახელმწიფოს სხვადასხვა უწყებებიდან გადამისამართებულ შემთხვევებზე. ასევე, უცნობია როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში რეფერირებული შემთხვევების რაოდენობა, ასევე, სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრში - 112-ში შესული შეტყობინებების რაოდენობა ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით. სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 112-ში შესული შეტყობინებები არ რეგისტრირდება კონკრეტული ინციდენტის ტიპით და ერთიანდება სხვადასხვა ინციდენტების ქვეშ, რომლებიც, თავის მხრივ, მოიცავენ ძალადობის სხვა შემთხვევებსაც და მათგან მხოლოდ არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის შემთხვევების რაოდენობრივად გამიჯვნა შეუძლებელია. იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი MIA 9 21 01895323; 20.07.2021.

- *მცირედი მატება შეინიშნება პანდემიის პერიოდში არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილ ოჯახში ძალადობასთან მიმართებით, რაც გამოწვეულია პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვებით, ვინაიდან ამის გამო ბავშვები ძირითად დროს სახლში ატარებდნენ. კერძოდ, 2019 წელს ოჯახში ძალადობაზე 777 ბავშვია დაზარალებულად ცნობილი, ხოლო 2020 წელს, ოჯახში ძალადობის საქმეებზე, არასრულწლოვანთა დაზარალებულად ცნობის მაჩვენებელი 104 ერთეულით არის გაზრდილი. მათი განმარტებით, ეს არ ნიშნავს ძალადობის შემთხვევების მკვეთრ მატებას, თუმცა მიუთითებს მცირედით გაზრდაზე, ასევე, ძირითადად, გამოძიების დაწყების საფუძველი 112-ზე შესული შეტყობინებები იყო, ბავშვს არ უწევდა გადაადგილება შეტყობინების გასაკეთებლად. შესაბამისად, გამოძიების დაწყებას საფრთხე არ შეჰქმნია- გენერალური პროკურატურა.*

ყოველივე ამის გათვალისწინებით, მიღებულმა ზომამ, ერთი მხრივ, გაზარდა ბავშვთა მიმართ ძალადობის რისკები, ხოლო მეორე მხრივ, უარყოფითი გავლენა იქონია ძალადობის შემთხვევების გამოვლენაზე. ასევე, დამძიმდა ბავშვების ფსიქოემოციური მდგომარეობა, რამაც სტრესის გამოწვევასა და ქცევის გართულების მატებას შეუწყო ხელი.

1.3. სამეწარმეო/ეკონომიკური საქმიანობის შეჩერება

პანდემიამ და მის საპასუხოდ მიღებულმა ზომებმა მნიშვნელოვნად დაამძიმა ზოგიერთი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რადგან დაიკეტა ობიექტები და ადამიანები სამსახურის გარეშე აღმოჩნდნენ.[65]

იმის ფონზე, რომ მშობლები უხელფასოდ დარჩნენ ან სახლიდან უწევდათ მუშაობა, ძალიან გაუჭირდათ ბავშვებთან ურთიერთობა. შესაბამისად, მომატებული სტრესის, ემოციებისა და დაძაბულობის ფონზე, გაიზარდა ბავშვთა მიმართ ძალადობის რისკები.[66] ასევე, სამსახურების დაკარგვა შეეხო მამაკაცებს, რომლებიც ალკოჰოლზე დამოკიდებულები გახდნენ და ვეღარ მართავდნენ საკუთარ ემოციებსა და ქცევას. ამან ასევე შეუწყო ხელი ძალადობის რისკების ზრდას.[67]

---

[65]ფოკუს-ჯგუფი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებული სკოლა-პანსიონის მოსწავლეებთან; ფოკუს-ჯგუფის ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ მისი მშობლები სამსახურის გარეშე დარჩნენ, რის გამოც საცხოვრებლად და სასწავლებლად სოფელში უწევს გადასვლა; ასევე, ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ძალადობის მსხვერპლმა ქალმა განაცხადა, რომ პანდემიის პერიოდში დაკარგა სამსახური, რადგან ფეხმძიმედ იყო და უთხრეს, რომ იგი რისკ ჯგუფს მიეკუთვნებოდა, თუმცა დამსაქმებელმა არც მშობიარობის შემდეგ დააბრუნა; ფოკუს-ჯგუფი მცირე საოჯახო ტიპის სახლის პერსონალთან. მცირე საოჯახო ტიპის ერთ-ერთი აღსაზრდელის ინფორმაციით, პანდემიამდე, მშობლები სულ გასულები იყვნენ სახლიდან და ბავშვებს არ ჰქონდათ მშობლების ნახვის შესაძლებლობა, ამიტომ, თვითიზოლაციაში ყოფნა შეიძლება დადებითიც იყოს, თუმცა უარყოფითი გავლენაც ექნებოდა, რადგან მშობლები უფრო გაღიზიანებულები იყვნენ.

[66] ფოკუს-ჯგუფი ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების პერსონალთან; გასაუბრება ფსიქოლოგიური სერვისის მომწოდებელ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთან (ორგანიზაციამ, 2020 წლის მარტიდან 2021 წლის იანვრამდე, დაახლოებით 500 ბავშვთან და 350-მდე აღმზრდელთან იმუშავა).

[67] გასაუბრება სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალურ მუშაკებთან; ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ძალადობის მსხვერპლი ქალის ინფორმაციით, მის მეუღლეს პანდემიის პერიოდში შეუმცირდა სამუშაოც და ხელფასიც, ამის გამო ის უფრო აგრესიული გახდა.

- *ძალადობის რისკების ზრდას ხელი შეუწყო ოჯახში შექმნილმა ეკონომიკურმა პრობლემებმა, რაც პანდემიით იყო გამოწვეული. მაგალითად, ერთ შემთხვევაში, ოჯახს გაუჭირდა ბინის ქირის გადახდა და ცხოვრებისათვის საჭირო რესურსების სიმწირე გახდა ძალადობის მაპროვოცირებელი მიზეზი - ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის თანამშრომელი;*

- *ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, კაცებში მომატებულია ალკოჰოლის მოხმარება. ამის გამო იმატა კონფლიქტებმაც - ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის თანამშრომელი;*

- *როდესაც ოჯახში ეკონომიკური კრიზისია, არა მარტო ფსიქოლოგიური, არამედ ფიზიკური ძალადობის ფაქტებიც იმატებს - სააგენტოს სოციალური მუშაკი.*

დამძიმებულმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ ირიბი გავლენა იქონია ბავშვთა შრომითი ექსპლუატაციის რისკების ზრდაზე. პანდემიის პერიოდში გაიზარდა ქუჩაში ბავშვების რაოდენობა.[68] ამ მიგნებას ადასტურებს საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშიც - „ბავშვთა შრომა ახალი კორონა ვირუსის პანდემიის პირობებში და მის მიღმა", რომლის თანახმად, კოვიდ 19-ის პირობებში, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის საერთო ფონის გათვალისწინებითა და ბავშვთა სიღარიბის რისკების ზრდის პარალელურად, მოიმატა შრომით საქმიანობაში ბავშვების ჩართვის რისკმა.[69]

- *არასრულწლოვნებს პანდემიის პერიოდში დაემატათ საშინაო საქმე. ისინი მუშაობენ კონსულტანტებად სურსათის მაღაზიებში. იყო შემთხვევა, როდესაც 13 წლის არასრულწლოვანს დედა აიძულებდა, ძმაზე ეზრუნა და ამას ოჯახში კონფლიქტები მოჰყვებოდა. როდესაც ბავშვები სკოლაში დადიოდნენ, ოჯახში მათ ნაკლები ვალდებულებები ჰქონდათ. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, არასრულწლოვანზე ძალადობის ძირითადი მიზეზი, ასევე იყო მშობლების მიერ შვილებისათვის სახლიდან გასვლის შეზღუდვა - ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის თანამშრომელი;*

- *ვინაიდან ბავშვი სულ სახლში ატარებდა დროს, არ არის გამორიცხული, რომ საშინაო საქმეებშიც ყოფილიყო ჩართული. ექსპლოატაციის რისკიც გაიზარდა, თუმცა სკოლა ამას ვერ გამოავლენდა - ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის თანამშრომელი.*

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, შემცირებულია არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) ფაქტებზე გამოძიებისა და არასრულწლოვანთა დაზარალებულად ცნობის მაჩვენებელი. კერძოდ, 2019 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 143[2] მუხლით გამოძიება დაიწყო 6 შემთხვევაზე, 2020 წელს - 5 ფაქტზე, ხოლო 2021 წლის პირველ 4 თვეში (იანვარი-აპრილი) – 2 საქმეზე[70],

[68] გასაუბრება სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელთან.

[69] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „ბავშვთა შრომა ახალი კორონა ვირუსის პანდემიის პირობებში და მის მიღმა", 2021, 7; ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3C9bx7p [ბოლოს ნანახია 2021 წლის 2 აგვისტოს].

[70] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი MIA 9 21 01895323; 20.07.2021; დანართი №2.

რაც, სავარაუდოდ, შემთხვევათა გამოვლენასთან დაკავშირებული პრობლემით შეიძლება აიხსნას.[71]

ამდენად, მიღებული ზომის გამო, როგორც ბავშვთა მიმართ ძალადობის, ისე ბავშვის შრომით საქმიანობაში ჩართვის რისკმაც მოიმატა.

1.4. სერვისების დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლა და რესურსების ნაკლებობა

პანდემიის პერიოდში დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადავიდა სერვისები, მათ შორის, სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამით გათვალისწინებული მომსახურებები.

მართალია, რეაგირებაზე პასუხისმგებელი უწყებები, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო და ოპერატიული დანაყოფები არ გადასულან დისტანციური მუშაობის რეჟიმზე, თუმცა ძალიან გართულდა და დროში გახანგრძლივდა შესაბამისი პროცედურების ჩატარება, რის გამოც შესუსტდა საქმეზე სრულყოფილი მუშაობა. ასევე, სახელმწიფო სერვისების დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლამ, სერვისის ეფექტიანობა რისკის ქვეშ დააყენა.

- *ბავშვის გაუპატიურების საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოწმე იყო კოვიდინფიცირებული, რომელსაც დაუყოვნებლივ მოუწია იზოლაციაში გადასვლა, ამიტომ მასთან გამოკითხვის ჩატარება შეფერხდა. პანდემიიდან გამომდინარე, ასევე დაბრკოლდა საქმესთან შეხებაში მყოფი პირების გამოკითხვაც, ვინაიდან, შესაძლოა, კოვიდინფიცირებული, ან ინფიცირებულის კონტაქტი იყოს - შსს-ს წარმომადგენელი;*

- *პანდემიის პერიოდში, როდესაც დღის ცენტრები დაკეტილი იყო, ბავშვები ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნდნენ, რამაც ძალადობის რისკები გაზარდა, თუმცა, ცენტრების თანამშრომლებს ბენეფიციარებთან სატელეფონო კავშირი არ გაუწყვეტიათ და სადაც ეჭვი იყო, რომ ძალადობა ხდებოდა, იმ ოჯახების მონიტორინგს ეწეოდნენ - სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაცია.*

მისასალმებელია, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, ოჯახში ძალადობის მიმართულებით სხვადასხვა პრევენციული ღონისძიების განხორციელება, მათ შორის, მოსახლეობისათვის სხვადასხვა ენაზე მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა ოჯახში ძალადობისას პოლიციისათვის შეტყობინების მექანიზმების თაობაზე და საინფორმაციო ვიდეორგოლების დამზადება, თუმცა ეს ღონისძიებები არ იყო საკმარისი და ნაკლებად იყო მორგებული და ორიენტირებული ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების გამოვლენაზე. ასევე, დადებითად უნდა შეფასდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამი-

[71] საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმომადგენელმა ეს მონაცემები იმით ახსნა, რომ არასრულწლოვანთა ვაჭრობის შემთხვევაში, ძირითადი ექსპლოატაციის ფორმა შრომითი ექსპლოატაციაა, რაც საქართველოში უმეტესად იძულებით მათხოვრობასთან არის დაკავშირებული. ვინაიდან, პანდემიის პერიოდში გადაადგილება და თავისუფალი მიმოსვლა იყო შეზღუდული, ხოლო ბავშვების იძულებითი მათხოვრობა ქუჩაში ხდება, რაც დანაშაულის ჩადენის ადგილია, შესაბამისად, 2020-2021 წლებში, 2019 წელთან შედარებით, განსხვავებული მონაცემია.

ნისტროს მიერ ჩატარებული საინფორმაციო კამპანია ბავშვობის ასაკში ქორწინების თავიდან აცილების საკითხზე.[72]

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ტერიტორიული დანაყოფების თანამშრომლები, პრევენციული ღონისძიებების სახით, პერიოდულად ეკონტაქტებოდნენ სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული ბაღების და სკოლების ადმინისტრაციას, რათა ონლაინ გაკვეთილების პირობებში, ოჯახში და ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიეწოდებინათ პოლიციისთვის ინფორმაცია. ამგვარი აქტივობის მიუხედავად, სკოლების მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროში ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების გადამისამართების უკიდურესად დაბალი მაჩვენებელი, ამ აქტივობის არასაკმარისობაზე მიუთითებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის თანახმად, პანდემიის დასაწყისში ყველა თავს იკავებდა პოლიციისადმი მიმართვისგან, რადგან ფიქრობდნენ, რომ შეიძლებოდა, პოლიციისგან ვირუსი გადასდებოდათ, რადგან მათ ბევრ ადამიანთან აქვთ კომუნიკაცია.

- *პოლიციელს ხშირად ეუბნებოდნენ გამოძახებისას, რომ ისინი საფრთხის შემცველნი იყვნენ, კოვიდის გავრცელების მხრივ, რადგან ბევრ ადამიანთან ჰქონდათ შეხება - შსს-ს წარმომადგენელი;*

- *როდესაც პოლიციელი ისეთ ოჯახში გადიოდა შემთხვევაზე, სადაც არ არსებობდა პანდემიის გავრცელების საფრთხე (ადგილზე მყოფი ადამიანები არ იყვნენ ინფიცირებულები და არც კოვიდიან ადამიანთან კონტაქტში ყოფილან), ასეთ სიტუაციაში შედარებით მარტივი იყო მუშაობა. თუმცა რთული იყო ისეთ შემთხვევებში საქმიანობა, როდესაც შეტყობინების ინიციატორი კოვიდ ინფიცირებულის კონტაქტი იყო ან რომელიმე ოჯახის წევრს ჰქონდა ვირუსი. ასეთ დროს, პოლიციელი მიდიოდა ისეთ ოჯახში, სადაც შეიძლება კოვიდით ინფიცირებულები ყოფილიყვნენ, რომელთა შორისაც, სავარაუდოდ, ოჯახში ძალადობის მსხვერპლიც იყო. ამის გამო, საჭირო გახდა დამატებითი ღონისძიებების მიღება, მათ შორის, საჭირო იყო სასწრაფო-სამედიცინო დახმარების გამოძახება. იმ შემთხვევაში, თუ საჭირო იყო შემაკავებელი ორდერის საფუძველზე მოძალადის განცალკევება, პოლიციელი არკვევდა რომელ კოვიდ სასტუმროში იყო თავისუფალი ადგილი, რომ მოძალადე იქ გადაეყვანა, რათა მისი მხრიდან სხვების დაინფიცირება თავიდან აერიდებინა. მოძალადის განრიდების შემდეგ, სავარაუდო მსხვერპლთან გასაუბრება კი, მხოლოდ ტელეფონის საშუალებით ხერხდებოდა. ასევე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული გამომძიებელი არასრულწლოვანს ტელეფონის „სპიკერზე" ესაუბრებოდა, რომელსაც არასრულწლოვანი და მისი კანონიერი წარმომადგენელი ესწრებოდნენ. საბოლოოდ, ასეთ გამოძახებაზე გასული პოლიციელები თვითიზოლაციაში გადადიოდნენ, ვინაიდან ისინი მაინც ითვლებოდნენ კოვიდის კონტაქტებად - შსს-ს წარმომადგენელი.*

[72] შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბავშვობის ასაკში ქორწინების წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანია - „ნუ წაართმევ ბავშვობას" დაიწყო. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3iUSx3N [ბოლოს ნანახია 2021 წლის 28 ივლისს].

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა განმარტებით, გართულდა შემაკავებელი ორდერების მონიტორინგიც, რადგან პანდემიის პრევენციის მიზნით, ერიდებოდნენ მსხვერპლის/მოძალადის საცხოვრებელ ადგილზე გასვლას და მხოლოდ სატელეფონო კომუნიკაციას ამყარებდნენ.

ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, პანდემიის საწყის ეტაპზე განსაკუთრებით გართულდა ძალადობის მსხვერპლი ბავშვის ოჯახიდან გამოყვანის პროცედურა და კოორდინაცია შესაბამის უწყებებს შორის.

- *ერთ-ერთ რეგიონში 12 წლის ბავშვის მიმართ ქორწინების იძულების ჩადენის ფაქტზე შემოვიდა შეტყობინება. ადგილზე მისვლისას პოლიციას დახვდა დაახლოებით 70-კაციანი სუფრა. თავდაპირველად პოლიციას უთხრეს, რომ ბავშვის დაბადების დღეს აღნიშნავდნენ, თუმცა რეალურად 12 წლის ბავშვის ნიშნობის სუფრა აღმოჩნდა (შსს-ს განმარტებით, ამ პერიოდში აკრძალული იყო ჯგუფური თავყრილობების მოწყობა). დაახლოებით 4-5 საათისთვის არასრულწლოვანი პოლიციამ განყოფილებაში გადაიყვანა. რამდენიმე საათი ელოდებოდნენ ფსიქოლოგსა და სოციალურ მუშაკს და როდესაც მიიღეს გადაწყვეტილება ბავშვის ოჯახიდან გამოყვანასა და უსაფრთხო სივრცეში გადაყვანაზე, დაახლოებით 11 საათი იყო. არასრულწლოვნის მოთავსებამდ,ე საჭირო გახდა მისი კოვიდ-ტესტზე შემოწმება. თუმცა ყველა სასწრაფო-სამედიცინო დაწესებულება დაკეტილი იყო და კოვიდ-ტესტზე შემოწმება ვერ მოხერხდა (შსს-ს განმარტებით, ამ პერიოდში მოქმედებდა „კომენდანტის საათი" 21:00 საათიდან). მოგვიანებით გაარკვიეს, რომ ერთ-ერთ კლინიკას ჰქონდა 24-საათიანი სერვისი, რომელსაც დაახლოებით სამსაათიანი კომუნიკაციისა და დახმარების თხოვნის შემდეგ მიაგნეს. რადგანაც ამ დაწესებულებას ოფისი თბილისში ჰქონდა, არასრულწლოვანი რეგიონიდან თბილისში ჩამოიყვანეს კოვიდ-ტესტის გასაკეთებლად - შსს-ს წარმომადგენელი.*

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, პანდემიის პერიოდში კიდევ უფრო გამძაფრდა სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის გამოყოფის პრობლემა. ამას ადამიანური რესურსების ნაკლებობით ხსნიდნენ, ვინაიდან სოციალური მუშაკი/ფსიქოლოგი კოვიდინფიცირებულის კონტაქტი იყო ან თავად ჰქონდა ვირუსი, ხოლო იმ მუნიციპალიტეტში სხვა სპეციალისტი არ მოიპოვებოდა. რიგ შემთხვევებში, ამან შეაფერხა ან/და გააჭიანურა ბავშვთა მიმართ სავარაუდო ძალადობის შემთხვევების გამოძიების პროცესში არასრულწლოვნის გამოკითხვისა თუ სხვა მოქმედებების დაწყება/წარმართვა.

სამინისტროს წარმომადგენელი იხსენებს შემთხვევას, როდესაც სექსუალური ძალადობის საქმეში გაუჭირდათ სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის ჩართვა. მათი თქმით, ასეთი პრობლემები არ იყო მასობრივი, თუმცა პერიოდულად მსგავს გამოწვევებს აწყდებოდნენ.

- *„უკვე ღამდებოდა, როდესაც სექსუალურ ძალადობაზე მივიღეთ შეტყობინება. იმ კონკრეტულ მუნიციპალიტეტში ყველა სოციალური მუშაკი/ფსიქოლოგი კოვიდის კონტაქტი იყო ან კოვიდი ჰქონდათ დადასტურებული, შესაბამისად,*

სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის ჩამოყვანა სხვა მუნიციპალიტეტიდან მოგვიწია. ამის გამო, სანამ ყველა მონაწილე პირი შეიკრიბა, 10-ის ნახევარი გახდა და იმ დღეს ველარ მოხერხდა ბავშვის სათანადოდ გამოკითხვა, ამიტომ, აუცილებელი გახდა არასრულწლოვნის ხელმეორედ გამოკითხვა" - შსს-ს წარმომადგენელი.

სოციალური მუშაკების მიერ ბავშვთან კომუნიკაციის კუთხით არსებულ გამოწვევებზე მიუთითებენ გენერალური პროკურატურის წარმომადგენლები. კერძოდ, მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გამოწვევები სოციალური მუშაკის მიერ ბავშვთან კომუნიკაციის პროცედურებთან დაკავშირებით უფრო იჩენდა თავს, ვიდრე გამოძიებისა და მიმართვიანობის საკითხებში. ამასთანავე, კოვიდ-19-ით გამოწვეული პანდემიის პერიოდში, საქართველოს პროკურატურაში ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე სამართალწარმოება და საპროცესო გადაწყვეტილებების მიღება მიმდინარეობდა შეუფერხებლად, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე.[73]

- *პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების გამო, სოციალური მუშაკები ხშირად ვერ ახერხებდნენ ოჯახში ვიზიტს და მონიტორინგი უმეტესად სატელეფონო კომუნიკაციით შემოიფარგლებოდა, რის გამოც გართულდა ოჯახში არსებული სიტუაციის სრულყოფილად შესწავლა - გენერალური პროკურატურის წარმომადგენელი.*

ბავშვთა მიმართ ძალადობის მომატებული რისკებიდან გამომდინარე, გაიზარდა სოციალურ მუშაკზე მოთხოვნა.[74] თუმცა, ისინი, კადრების სიმცირის გამო, სრულყოფილად და ნაყოფიერად ვერ ახერხებდნენ საქმეებზე მუშაობას. ასევე, გაჩნდა სოციალური მუშაკების გადაადგილების პრობლემა და ამის გამო, სამუშაოს ხარისხმაც მკვეთრად იკლო.[75]

- *მართალია, საზოგადოებრივი ტრანსპორტის აკრძალვის პერიოდში, სამსახურს გამოყოფილი ჰყავდა ტრანსპორტი, თუმცა არასაკმარისი რაოდენობით, ამიტომ, სოციალურ მუშაკებს თავიანთი ხარჯებით უწევდათ გადაადგილება - სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკი;*

- *ბავშვებთან კომუნიკაციისა და ნდობის მოპოვების პროცესში სირთულეს ქმნიდა ვირუსისგან დამცავი სპეციალური აღჭურვილობა (ხალათი, პირბადე, ბახილები და ა.შ.), რასაც სოციალური მუშაკი ოჯახში მისვლის დროს იყენებდა - სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკი.[76]*

[73] საქართველოს გენერალური პროკურატურის წერილი №13/38809; 29.06.2021.

[74] სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკის ინფორმაციით, სოციალური მუშაკის დატვირთვა, ძალადობის შემთხვევების რისკების ზრდის გამო, დაახლოებით 50%-ით გაიზარდა.

[75] ფოკუს-ჯგუფი სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალურ მუშაკებთან.

[76] სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენელთა ინფორმაციით, პანდემიის პერიოდში სააგენტოს რეგიონულ/რაიონულ ცენტრებს გაეგზავნათ საინსტრუქციო წერილი, რომლითაც სოციალურ მუშაკებს მიეცათ მითითებები თავიანთი ფუნქციების დისტანციურად შესრულებასთან დაკავშირებით, ხოლო გადაუდებელ შემთხვევაში, სოციალური მუშაკები ოჯახებში/მომსახურებებში ცენტრის ავტომანქანით, ეკიპირებით და პრევენციული წესების დაცვით გადიოდნენ.

იმის მიუხედავად, რომ პანდემიის პერიოდში, ძალადობის შემთხვევებზე ინფორმაციის მიღებისას, სოციალური მუშაკები გადიოდნენ შემთხვევის ადგილზე და მიმართავდნენ შესაბამის ქმედებებს, შემთხვევაზე შემდგომი მონიტორინგი მიმდინარეობდა დისტანციურად, ფსიქოლოგის მომსახურების მიწოდებაც ამავე რეჟიმში ხორციელდებოდა.[77] თუმცა, რადგან ბავშვებს არ მოსწონდათ ონლაინ შეხვედრები და პირისპირ სურდათ კომუნიკაცია, ფსიქოლოგების დისტანციურად მუშაობა ეფექტიანი არ ყოფილა. და საბოლოოდ, რადგანაც უარი თქვეს ფსიქოლოგის მომსახურებაზე, უფრო გართულდა მათი ემოციური მდგომარეობა.[78]

პანდემიის პერიოდში დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადავიდა მანდატურის სამსახურიც. სამსახურის ყველა მომსახურება პირისპირ/ფიზიკურ ფორმატზე იყო მორგებული, მათ შორის, არასრულწლოვნებთან ურთიერთობის თვალსაზრისით. განსაკუთრებით, მცირეწლოვან ბავშვებთან, თუ მანამდე უკვე არ ჰქონიათ ურთიერთობა, ონლაინ მუშაობა შეუძლებელი აღმოჩნდა.[79]

- *ონლაინ ფორმატზე გადასვლა გამოწვევა არ ყოფილა მხოლოდ ბავშვებისა და მათი მშობლებისათვის. გამოწვევა იყო სპეციალისტებისთვისაც, და ეს გამოწვევა ცალკეულ შემთხვევებში ახლაც დგას. ფსიქოლოგია, ფსიქიატრია, სოციალური მუშაობა ისეთი ტიპის მომსახურებებია, რომ საჭიროა ფიზიკური კომუნიკაცია. ამიტომ, ონლაინ სივრცეში ეს პროცესი გართულდა - მანდატურის სამსახურის წარმომადგენელი.*[80]

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, პანდემიის პერიოდში ფსიქოსოციალური მომსახურების მიღება, შესაძლებელი იყო ონლაინ პლატფორმების (არასრულწლოვნისა და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლისათვის ნებისმიერი მისაღები პლატფორმის) გამოყენებით. კერძოდ, 6-დან 13 წლამდე ასაკის ბავშვების მშობლებსა და 13 წლის ზემოთ ასაკის არასრულწლოვნებს უტარდებათ ონლაინ კონსულტაცია, ხოლო იმ არასრულწლოვნებისათვის მომსახურების გაწევა, რომლებსაც გადაუდებელი ან კრიზისული მდგომარეობა აქვთ, პირისპირ მომსახურების რეჟიმში ხორციელდება ყველა რეკომენდაციის დაცვით. ასევე, შესაბამისი რეკომენდაციების დაცვით ხორციელდება არასრულწლოვნების საცხოვრებელ მისამართებზე ვიზიტები და მათთვის ველზე მომსახურების გაწევა.[81]

---

[77] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წერილი № 07/5111; 17.06.2021.

[78] ფოკუს-ჯგუფი სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალურ მუშაკებთან.

[79] გასაუბრება სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის წარმომადგენელთან.

[80] მანდატურის სამსახურის წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 13 წლამდე ასაკის ბავშვებს ვერ უწევდნენ ონლაინ მომსახურებს და მუშაობდნენ მხოლოდ მათ მშობლებთან, ხოლო 13 წელს ზემოთ ასაკობრივი კატეგორიის შემთხვევაში, მომსახურებას უწევდნენ ბავშვებსაც და მათ მშობლებსაც.

[81] სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის წერილი MES 1 21 0000578157; 16.06.2021.

სკოლიდან მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრში გადამისამართება მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა საგრძნობლად გაიზარდა თვითდინებით მიმართვის შემთხვევები, როდესაც ადამიანები თავად რეკავენ სამსახურში.[82]

გამოიკვეთა, რომ ცალკეულ შემთხვევებში, დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლა მოსახერხებელი იყო გარკვეული ჯგუფებისა თუ ინდივიდებისათვის. ზოგიერთი ბავშვისთვის ონლაინ სწავლებამ მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა გაზარდა. კერძოდ, სოფელში მცხოვრები ბავშვებისთვის, რომლებსაც, შესაძლოა, დიდი მანძილის გავლა დასჭირვებოდათ ცენტრის მომსახურების მისაღებად, ონლაინ მომსახურება უფრო კომფორტული აღმოჩნდა. გარდა ამისა, ცალკეულ შემთხვევებში, არასასწავლო პერიოდში, ბავშვი მიდიოდა სკოლაში, იზოლირებულ ოთახში და იქიდან ერთვებოდა სპეციალისტს. ასევე, თუ ფიზიკურად სკოლაში ყოფნის დროს, მშობელთა ჩართულობა საკმაოდ დაბალი იყო, ონლაინ ფორმატში მათთვის სხვადასხვა ტიპის აქტივობების შეთავაზების დროს, მათი ჩართულობა საგრძნობლად გაიზარდა. ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ ბევრი აქტივობა საღამოს საათებში იყო, არასამუშაო დროს.[83]

ამდენად, მიღებულმა ზომამ, ერთი მხრივ, კიდევ უფრო გაართულა და, ცალკეულ შემთხვევებში, შეაფერხა კიდეც შესაბამის უწყებებს შორის კოორდინაცია და დროში გაახანგრძლივა ბავშვთა მიმართ ძალადობაზე რეაგირებისათვის საჭირო პროცედურების ჩატარება, ხოლო მეორე მხრივ, შეამცირა სახელმწიფო სერვისების ეფექტიანობა.

1.5. სავალდებულო იზოლაციის/კარანტინის რეჟიმის დაწესება

საკარანტინე სივრცეში მოთავსება ზრდასრული ადამიანების მსგავსად, ბავშვებშიც იწვევს შფოთვასა და სტრესს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების თანახმად,[84] ბავშვის მიერ სტრესულ სიტუაციასთან გასამკლავებლად, მნიშვნელოვანია, ბავშვები თავიანთ მშობლებთან და ოჯახის წევრებთან ერთად იმყოფებოდნენ, ასევე უნდა შენარჩუნდეს ჩვეული რუტინა, ჩართულები უნდა იყვნენ ასაკისათვის შესაბამის აქტივობებში და ჰქონდეთ სტრესთან გამკლავების პოზიტიური გზებით მხარდაჭერა. მნიშვნელოვანია, რომ როგორც ბავშვებისთვის, ისე მათზე მზრუნველი პირებისთვის უზრუნველყოფილი იყოს წვდომა ფსიქოლოგიურ სერვისებზე, რათა მშობლებს თავად შეეძლოთ სტრესთან გამკლავება და ბავშვებისთვის სტრესის დაძლევაში დახმარება.[85]

[82] გასაუბრება სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის წარმომადგენელთან.
[83] გასაუბრება სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის წარმომადგენელთან.
[84] ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციები „ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქოსოციალური საკითხები COVID-19-ის დროს", 2020; ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38e7mcK [ბოლოს ნანახია 2021 წლის 3 აგვისტოს].
[85] საქართველოს სახალხო დამცველის „ახალი კორონავირუსის (COVID-19) წინააღმდეგ მიმართული საკარანტინე ღონისძიებებით გამოწვეული თავისუფლების შეზღუდვის ადგილების მონიტორინგის ანგარიში", 2020, 32; ანგარიში ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2ViToDF [ბოლოს ნანახია 2021 წლის 3 აგვისტოს].

თავდაპირველად სათანადოდ განჭვრეტადი არ ყოფილა თვითიზოლაციის, როგორც თავისუფლების ნაკლებად შემზღუდავი ფორმის, გამოყენების კრიტერიუმები და პრაქტიკაში გარკვეულ ხარვეზებს ქმნიდა. 2020 წლის 2 ივნისიდან საქართველოს მთავრობის №322 დადგენილებით განისაზღვრა დამატებითი კრიტერიუმები, რომლებიც უნდა დაეკმაყოფილებინა პირს კარანტინის ნაცვლად თვითიზოლაციაში გადასაყვანად. კერძოდ, განისაზღვრა საგამონაკლისო შემთხვევები - ჯანმრთელობის მდგომარეობიდან მომდინარე აუცილებელი სამედიცინო საჭიროებები; შშმ პირის სტატუსი; არასრულწლოვანება და მსგავსი განსაკუთრებული გარემოებები.[86] თუმცა, მიუხედავად ამისა, გამოიკვეთა ცალკეული შემთხვევები, როდესაც პირთა მოთხოვნა თვითიზოლაციაში გადაყვანის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი აკმაყოფილებდნენ თვითიზოლაციაში გადასაყვანად დადგენილ კრიტერიუმებს.[87] ეს განსაკუთრებით სტრესული იყო იმ ოჯახებისათვის, რომელსაც არასრულწლოვანი შვილი ჰყავდათ, ვინაიდან, სახლის ნაცვლად არასრულწლოვნის უცხო გარემოში განთავსება, განსაკუთრებით, პატარა და შეზღუდულ სივრცეში, სადაც ბავშვს არ ჰქონდა საკუთარი სივრცე და ნივთები, მისთვის დამატებითი სტრესის წყარო იყო.[88] ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, საკარანტინე სივრცეში მოთავსება და თვითიზოლაცია დამატებითი სტრესის მომტანია არასრულწლოვნისათვის, და ასეთ გარემოში მომხდარი ოჯახში ძალადობის შემთხვევების გამოვლენა და მათზე რეაგირებაც, კიდევ უფრო რთულდება.

ამდენად, ამგვარი ზომა, რომელიც არ ითვალისწინებდა გარკვეული ჯგუფების, მოცემულ შემთხვევაში - ბავშვების სპეციალურ საჭიროებებს, ვერ უზრუნველყოფდა კარანტინში/თვითიზოლაციაში მყოფი არასრულწლოვნებისათვის სტრესთან გამკლავების ეფექტიანი მეთოდების გამოყენებას.

1.6. ძირითადი მიგნებები

- ბავშვებისთვის დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამ, იზოლაციაში ყოფნამ და კერძო სამართლის სუბიექტებისათვის სამეწარმეო/ეკონომიკური საქმიანობის აკრძალვამ, გაზარდა ბავშვთა მიმართ ძალადობის რისკები. დისტანციურ სწავლებაზე გადასვლისა და თვითიზოლაციის, ასევე, მნიშვნელოვანი სერვისების ფორმის ცვლილების გამო, გართულდა ბავშვების ფსიქოემოციური მდგომარეობა

[86] საქართველოს სახალხო დამცველის „ახალი კორონავირუსის (COVID-19) წინააღმდეგ მიმართული საკარანტინე ღონისძიებებით გამოწვეული თავისუფლების შეზღუდვის ადგილების მონიტორინგის ანგარიში", 2020, 12-13; ანგარიში ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2ViToDF [ბოლოს ნანახია 2021 წლის 3 აგვისტოს].

[87] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2020, 99; ანგარიში ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ijJw57 [ბოლოს ნანახია 2021 წლის 3 აგვისტოს].

[88] მაგალითისათვის, აღსანიშნავია ერთ-ერთი საქმე, რომელიც ეხება საკარანტინე სივრცეში ერთ-ერთი ოჯახის არასრულწლოვან შვილთან ერთად განთავსებას, სადაც ბავშვისთვის არც შესაბამისი სივრცე იყო უზრუნველყოფილი და არც შესაბამისი კვება, რის გამოც მშობელი ბავშვის თვითიზოლაციაში გადაყვანას ითხოვდა. სასამართლოსადმი მიმართვის შემდეგ, განმცხადებლისა და მისი ოჯახის მოთხოვნა კარანტინიდან თვითიზოლაციაში გადაყვანის თაობაზე, დაკმაყოფილდა. იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 7 ივლისის №3/3778-20 გადაწყვეტილება.

- დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამ, გაართულა ბავშვის ქცევით, ემოციურ და ფიზიკურ ნიშნებზე დაკვირვება და ძალადობის ნიშნების გამოვლენა
- დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის გამო, შემცირდა სკოლის მხრიდან ბავშვთა მიმართ სავარაუდო ძალადობის შემთხვევებზე შეტყობინებების რაოდენობა
- გაზრდილი რისკების მიუხედავად, არ შეინიშნება სახელმწიფო უწყებებისადმი მიმართვიანობის არსებითი მატება. რიგ შემთხვევებში, მიმართვიანობა მცირედით არის გაზრდილი ან შეინიშნება კლების ტენდენცია
- ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე შესაბამისი პროცედურების ჩატარება ძალიან გართულდა და დროში გახანგრძლივდა. ამასთანავე, სახელმწიფო სერვისების დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლამ სერვისის ეფექტიანობა რისკის ქვეშ დააყენა
- საკარანტინე სივრცეში მოთავსება და თვითიზოლაცია დამატებითი სტრესის მომტანია არასრულწლოვნისთვის. ეს ზომა არ ითვალისწინებდა ბავშვების სპეციალურ საჭიროებებს და კარანტინში/თვითიზოლაციაში მყოფ არასრულწლოვნებს ვერ სთავაზობდა სტრესთან გამკლავების ეფექტიან მეთოდებს.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- შემუშავდეს შესაბამისი ღონისძიებები აქამდე მიღებული ზომების ნეგატიური ზემოქმედების შესამცირებლად
- შემუშავდეს სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც პანდემიის გამო მიღებული ზომების (დისტანციური სწავლება, თვითიზოლაცია) პირობებში, განსაზღვრავს ბავშვთა მიმართ ძალადობის გამოვლენასა და რეაგირებაზე პასუხისმგებელ უწყებებს შორის კოორდინირებული მუშაობის საკითხებს. მათ შორის, მნიშვნელოვანია, რომ შემუშავდეს სპეციალური ინსტრუქცია მოძალადის განცალკევებისა და ძალადობის მსხვერპლი ბავშვის ოჯახიდან გამოყვანისას შესაბამის ადგილას განთავსების პროცედურებთან და გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რაც ასევე უნდა მოიცავდეს შესაბამის სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინაციის/მულტიგუნდური მუშაობის საკითხებს
- შემუშავდეს სპეციალური მექანიზმები და წესები ბავშვთა მიმართ, თვითიზოლაციაში/კარანტინში ჩადენილი ძალადობის შემთხვევების გამოვლენისა და შემდგომი რეაგირების საკითხებზე, რაც ასევე გაითვალისწინებს პანდემიის გავრცელების თავიდან ასაცილებლად საჭირო პროცედურებს
- ონლაინ სერვისებზე გადამზადდნენ ბავშვთან მომუშავე სერვისის მიმწოდებელი სპეციალისტები, კერძოდ, ყველა იმ ორგანიზაციისა თუ უწყების თანამშრომელი, რომელმაც საჭიროების შემთხვევაში, ონლაინ სივრცეში უნდა გაუწიოს მომსახურება არასრულწლოვანს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- შეიქმნას ონლაინ სივრცეში ბავშვთა მიმართ ძალადობის ნიშნების გამოვლენის სახელმძღვანელო/ინსტრუქციები, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა სპეციალისტისათვის
- სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში გაგრძელდეს მომსახურების გაწევის/სერვისის მიწოდების ჰიბრიდული მოდელის შეთავაზება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და გენერალურ პროკურატურას:

- შემუშავდეს სახელმძღვანელო ინსტრუქციები პანდემიის პერიოდში საგამოძიებო თუ საპროცესო ღონისძიებების ჩატარებასთან, მათ შორის, ძალადობის მსხვერპლ ბავშვთან კომუნიკაციის საკითხებზე, რაც ხელს შეუწყობს შესაბამისი სპეციალისტების დაუყოვნებელ და გაუჭიანურებელ მუშაობას.

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს:

- ეტაპობრივად გაიზარდოს სისტემაში დასაქმებული პროფესიონალების, განსაკუთრებით, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების რაოდენობა, ბავშვზე ზრუნვის სფეროში მომუშავე პროფესიონალების შრომითი პირობების გაუმჯობესების, ბავშვის უფლებების დარღვევის ფაქტებზე ეფექტიანი რეაგირებისა და პრევენციის მიზნით, ასევე, პანდემიიდან გამომდინარე ბავშვთა მიმართ ძალადობის გაზრდილი რისკებისა და ამ შემთხვევათა გამოვლენის პრობლემურობის გათვალისწინებით
- გადამზადდნენ ბავშვზე ზრუნვის პროცესში ჩართული პირები ძალადობის მსხვერპლი, რთული ქცევის, სტრესის მართვისა და ფსიქოლოგიური/ფსიქიატრიული პრობლემების მქონე ბავშვებთან ონლაინ მუშაობის მიმართულებით, ასევე, ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოვლენისა და რეფერირების უნარ-ჩვევების გასაძლიერებლად
- თვითიზოლაციაში/საკარანტინე სივრცეში არასრულწლოვნის განთავსების შემთხვევაში, როგორც ბავშვებისთვის, ასევე, მათზე მზრუნველი პირებისათვის უზრუნველყონ ფსიქოლოგიურ სერვისებზე წვდომა, რათა მშობლებს თავად შეეძლოთ სტრესთან გამკლავება და ბავშვებისათვის სტრესის დაძლევაში დახმარება.

კოვიდ-19-ის პანდემიის დროს მიღებული ზომების ზეგავლენა ბავშვთა ზოგადი განათლების უფლებაზე

1.1. ბავშვის ზოგადი განათლების უფლება, საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტების მიმოხილვა

კვლევის ფარგლებში, შეფასდა კოვიდ-19-ის პანდემიის გავრცელების თავიდან ასაცილებლად, სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომების ზეგავლენა ბავშვების, მხოლოდ ზოგადი განათლების უფლების რეალიზებაზე და არ მოიცავს სკოლამდელ, პროფესიულ და უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებს. არასრულწლოვნების ზოგადი განათლების უფლების შინაარსი საკმაოდ კომპლექსური ხასიათისაა და მისი სიღრმისეული შეფასება რელევანტური უნივერსალური და რეგიონალური საერთაშორისო სამართლებრივი,[89] ასევე, ეროვნულ დონეზე მოქმედი ინსტრუმენტების გაუანალიზებლად, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია. სწორედ ამ სტანდარტების მიმოხილვის მეშვეობით გახდა შესაძლებელი უფლების რეალიზაციის მიმართულებით სახელმწიფოს ვალდებულებებისა და ზოგადად, თუ კრიზისულ მდგომარეობაში მისაღები ღონისძიებების ბუნების განსაზღვრა, რაც, თავის მხრივ, COVID-19-ის პანდემიის დროს მთავრობის ეფექტიანობისა და ბავშვების უფლებების პრიორიტეტიზაციის ხარისხის სიღრმისეულად შეფასების შესაძლებლობას შექმნის.

ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის 28-ე და 29-ე მუხლები აწესებს სახელმწიფოთა ვალდებულებას, უზრუნველყონ ბავშვების განათლების უფლების რეალიზაცია, რაც, მათ შორის, გულისხმობს ზოგადი/საშუალო განათლების სხვადასხვა ფორმების განვითარებასა და მათზე ყველა ბავშვის წვდომის (მათ შორის, ფინანსურ წვდომას,[90] და წვდომას ინფორმაციასა და მასალებზე) უზრუნველყოფას, არასრულწლოვნების მიერ სკოლის მიტოვების მაჩვენებლების მინიმუმამდე შემცირებასა და განათლების მიღების პროცესში ბავშვების ღირსების უპირობოდ დაცვას. ზოგადი განათლების უფლებრივი სტანდარტის დაწესებისას შესაბამისი საერთაშორისო ინსტრუმენტები საუბრობენ ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებზეც, როგორიცაა, საგანმანათლებლო სისტემის განვითარების პოლიტიკის გატარება, საგანმანათლებლო პერსონალის მატერიალური პირობების გაუმჯობესება და სხვ.[91]

საერთაშორისო ხელშეკრულებების მწირი ფორმულირებების გათვალისწინებით, ზოგადი განათლების უფლების განმარტების ნაწილში მნიშვნელოვან როლს ასრულებს

[89] ამ მიმართულებით რელევანტურ ინსტრუმენტებში იგულისხმება, როგორც ხელშემკვრელი სახელმწიფოებისთვის სავალდებულოდ შესასრულებელი ინსტრუმენტები, ასევე, ე.წ. „რბილი სამართლის" შემადგენელი ინსტრუმენტები. საბოლოო ჯამში, ზოგადი განათლების უფლების მიმართულებით, განსაკუთრებით აღსანიშნავია გაეროს კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, 1989; ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948; ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, 1966; გაეროს კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, 2006; გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 1979; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, 1950; ევროპის სოციალური ქარტია (შესწორებული), 1996.

[90] უფასო ზოგად განათლებასთან მიმართებით იხ. ასევე, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948, მ. 26 (1).

[91] იხ. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, 1966, მ.

გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ კომიტეტი, რომელიც ოთხ ძირითად ელემენტს გამოყოფს:[92]

- **ხელმისაწვდომობა** - თავის თავში მოიცავს ინფორმაციული ტექნოლოგიების საკმარისობას, მასწავლებლების გადამზადებას;
- **მისაწვდომობა** - ნიშნავს, რომ სასწავლო დაწესებულებები და პროგრამები უნდა იყოს თანაბრად მისაწვდომი ყველასთვის, როგორც ფიზიკური გარემოს ნაწილში, ისე ფინანსური თვალსაზრისით;
- **მისაღებობა** - ნიშნავს განათლების ფორმისა და შინაარსის ადეკვატურობას, მაგალითად, კულტურულ შესაბამისობას, რელევანტურობასა და ხარისხს;
- **ადაპტირებულობა** - მოითხოვს, რომ განათლება იყოს მოქნილი და შეესაბამებოდეს სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებებს.

განათლების უფლების მნიშვნელობისა და სახელმწიფო ვალდებულებების რელევანტურობისა და მრავალფეროვნების მიუხედავად, ამ უფლების რეალიზაცია კრიზისული მდგომარეობების, მათ შორის, პანდემიის პირობებში, მნიშვნელოვანი საფრთხის წინაშე დგება.[93] აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტისგან განსხვავებით, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი არ ითვალისწინებს გადახვევებს მის მიერ გარანტირებული უფლებების განხორციელების ვალდებულებისგან, რაც, თავისთავად, იმას ნიშნავს, რომ კრიზისისა და საგანგებო მდგომარეობის სიტუაციებშიც კი სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ განათლების უფლების განხორციელება. აქედან გამომდინარე, ის შემთხვევები, როცა მიღებული ზომები რაიმენაირად ზღუდავს განათლების უფლებას (მაგალითად, როცა საგანმანათლებლო დაწესებულებები სრულად ან ნაწილობრივ იხურება), სრულად უნდა შეესაბამებოდეს პაქტის მე-4 მუხლით განსაზღვრულ პირობებს.[94]

ზემოაღნიშნულ საკითხზე დამატებით საუბრობს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ გაეროს კომიტეტი, რომელიც მიუთითებს, რომ პაქტში გაწერილი უფლებების შეზღუდვის მიზნით მიღებული ღონისძიებები, რომლებიც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კრიზისითაა განპირობებული, უნდა იყოს პროპორციული, აუცილებელი და გონივრული. პანდემიის კონტექსტში მიღებული ზომები ასევე უნდა ემყარებოდეს შესაბამის სამეცნიერო კვლევასა და მის მიგნებებს. შესაბამისად, საგანგებო ზომები, რომლებსაც სახელმწიფოები პანდემიის დროს იღებენ, ბოროტად არ

[92] Committee on Economic, Social and Cultural Rights, General Comment No. 13: The Right to Education (Art. 13), E/C.12/1999/10, 1991, პარ. 6.

[93] სწორედ ამას აღნიშნავს შშმ პირთა უფლებების შესახებ გაეროს კომიტეტი თავის №4 ზოგად კომენტარში, რომელიც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ეხება საგანგებო მდგომარეობის ზეგავლენას ინკლუზიური განათლების სისტემაზე. კომიტეტი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ისეთ სიტუაციებს, როგორიცაა, მაგალითად, შეიარაღებული კონფლიქტები, ჰუმანიტარული თუ ბუნებრივი კატასტროფები, არაპროპორციული ზეგავლენა აქვთ ინკლუზიური განათლების უფლებაზე.

[94] „სახელმწიფოს შეუძლია ეს უფლებები დაუქვემდებაროს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შეზღუდვებს, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს შეთავსებადია ამ უფლებათა ბუნებასთან, და მხოლოდ დემოკრატიულ საზოგადოებაში საერთო კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით“.

უნდა გამოიყენებოდეს და უნდა მოიხსნას ან შემსუბუქდეს, როგორც კი ეს ზომები აღარ იქნება აუცილებელი საზოგადოებრივი ჯანდაცვის დასაცავად.

ისევე როგორც პაქტი, არც ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს კონვენცია ითვალისწინებს უფლებებიდან გადახვევის შესაძლებლობას. ამასთანავე, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი მიუთითებს, რომ ღონისძიებები, რომლებიც საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაცვის მიზნით დაწესდა, ბავშვის უფლებების შეზღუდვისთვის მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში და მინიმალური დოზით უნდა გამოიყენებოდეს და უნდა აკმაყოფილებდეს პროპორციულობის ტესტს. კომიტეტის მითითებით, ზემოაღნიშნულ პრინციპებთან ერთად, სახელმწიფოს მიერ გატარებულმა ზომებმა ბავშვის საუკეთესო ინტერესებს უნდა მიანიჭონ პრიორიტეტი.[95]

პანდემიის დროს მიღებულ ზომებზე საუბრისას, განათლების უფლებაზე გაეროს სპეციალური მომხსენებელი მიუთითებს, რომ სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, ჰქონდეთ უარყოფითი ზეგავლენის შემცირების სტრატეგია, განსაკუთრებით ისეთი სიტუაციების დროს, რომელიც არაპროპორციულად სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფზე აისახება.[96] ამ შემთხვევაში, მთავრობებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ, რათა პანდემიას ყველაზე სამართლიანი მეთოდებით ებრძოლონ და აარიდონ დამატებითი ეკონომიკური ტვირთი საზოგადოების ყველაზე მარგინალიზებულ და მოწყვლად ჯგუფებს. ეს ვალდებულება, მათ შორის, მოიცავს მჭიდრო და ეფექტიან კომუნიკაციას სხვადასხვა რელევანტურ ინსტიტუტს, მასწავლებლებს, მშობლებსა და მთლიანად საზოგადოებას შორის, საჭიროებების გამოსავლენად და გასააზრებლად.[97]

რელევანტური საერთაშორისო სტანდარტების საპირწონედ, მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს საქართველოში მოქმედ ეროვნულ მექანიზმებზეც, რომლებიც არასრულწლოვნების ზოგადი განათლების მიმართულებით მნიშვნელოვან რეგულირებას აწესებს. ეროვნულ დონეზე არსებული სტანდარტებიდან, პირველ რიგში, აღსანიშნავია საქართველოს კონსტიტუცია, რომელსაც განათლებაზე ზრუნვის კომპონენტი სოციალური სახელმწიფოს პრინციპში გაჰყავს და ყველასთვის გარანტირებულს ხდის განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლებას, დაწყებითი და სავალდებულო საბაზო განათლებისა ზოგადი განათლების სრულ დაფინანსებას.[98]

კონსტიტუციით გათვალისწინებულ ზოგად ვალდებულებას აკონკრეტებს ისეთი აქტები, როგორიცაა, ბავშვის უფლებათა კოდექსი, საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ" და საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ". სხვადასხვა მნიშვნელოვან სტანდარტებთან ერთად, კანონმდებლობა საგანგებოდ მიუთითებს ყველა ბავშვის უფლებაზე, მიიღოს ხარისხიანი და ინ-

[95] ბავშვთა უფლებების კომიტეტი, განცხადება COVID-19– ის შესახებ, 2020; ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3t0M5gd. [ბოლოს ნანახია: 2021 წლის 3 აგვისტოს].

[96] Report of the Special Rapporteur on the right to education, Right to education: impact of the coronavirus disease crisis on the right to education – concerns, challenges and opportunities, A/HRC/44/39, 2020, პარ. 80.

[97] აღსანიშნავია, რომ მომხსენებლის მიერ შემოთავაზებული მოდელი წინააღმდეგობაში მოდის განათლების ავტორიტარულ სისტემებთან, რომელიც გლობალური მასშტაბით, უამრავ ქვეყანაში გვხვდება.

[98] საქართველოს კონსტიტუცია, მ. 5 (6), 27.

კლუზიური განათლება და სახელმწიფოს პასუხისმგებლობაზე,[99] უზრუნველყოს განათლების ინკლუზიური სისტემის ყველასთვის ხელმისაწვდომობა.[100] ეს ვალდებულება, მათ შორის, გულისხმობს ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას ბავშვების ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესაბამისად, ისევე, როგორც არასრულწლოვნებისთვის განათლების სისტემისთვის რელევანტურ ინფორმაციაზე წვდომას, სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების სკოლაში დაბრუნების ხელშეწყობას და ბავშვების მიერ სკოლის მიტოვების თავიდან აცილებას, ასევე, განათლების ყველა საფეხურზე ბავშვის მონაწილეობის უფლების უზრუნველყოფას.[101]

ძირითადი ეროვნული სტანდარტების მიმოხილვიდან ნათელი ხდება, რომ ზოგადი განათლების უზრუნველმყოფი ზოგადი სამართლებრივი ჩარჩო, ერთი შეხედვით, სახეზეა, თუმცა, მთავარი კითხვა მისი აღსრულების პროცესის ეფექტიანობას მიემართება, განსაკუთრებით, როდესაც საქმე COVID-19-ის პანდემიის კონტექსტსა და სხვადასხვა მოწყვლადი, მარგინალიზებული ჯგუფების წარმომადგენლებს ეხებათ.

1.2. სწავლის დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა

ახალი კორონავირუსის პანდემიის მართვისა და გავრცელების თავიდან ასაცილებლად, საქართველოს მთავრობამ შესაბამისი ზომების მიღება 2020 წლის იანვრიდან დაიწყო. სამწუხაროდ, ქვეყანაში ვირუსის გავრცელებამდე პერიოდში აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ყურადღება მხოლოდ საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ამ სფეროში მოსახლეობის ინფორმირების საკითხებზე გაამახვილა, ხოლო სხვა მიმართულებით (მათ შორის, განათლების სისტემაში), პანდემიის თანმდევი გამოწვევების დაძლევისა თუ შემსუბუქების გეგმა არ გაითვალისწინა.[102] კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულებამ COVID-19-ის გავრცელებაზე საპასუხო ოპერატიული გეგმის ზომებად მიუთითა ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა, დაავადების აღმოჩენა, დადასტურება, საფრთხის შეფასება, ტესტირებისა თუ ეპიდკვლევის წარმართვა, ასევე, ეპიდვითარებისა და მისი შედეგების მიმართულებით გატარებული ღონისძიებების შესახებ საზოგადოების ინფორმირება, თუმცა არ გაწერა, მაგალითისთვის, შესაძლო კრიზისულ სიტუაციაში განათლების სისტემის შეუფერხებელი ოპერირებისათვის აუცილებელი ხედვა და მექანიზმები.

[99] აღსანიშნავია, რომ ეს ვალდებულება კიდევ უფრო რელევანტური და მყარი ხდება ისეთ შემთხვევებში, როდესაც არსებობს ბავშვის მიტოვების ან ოჯახისგან განცალკევების რისკი, არასრულწლოვანი იმყოფება ალტერნატიულ ზრუნვაში; იხ. ბავშვის უფლებათა კოდექსი, მ. 27, 29.

[100] ბავშვის უფლებათა კოდექსი, მ. 10, 35 – 37, 93; „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონი, მ. 8, 27; „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, მ. 7, 9.

[101] ბავშვის უფლებათა კოდექსი, მ. 5, 85, „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, მ. 10-11.

[102] საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულება „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ". განკარგულება მის ძირითად დანიშნულებად ინფიცირების შემთხვევებზე რეაგირების გეგმის ჩამოყალიბებას, ეროვნულ დონეზე რეაგირების ღონისძიებებისა და სახელმწიფო უწყებების შესაბამისი ვალდებულებების გაწერას მიუთითებს.

COVID-19-ის პანდემიის დროს გლობალურ დონეზე ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული ზომა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ფიზიკურ სივრცეში სწავლის პროცესის შეჩერება და დისტანციური რეჟიმის შემოღება იყო.[103] გამონაკლისი არც საქართველო აღმოჩნდა. 2020 წლის მარტში, სხვადასხვა ღონისძიების პარალელურად, მთავრობამ მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე შეაჩერა სასწავლო პროცესი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ფიზიკურ სივრცეში და ის მთლიანად დისტანციურ რეჟიმზე გადაიყვანა. პანდემიის საწყის ეტაპზე, ეს რეგულაცია 2081 საჯარო და 221 კერძო სკოლის 579 995 მოსწავლეს შეეხო.[104]

მიუხედავად CRIA-ს ძირითადი მიზნებისა, რელევანტურ უწყებებში შესაბამისი მონაცემების არარსებობამ, რაოდენობრივი მონაცემების ზუსტი ასახვა შეუძლებელი გახადა. თუმცა დისტანციური სწავლების შესახებ სამთავრობო რეგულაციების შინაარსი არათანაბარ და დისკრიმინაციულ გარემოს ქმნის სიღარიბეში მცხოვრებ და სოციალურად დაუცველ არასრულწლოვნებთან, მათ შორის, სოფლად და მთიან რეგიონებში მცხოვრებ, მიუსაფარ ან სოციალურ საცხოვრისებში განთავსებულ ბავშვებთან მიმართებით.

1.2.1. ზოგადი რეგულაციები და გამოწვევები

კოვიდ-19-ის პანდემიის შეკავების მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მუშაობა 2020 წლის 4 მარტს შეაჩერეს. 30 მარტიდან სწავლების დისტანციური რეჟიმი სრულად იყო დანერგილი.[105] რამდენიმე თვეში ცვლილებები შევიდა „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში და ამოქმედდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 9 სექტემბრის №95/ნ ბრძანება „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ".

აღსანიშნავია, რომ „ზოგადი განათლების შესახებ" კანონი დისტანციური სწავლების შესაძლებლობას ჯერ კიდევ 2016 წლიდან იცნობდა. თუმცა, 2020 წელს, საკანონმდებლო ცვლილებებით, დისტანციური სწავლების ზოგადი ჩარჩო ქვეყანაში არსებულ სიტუაციასა და კონტექსტს მოერგო, განმარტა დისტანციური სწავლება, როგორც სასწავლო პროცესის დისტანციური/ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით წარმართვა და სინქრონულთან[106] ერთად, ასინქრონული[107] კომუნიკაციის ფორმატიც გაითვალისწინა.

[103] UNESCO, Education: From Disruption to recovery, https://bit.ly/3yzRKvT.

[104] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, პანდემია და ზოგადი განათლება საქართველოში, 2020, 5.

[105] COVID-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში, 2020; ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3nUIHDg [ბოლოს ნანახია 2021 წლის 21 სექტემბერს].

[106] სინქრონული კომუნიკაცია გულისხმობს ისეთი ტიპის ინტერაქციას, როცა ინფორმაციის გამგზავნსა და მიმღებს შორის კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს ხორციელდება; იხ. „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, მ. 6[1](2).

[107] ასინქრონული კომუნიკაცია არის ისეთი ტიპის ინტერაქცია, როდესაც ინფორმაციის გამგზავნსა და მიმღებს შორის კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს არ ხორციელდება, იხ. „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, მ. 6[1](2).

კვლევამ აჩვენა, რომ პანდემიიდან მომდინარე სწავლების ფორმის ცვლილებას როგორც სამინისტრო, ისე საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები, ბავშვები და მათი ოჯახები, უმეტესწილად მოუმზადებლები შეხვდნენ. კვლევაში მონაწილეთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა აღნიშნა, რომ 2020 წლის გაზაფხულზე, დისტანციური სწავლების ფორმატზე გადასვლის პროცესი საკმაოდ ქაოტურად წარიმართა.[108] ეს, ერთი მხრივ, შეიძლება აიხსნას პანდემიის მდგომარეობის ექსტრაორდინარულობით და წინარე გამოცდილების არარსებობით, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომების ბლანკეტურობითა და მთელი რიგი მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების არაპრიორიტეტიზაციით.

- *დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ერთპიროვნულად პრემიერ-მინისტრთან არსებულმა საკოორდინაციო საბჭომ მოახდინა, რომელიც მთავრობის წარმომადგენლებისა და ეპიდემიოლოგებისგან არის დაკომპლექტებული. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადებით, ამ გადაწყვეტილების მიღება მოხდა არსებული ეპიდვითარებიდან გამომდინარე და ბავშვები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, ბავშვთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები, მშობელთა ორგანიზაციები, შშშპ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები* ***ამ პროცესებში ჩართულები არ ყოფილან.***[109]

- *მასწავლებლებისა და ბავშვების განცხადებით, მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია, თუ როდის დაბრუნდებოდნენ სკოლებში, რაც მათში დამატებით სტრესს იწვევდა. ინფორმაციულმა ვაკუუმმა, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამ და მთელმა რიგმა შეზღუდვებმა გაართულა ბავშვების ქცევა, რაც მწვავედ გამოვლინდა მათი სკოლაში დაბრუნების შემდგომ.*[110] *მეორე მხრივ, ბავშვების ნაწილისა და ცალკეული სკოლების წარმომადგენლების განცხადებით, დისტანციური სწავლების პერიოდში ბავშვების ემოციური დონე მნიშვნელოვნად არ გაუარესებულა, თუმცა მათ უპირობოდ ერჩივნათ სკოლაში, კონტაქტური სწავლების გზით მიეღოთ განათლება.*[111]

- *მასწავლებლების თქმით, დისტანციური სწავლების მოდელზე გადასვლის პროცესი ცალკეული ბავშვებისთვის განსაკუთრებით სტრესული გამოდგა. კერძოდ, ონლაინ გაკვეთილში ჩართვის და მონაწილეობის დისკომფორტი ექმნებოდათ გადატვირთულ საცხოვრისში მცხოვრებ ბავშვებს, ასევე, არასრულწლოვნებს, რომელთაც ოჯახური კონფლიქტის ფონზე უწევდათ გაკვეთილის მოსმენა და საგაკვეთილო პროცესში ჩართვა. მაგალითისთვის, კვლევის პროცესში, ერთ-ერთმა მასწავლებელმა გაიხსენა საგაკვეთილო პროცესში ბავშვის სახლში მშობლებს შორის კონფლიქტისა და მშობლების მხრიდან ბავშვის მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევა, რამაც არასრულწლოვანი მძიმე ფსიქოემოციურ მდგომარეობაში ჩააგდო.*[112]

---

[108] ფოკუს-ჯგუფი საჯარო სკოლის მოსწავლეებთან.
[109] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი MES 9 21 0000581485; 16.06.2021.
[110] ფოკუს-ჯგუფი საჯარო სკოლის თანამშრომლებთან.
[111] გასაუბრება საჯარო სკოლის დირექტორთან.
[112] ფოკუს-ჯგუფი საჯარო სკოლის მასწავლებლებთან.

ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევა, რაც სწავლების დისტანციურ ფორმატში გადასვლის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებისას წარმოიშვა, რელევანტური ელექტრონული პლატფორმების გამოყენების შესახებ, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მათი ოჯახის წევრების/კანონიერი წარმომადგენლების არასათანადო ინფორმირებულობა იყო.[113] ცალკეული სკოლების მასწავლებლების განცხადებით, მათ სრულ თუ ნაწილობრივ[114] შემადგენლობას ჩაუტარდა ტრენინგები საკომუნიკაციო სისტემების[115] ან/და Teams - ის პლატფორმის გამოყენების შესახებ. გაცილებით პრობლემური იყო მსგავსი გადამზადების საკითხი მოსწავლეებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან მიმართებით. კვლევის პერიოდში, როგორც მოსწავლეები, ისე საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები ერთხმად მიუთითებდნენ, რომ მსგავსი ტიპის ტრენინგები მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს არ ჩატარებიათ.[116]

- *მიუხედავად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სკოლებისთვის მიწოდებული რეკომენდაციებისა, დისტანციური სწავლების ფორმატზე გადასვლის პირველ კვირებში (საშუალოდ, 1-2 თვის განმავლობაში) გამოკითხული მასწავლებლებისა და მოსწავლეების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის Teams-ის პლატფორმით სარგებლობა მნიშვნელოვან ბარიერებთან იყო დაკავშირებული.*

- *რესპონდენტები მნიშვნელოვანი ნაწილის განცხადებით, პლატფორმის გამოყენება თვითონ ისწავლეს და უამრავი ტექნიკური პრობლემა ასევე დამოუკიდებლად დასძლიეს. Teams-ის პროგრამის მოხმარების წესების შესახებ მასწავლებლების ნაწილმა, დისტანციური სწავლების დაწყების საწყის ეტაპზე, ხოლო ნაწილმა შემოდგომაზე გაიარა გადამზადება.[117]*

მეორე მხრივ, კვლევის პროცესში მნიშვნელოვან გამოწვევად წარმოჩნდა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გაცემული რეკომენდაციების ზოგადი ხასიათი და რეალურ ცხოვრებაში მისი ეფექტიანი გამოყენების სირთულეები.

- *მასწავლებლების ნაწილს არ მიუღია რაიმე ტიპის მითითება დისტანციურ სწავლებაზე გადასვლისას მეთოდოლოგიის შეცვლის შესახებ - სკოლა-პანსიონის მასწავლებლები.*

- *ცალკეული სკოლების წარმომადგენლების განცხადებით, მათ საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან სისტემატურად ეგზავნებოდათ პანდემიასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია/რეკომენდაციები,[118] ხოლო საინფორმაციო შეხვედრები Teams პლატფორმის საშუალებით ტარდებოდა დირექციის წარმომადგენლებსა და მასწავლებლებს შორის.[119]*

[113] ფოკუს-ჯგუფი საჯარო სკოლის თანამშრომლებთან.
[114] ამ შემთხვევაში, მასწავლებლებმა, რომლებმაც ტრენინგები გაიარეს, გადამზადებისას მიღებული ინფორმაცია სკოლის დანარჩენ პედაგოგებს მიაწოდეს.
[115] გასაუბრება საჯარო სკოლის დირექტორთან.
[116] ფოკუს-ჯგუფი საჯარო სკოლის მოსწავლეებთან; ფოკუს-ჯგუფი სკოლა-პანსიონის ადმინისტრაციასა და პედაგოგებთან.
[117] საჯარო სკოლაში ვიზიტის შედეგები.
[118] საჯარო სკოლაში ვიზიტის შედეგები.
[119] გასაუბრება საჯარო სკოლის დირექტორთან.

ინფორმირების ნაკლებობასთან ერთად, მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო, ერთი შეხედვით, ტექნიკური საკითხები, რომლებიც ცალ-ცალკე თუ ერთიანობაში, არსებითად აფერხებდა სწავლების პროცესს და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. მათ შორის, აღსანიშნავია **Teams-ის პლატფორმის ტექნიკური გაუმართაობა**. გამოკითხულ მასწავლებელთა და მოსწავლეთა ნაწილი მიუთითებს ამ პროგრამის ტექნიკურ ხარვეზებზე, რაც, მისი გამოყენების სრულყოფილი ცოდნის არარსებობის პირობებში, გაკვეთილის წარმართვის პროცესში, კიდევ უფრო დიდ პრობლემებს ქმნიდა.[120] მათი განცხადებით, ხარვეზები (მაგალითად, ხმა და გამოსახულება არ იყო მკაფიო, მოსწავლეებმა გვიან მიიღეს პირადი პაროლის შესახებ ინფორმაცია,[121] პროგრამა დროდადრო გაუმართავი ხდებოდა და საგაკვეთილო პროცესიდან თავისთავად აგდებდა გაკვეთილის მონაწილეებს - მასწავლებლებსა და მოსწავლეებს) დისტანციური სწავლების ფორმატზე გადასვლის საწყის ეტაპზე იყო და შემდეგ აღმოიფხვრა.

ამასთანავე, როგორც ბავშვებისთვის, ისე პედაგოგებისთვის, მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი იყო **სწრაფი და ხარისხიანი ინტერნეტის არარსებობა,** რაც, საბოლოო ჯამში, მათ საგაკვეთილო პროცესში აქტიური ჩართვის პრობლემებს უქმნიდა. ინტერნეტის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ გამოიკვეთა სოციალურ-ეკონომიკური ნიშნით მოწყვლად ოჯახებსა[122] და ისეთ რეგიონებში, სადაც ინტერნეტიზაცია აქტიურად არ იყო განხორციელებული. გამოკითხული მოსწავლეებისა და პედაგოგების[123] ნაწილისთვის არსებითი პრობლემა იყო ისეთი ტიპის/ხარისხის **ტექნიკის ქონა**, რომლის მეშვეობითაც ისინი ონლაინ პლატფორმების გამოყენებას ან/და შეუფერხებლად სარგებლობას შეძლებდნენ. ამ პრობლემამ განსაკუთრებით იჩინა თავი სახელმწიფო ზრუნვის სერვისში განთავსებულ ბავშვებთან მიმართებით, ასევე, მრავალშვილიან ოჯახებში ან/და სოციალურ-ეკონომიკური ნიშნით მოწყვლად შინამეურნეობებში.[124]

- *დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის დროისთვის ბავშვების ნაწილს ჯერ კიდევ პირველ კლასში დარიგებული ლეპტოპები ჰქონდა, თუმცა ნაწილს გაუფუჭდა, რის გამოც საგაკვეთილო პროცესში მათი ჩართვა პრობლემური გახდა - სკოლა-პანსიონი.*

- *ბავშვებს ჰქონდათ მხოლოდ ერთი ისეთი კომპიუტერი, რომელშიც ხმა ისმოდა. შესაბამისად, პრობლემები იქმნებოდა ონლაინ საგაკვეთილო პროცესში ჩართვის მიმართულებით. არასრულწლოვნებს ასევე არ ჰქონდათ ინფორმაცია ფაილის სახით, როგორ გაეგზავნათ მომზადებული დავალებები - მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლი.*

[120] ფოკუს-ჯგუფი საჯარო სკოლის მოსწავლეებთან.
[121] მაგალითად, მიუსაფარ ბავშვთა ერთ-ერთ სერვისში ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან გადმოგზავნილი პაროლები არ იყო მათი პროგრამის შესაბამისი.
[122] მაგალითად, გამოვლინდა ისეთი შემთხვევა, როდესაც კლასის დამრიგებელმა გადაუხადა ინტერნეტის საფასური სოციალურად დაუცველ მოსწავლეებს, გასაუბრება სკოლა-პანსიონის დირექტორთან.
[123] აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში, როგორც წესი, უშუალოდ საგანმანათლებლო დაწესებულებები უზრუნველყოფდნენ მასწავლებლებისთვის შესაბამისი ტექნიკისა და სივრცის გამოყოფას.
[124] საჯარო სკოლაში ვიზიტის შედეგები.

აღსანიშნავია, რომ Teams-ის პროგრამის გარდა, დისტანციური სწავლების პერიოდში ასევე გამოიყენებოდა messenger-ის აპლიკაცია, ტელეფონით ინფორმაციის მიწოდების ფორმატი და „ტელესკოლის" პროექტი.

- *რეგიონში მცხოვრები ბავშვებისა და მშობლების ჩართულობის სირთულის გამო, რაც შესაბამისი საკომუნიკაციო საშუალებებისა და ტექნიკის არქონით იყო გამოწვეული, მოხდა მშობლებისთვის საინფორმაციო ვიდეოების ჩაწერა და გაგზავნა. ასევე, იმ მოსწავლეებს, რომლებსაც მასწავლებლები ვერცერთი საშუალებით ვერ დაუკავშირდნენ, საქართველოს ფოსტის საშუალებით გაუგზავნეს დავალებები და სასწავლო რესურსი, თუმცა, ამ შემთხვევაში პრობლემა იყო უკუკავშირი შესრულებული დავალებების შესახებ. შესაბამისად, მოსწავლეებს მიეცათ მითითება, რომ სკოლაში დაბრუნებისას წარმოედგინათ შესრულებული დავალებები - საჯარო სკოლის დირექტორი;*

- *ინტერნეტისა და კომპიუტერის არქონის პირობებში, სკოლა ბავშვებს თავად აწვდიდა ადაპტირებულ სახელმძღვანელოებსა და დავალებებს. დაწესებულებამ ასევე მოიძია რესურსები და ბავშვებს 15 პლანშეტი გადასცა - საჯარო სკოლის პედაგოგები;*

- *ცალკეულ მოსწავლეთა შეფასებით, ტელესკოლა მათთვის გამოსადეგი არ აღმოჩნდა, რადგან აცდენილი იყო საგნის პროგრამას და მასწავლებლებს მაინც ახლიდან, დეტალურად უწევდათ საკითხების ახსნა - საჯარო სკოლა;*

- *ერთ-ერთ საჯარო სკოლაში ვიზიტისას გაირკვა, რომ დისტანციური სწავლების პერიოდში სკოლის კომპიუტერებში messenger-ი, ადრინდელი პერიოდის მსგავსად, სამინისტროს საინფორმაციო სისტემის დონეზე იყო დაბლოკილი, რის გამოც, მასწავლებლებს საკუთარი ინტერნეტით უწევდათ სარგებლობა.*

მიუხედავად ინტერნეტსა და ტექნიკასთან წვდომის მნიშვნელოვანი პრობლემებისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არ მიუღია შესაბამისი ზომები ამ გამოწვევების აღმოსაფხვრელად. კვლევის პერიოდში ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ სამინისტრომ სკოლებიდან გამოითხოვა ინფორმაცია ამგვარი საჭიროების მქონე ბავშვების შესახებ, თუმცა ამას საპასუხო ქმედება არ მოჰყოლია. ამასთანავე, უწყებას თავის ოფიციალურ კორესპონდენციაში არ წარმოუდგენია იმ მოსწავლეთა სტატისტიკური მონაცემები, რომლებსაც ინტერნეტთან ან/და შესაბამის ტექნიკურ მოწყობილობებთან დაკავშირებით, მონაცემების ცვალებადობისა და არასანდოობის მიზეზით, პრობლემები ექმნებათ. სამინისტრომ ასევე მიუთითა, რომ მთელ რიგ შემთხვევებში, „ოჯახებს აქვთ წვდომა ინტერნეტსა და მოწყობილობებთან, მაგრამ სუბიექტური შეხედულებების გამო აფერხებენ მოსწავლეთა ჩართულობას დისტანციურ სასწავლო პროცესში".[125] ამის პარალელურად, სხვადასხვა კვლევა მიუთითებს, რომ მთელი ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 79.3 პროცენტს (სოფლად მცხოვრები მოსახლეობის 69.3 პროცენტს) აქვს ინტერნეტზე წვდომა, ხოლო გაეროს ბავშვთა ფონდის ანგარიშის თანახმად,[126] 3-დან 17-წლამდე ასაკის 50400 ბავშვს არ აქვს კომპიუტერსა და

[125] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი MES 9 21 0000581485; 16.06.2021.
[126] გაეროს ბავშვთა ფონდი, მოწყვლადი ბავშვები და რისკები ახალი კორონავირუსის (Covid-19) დროს, 2020, გვ. 5;

ინტერნეტზე წვდომა, რაც ონლაინ სწავლების მიღმა დარჩენილი ბავშვების შესაძლო მაღალ მაჩვენებლებზე მიუთითებს.[127]

სწავლების პროცესის დისტანციურ ფორმატში გადასვლამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა განათლების ხარისხზე. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დირექტორები, მასწავლებლები და მოსწავლეები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ სწავლების ხარისხმა, ისევე როგორც ბავშვების მოტივაციამ, იკლო. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი ინტერნეტდამოკიდებულების ხარისხიც.[128] მეტიც, ზოგიერთმა მოსწავლემ ისიც აღნიშნა, რომ იმდენად მიეჩვია კომპიუტერულ თამაშებს, რომ ძილის პრობლემები შეექმნა.[129] მეორე მხრივ, ბავშვებმა იმაზეც მიუთითეს, რომ დიდი ხნით კომპიუტერისა და მობილურის ეკრანთან ყოფნამ მათ ჯანმრთელობის პრობლემები შეუქმნა.[130]

ზემოაღნიშნული გამოწვევებიდან გამომდინარე, სასწავლო წლის დასაწყისში დასახული მიზნები ვერ შესრულდა და, საბოლოო ჯამში, მოდიფიცირება განიცადა. ამ მიმართულებით, კიდევ უფრო დიდი გამოწვევა იყო ონლაინ გაკვეთილებზე დასწრების დაბალი მაჩვენებლები და ბავშვების მიერ გაკვეთილების ათვისების სირთულე. დამატებით, გაკვეთილებისთვის დათმობილი დროის შემცირების გამო, სკოლებს მოუწიათ, განესაზღვრათ, თუ რა საკითხებს დაფარავდნენ სემესტრის განმავლობაში.

- *ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამის დაძლევასთან დაკავშირებით, აღმოჩნდა, რომ გაკვეთილების ხანგრძლივობა და მათი ჩატარების ინტენსივობა არ იყო საკმარისი მასალის დასამუშავებლად. მოსწავლეების განცხადებით, გარკვეული დრო ტექნიკურ საკითხებში იხარჯებოდა, დიდი დრო სჭირდებოდა დავალებების შემოწმებასა და გამოკითხვას და ამიტომ, ახალი მასალის ახსნის დრო აღარ რჩებოდა. ამიტომ, ზოგიერთ საგანში ვერ მოახერხეს წიგნების დასრულება. ბავშვებმა ამის ფონზე მოითხოვეს დამატებითი გაკვეთილების ჩატარება, რაც დაკმაყოფილდა - საჯარო სკოლის თანამშრომლები.*
- *მასწავლებლები ცდილობდნენ, ბავშვებისთვის კომპლექსური დავალებები შეეთავაზებინათ, რათა გაეზარდათ მათი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, ისევე, როგორც სწავლის ხარისხი. ზოგიერთ სკოლაში მასწავლებლები მშობლებს უგზავნიდნენ ელექტრონულ სერტიფიკატებს ბავშვების მოტივაციის ასამაღლებლად - საჯარო სკოლის თანამშრომლები.*

ზემოაღნიშნული გამოწვევების პირობებში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების[131] გამოკითხული დირექტორების განცხადებით, სასწავლო პროცესზე მონიტორინგი მიმდინარეობდა Teams-ის პლატფორმის მეშვეობით, პედაგოგებთან წინასწარ შეუთანხმებლად, მათი ყოველდღიური შესვლისა და გაკვეთილზე დასწრების მეშვეობით.

[127] International Partnership for Human Rights (IPHR), Human Rights Impact Assessment of The Covid-19 Response on the Territory Of Georgia, 2020, 37.
[128] ფოკუს-ჯგუფი მცირე საოჯახო ტიპის სახლის პერსონალთან.
[129] ფოკუს-ჯგუფი საჯარო სკოლის მოსწავლეებთან.
[130] ფოკუს-ჯგუფი საჯარო სკოლის მოსწავლეებთან.
[131] მათ შორის, სკოლა პანსიონების.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამგვარი ტიპის მონიტორინგი, ძირითადად, გაკვეთილის ჩატარებისა და მოსწავლეთა დასწრების ფაქტს უფრო ემსახურებოდა, ვიდრე სწავლების ხარისხის შეფასებას.

დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამ მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა პედაგოგებსაც. მათი განცხადებით, მათ, სულ მცირე, ორჯერ მეტი დროისა და ძალისხმევის ჩადება უწევდათ თითოეული გაკვეთილისთვის მოსამზადებლად. ამასთანავე, საგაკვეთილო პროცესის დისტანციურ ფორმატში წარმართვის გამო მათთვის რთული იყო მოსწავლეების ცოდნის ობიექტურად გაზომვა და შეფასება.[132]

- *ნიშნის დაწერისა და წლიური შეფასების გამოყვანის პროცესი პედაგოგებისათვის მნიშვნელოვანწილად პრობლემური გახდა, რადგან ფიზიკური და ონლაინ ჟურნალების მონაცემებს შორის მნიშვნელოვანი აცდენები გამოიკვეთა. საბოლოო ჯამში, საერთო გადაწყვეტილებით, შეფასების დაწერისას ფიზიკურ ჟურნალში არსებულ მონაცემებს მიენიჭა პრიორიტეტი.*

მიუხედავად ამ გამოწვევებისა, კვლევის პროცესში გამოიკვეთა დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის რეჟიმის დადებითი ეფექტი, როგორც ბავშვებთან და მშობლებთან, ისე მასწავლებლებთან მიმართებით. გამოვლენილი შედეგებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი საკითხები:

- **საგაკვეთილო პროცესში ცალკეული ბავშვების უკეთ ჩართვა** - მიუხედავად იმისა, რომ კვლევისას პრობლემურად გამოიკვეთა საგაკვეთილო პროცესში არასრულწლოვნების აქტიური მონაწილეობა და ეფექტიანი ჩართულობა, ცალკეულ მოსწავლეებთან მიმართებით, სწავლების დისტანციური მეთოდების გამოყენებას დადებითი შედეგი მოჰყვა. კერძოდ, დისტანციური სწავლების რეგულაციებმა ხელი შეუწყო ისეთ სოფლებში მცხოვრები ბავშვების მონაწილეობას, რომელთა საცხოვრებელი ადგილიც სკოლისგან მოშორებით მდებარეობდა და ამინდის გაუარესების მიზეზებით ფიზიკურად ვერ ახერხებდნენ სკოლაში მისვლასა და საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობას.

- **საგანმანათლებლო პროცესში მშობლების აქტიური ჩართვა** - დისტანციური სწავლების პროცესში მშობლების ჩართულობის კუთხით არსებული დაბრკოლებები ცხადად გამოჩნდა. ნათელი გახდა, რომ ცალკეულ მათგანს ნაკლებად ჰქონდა უნარები ბავშვების საგანმანათლებლო პროცესში დასახმარებლად. მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად გაიზარდა მშობლების ან/და ოჯახის წევრების როლი საგანმანათლებლო პროცესში ტექნიკური და პროგრამული მხარდაჭერის მიმართულებით, რამაც, მათი მხრიდან, დამატებითი დროითი რესურსი და შრომა მოითხოვა.[133] მიუხედავად ამ გამოწვევებისა და CRIA-ს პროცესში აღმოჩენილი სხვა პრობლემური საკითხებისა[134], კვლევაში მონაწილე მასწავლებელთა ნაწილმა მიუთითა, რომ ძირითად შემთხვევებში, სწავლების დისტანციურ მოდელზე გადასვლამ საგანმანათლებლო პროცესში მშობლების ჩართულობის ხარისხი აამაღლა. მეტიც, მშობლებმა უკეთ დაინახეს ბავშვების საჭიროებები, მათი შე-

[132] ფოკუს-ჯგუფი სკოლა-პანსიონის პედაგოგებთან.
[133] ფოკუს-ჯგუფი სკოლა-პანსიონის ადმინისტრაციასა და პედაგოგებთან.
[134] გამოვლენილი პრობლემების შესახებ, ასევე იხ. ინფორმაცია 23-ე გვერდზე.

საძლებლობები (განსაკუთრებით სსსმ ბავშვების შემთხვევაში), თავიანთი შვილების სასწავლო პროცესში ჩართვის მნიშვნელობა და დახვეწეს საკუთარი უნარებიც. საგანმანათლებლო პროცესებში მშობელთა აქტიური ჩართვის პარალელურად, მშობლებსა და სკოლებს შორის ურთიერთთანამშრომლობის კომპონენტი გაძლიერდა.[135]

- **ტექნიკასთან და ინტერნეტთან დაკავშირებული უნარების გაუმჯობესება** - დისტანციურმა სწავლებამ ხელი შეუწყო მასწავლებლებს, მნიშვნელოვნად დაეხვეწათ ტექნიკასთან და ინტერნეტთან დაკავშირებული უნარები და ამ მიმართულებით აქტიურად ემუშავათ საკუთარ თავზე.

1.2.2. დისტანციური სწავლების რეჟიმის ზეგავლენა ინკლუზიური განათლების სისტემაზე

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებამ დისტანციურ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ყველა მოსწავლეზე იქონია ზეგავლენა, თუმცა არსებითი გამოწვევების წინაშე, სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები დადგნენ, მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია შშმ და სსსმ ბავშვები.

2020 წლის სექტემბერში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით, დაწესდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ვალდებულებები სსსმ მოსწავლეებთან მიმართებით.[136] აღნიშნულმა ინსტრუმენტმა გაითვალისწინა სკოლების ვალდებულება, დისტანციური სწავლების ნებისმიერი მოდელის განხორციელებისას უზრუნველეყო სსსმ მოსწავლის შესაძლებლობებზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება, მასწავლებლებისა და სკოლის ინკლუზიური განათლების დამატებითი სპეციალისტების ჩართულობით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელთაც, თავის მხრივ, მუდმივი კომუნიკაცია ექნებოდათ მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელთან და კონსულტაციას გაუწევდნენ ამ უკანასკნელს არასრულწლოვნის მხარდაჭერის, ასევე, მისი აკადემიური, სოციალური და ფუნქციური უნარების განვითარებისთვის.

მიუხედავად ამ რეგულირებისა, განსაკუთრებულ პრობლემად გამოიკვეთა შშმ და სსსმ ბავშვების საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობა, განსაკუთრებით, ამ ჯგუფის წარმომადგენელთა სხვადასხვა ტიპის ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით:

- **უსინათლო ან მცირემხედველ პირებთან მიმართებით** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დისტანციური სწავლებისათვის უპირატესად შემოთავაზებული პლატფორმა (teams) არ იყო მისაწვდომი ამ ჯგუფის წარმომადგენელი ბავშვებისათვის, რაც მათ საგაკვეთილო პროცესში ეფექტიან ჩართულობას მნიშვნელოვანწილად აფერხებდა;

[135] გასაუბრება საჯარო სკოლის დირექტორთან.

[136] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 9 სექტემბრის №95/ნ ბრძანება „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“.

- **ყრუ და სმენის სირთულის მქონე პირებთან მიმართებით** - ამ ჯგუფის წარმომადგენლებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა დისტანციურ საგაკვეთილო პროცესში ჩართვა, ვინაიდან, Teams-ის პროგრამით სარგებლობა მოუხერხებელი იყო ჟესტური ენის თარჯიმნისთვის.[137] გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ ტელესკოლის პროექტი მასწავლებლების, სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და ბავშვების უმრავლესობის მიერ დადებითად ფასდებოდა, პრობლემური იყო მისი ეფექტიანი გამოყენება ყრუ და სმენის სირთულის მქონე ბავშვებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ გაკვეთილებს პარალელურად სურდოთარჯიმანი თარგმნიდა, მისი არახელსაყრელი განლაგების (მაგალითად, სურდოთარჯიმანს ზოგჯერ სატელევიზიო ლოგო ფარავდა, მისი გამოსახულება კი იმდენად მცირე იყო, რომ მოსწავლეები ვერ ახდენდნენ ერთდროულად მასზე და პედაგოგზე კონცენტრირებასა და საჭირო ინფორმაციის მიღებას) გამო მოსწავლეებს უჭირდათ გაკვეთილისა და მის ფარგლებში მისაღები ინფორმაციის სრულად აღქმა.[138] ამასთანავე, დისტანციური გაკვეთილების ჩატარებისას ტიტრების გამოუყენებლობის გამო, განსაკუთრებული გამოწვევის წინაშე დადგნენ ის არასრულწლოვნები, რომლებიც ჟესტურ ენას არასათანადოდ ან საერთოდ არ ფლობენ და კომუნიკაციისთვის ბაგეების მეშვეობით ინფორმაციის გაგების მეთოდს იყენებენ.
- **ფსიქოსოციალური და ინტელექტუალური ნიშნით შშმ პირებთან მიმართებით** - ამ ჯგუფის წარმომადგენლებისთვის, განათლების ფიზიკურ სივრცეში მიღების მნიშვნელობიდან გამომდინარე, სწავლების დისტანციური მოდელის შეთავაზება და ასეთი ტიპის პროცესში ჩართვა მნიშვნელოვან გამოწვევებს დაუკავშირდა, რადგან მათი საჭიროებებიდან გამომდინარე, ფიზიკურ სივრცეში განათლების მიღება უმნიშვნელოვანესია. მაგალითისთვის, აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებს გაუჭირდათ ეკრანთან დიდხანს გაჩერება და კონცენტრაცია.[139] დისტანციური სწავლების დროს უშუალო კომუნიკაციის არარსებობისა და შესაბამისი თვალსაჩინოებების (როგორც სასწავლო მასალის) გამოყენების შეზღუდვის გამო, გამოწვევები შეიქმნა ინტელექტუალური ნიშნით შშმ პირების საგაკვეთილო პროცესში ჩართვის მიმართულებითაც.[140] ყოველივე ამის გამო, პედაგოგებს გაკვეთილის მომზადებისა და სწავლებისათვის ჩვეულზე გაცილებით მეტი ძალისხმევის დახარჯვა უწევდათ.

ონლაინ სწავლების დროს სსსმ ბავშვების პროგრესის შეფასება მათი ინდივიდუალური განვითარების გეგმების მიხედვით წარმოებდა. თუმცა კვლევაში მონაწილე მასწავლებლებმა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ამ შემთხვევაშიც განაცხადეს, რომ მათი ჩართულობისა და სწავლების ხარისხმა მკვეთრად იკლო, რაც ბევრი ფაქტორით, მათ შორის, კომპიუტერულ ტექნიკასა და ინტერნეტთან შეზღუდული წვდომით, საგაკვეთილო პროცესისთვის გამოყოფილი მცირე დროით,[141]

[137] ფოკუს-ჯგუფი საჯარო სკოლის დირექტორთან, მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან.
[138] ფოკუს-ჯგუფი სკოლა-პანსიონის მოსწავლეებთან.
[139] საჯარო სკოლაში ვიზიტის შედეგები.
[140] ფოკუს-ჯგუფი სკოლა-პანსიონის დირექტორთან და მასწავლებლებთან.
[141] თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში, ზოგიერთი პედაგოგი და მოსწავლე იმასაც აღნიშნავდა, რომ ბავშვებს კომპიუტერთან გაკვეთილისთვის გამოყოფილი მცირე დროის განმავლობაშიც კი უჭირდათ გაჩერება.

იყო განპირობებული. მსგავსმა სიტუაციებმა, შესაძლოა, გამოიწვიოს პედაგოგების პროფესიული გადაწვა, რაც, შესაძლოა, მნიშვნელოვნად აისახოს სწავლების და განათლების ხარისხზეც.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რაც შშმ და სსსმ ბავშვების დისტანციურ საგაკვეთილო პროცესში ეფექტიან ჩართვასა და ხარისხიანი განათლების მიღებასთან იყო დაკავშირებული, არასრულწლოვნების ოჯახის წევრებზე გაზრდილი ვალდებულებები გახლდათ. მაგალითისთვის, ერთ-ერთი საჯარო სკოლის დირექტორის თქმით, დისტანციური სწავლების დროს მნიშვნელოვანი პრობლემა წარმოშვა იმან, რომ სპეციალური მასწავლებლების და ასისტენტების ვალდებულებები ფაქტობრივად გადავიდა მშობლებზე, რომლებიც, თავის მხრივ, არ აღმოჩნდნენ მზად ამ ვალდებულებების შესასრულებლად.

1.3 ეკონომიკური საქმიანობების შეჩერება

COVID-19-ის პანდემიის პირობებში, საქართველოს მთავრობამ ეკონომიკური საქმიანობების განსხვავებული რეგულირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. აღმასრულებელმა ხელისუფლებამ, ერთი მხრივ, განსაზღვრა სფეროები, რომელთაც, დაწესებული შეზღუდვების მიუხედავად, შეეძლოთ შეუფერხებლად განეგრძოთ საქმიანობა, ხოლო ეკონომიკური საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი შეჩერდა. შესაბამისად, ამ ღონისძიების ფარგლებში, დასაქმებულთა ნაწილმა სამუშაო ადგილი საერთოდ დაკარგა და შემოსავლის გარეშე დარჩა ან შემოსავალი მნიშვნელოვნად შეუმცირდა, ხოლო მეორე ნაწილმა მუშაობა დისტანციურ რეჟიმში განაგრძო.

ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვის ზემოაღნიშნული ზომის კომპლექსურობის გათვალისწინებით, არაერთგვაროვანი გახლდათ ბავშვების განათლების უფლების რეალიზაციის მაჩვენებლებიც.

- იმ ბავშვებს, რომელთა მშობლებმაც, პანდემიის მიუხედავად, ფიზიკურ/დისტანციურ სივრცეში გააგრძელეს მუშაობა, გამოწვევები შეექმნათ ტექნიკასთან წვდომის ნაწილში. კვლევის ფარგლებში გამართული ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ არასრულწლოვნების ნაწილი სწორედ მშობლის დაბრუნებას/სამუშაოს დასრულებას და მის საკუთრებაში არსებულ ტექნიკას ელოდებოდა საგაკვეთილო პროცესში ჩართვისთვის.[142] ამგვარ შემთხვევებთან დაკავშირებით, პედაგოგებმა განმარტეს, რომ ამ მოსწავლეებს გაკვეთილებს ინდივიდუალურად, უმეტესწილად, საღამოს საათებში უტარებდნენ. ამ მოცემულობამ, ფაქტობრივად წაშალა ზღვარი პედაგოგების სამუშაო და არასამუშაო დროს შორის. დამატებით, მათივე განცხადებით, მათ ხშირად ღამითაც უგზავნიდნენ მშობლები შესრულებულ დავალებებს და სთხოვდნენ უკუკავშირს. ყოველივე ეს მასწავლებლებისთვის აღმოჩნდა სტრესული გამოცდილება, თუმცა, სტრესის დაძლევის კუთხით გადამზადება, ან რაიმე ტიპის სერვისი მათთვის ხელმისაწვდომი არ ყოფილა.[143]

[142] ფოკუს-ჯგუფი საჯარო სკოლის მოსწავლეებთან.
[143] ფოკუს-ჯგუფი საჯარო სკოლის თანამშრომლებთან.

– იმ არასრულწლოვნებთან, რომელთა მშობლებმაც/კანონიერმა წარმომადგენლებმა სამსახური/შემოსავალი მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგეს, ძირითადი გამოწვევები სოციალურ-ეკონომიკური მოწყვლადობის მიმართულებით წარმოიშვა. ცხადია, ამ შემთხვევაში, ბავშვების განათლებაზე დახარჯული თანხების რაოდენობა შემცირდა, რამაც გაზარდა განათლების ფინანსური ხელმისაწვდომობის გამოწვევები. შესაბამისად, სიღარიბეში მცხოვრები ბავშვებისათვის პრობლემა არა მხოლოდ ინტერნეტი და ტექნიკაზე წვდომა, არამედ მინიმალური სასწავლო მასალების არსებობა, საკვების ნაკლებობა და ფიზიკური გადარჩენა იყო. ამ მიმართულებით, დადებითად უნდა აღინიშნოს სკოლა-პანსიონების პრაქტიკა, რომელთაც არსებული, გამოუყენებელი ვაუჩერები სემესტრში რამდენჯერმე (ძირითადად, 2-3 ჯერ) მოსწავლეებზე საკვების გასაცემად გამოყვეს.[144]

შინამეურნეობების სოციალურ-ეკონომიკური მოწყვლადობის ზრდამ გაზარდა არასრულწლოვნების შრომითი ექსპლოატაციისა და მათი საშინაო შრომაში ჩართვის რისკები.[145] სამწუხაროდ, პანდემიის პირობებში დამდგარი საფრთხეების მიუხედავად, კვლევაში მონაწილე პედაგოგები, ისევე როგორც სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ვერ იხსენებდნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ისეთ სპეციფიკურ რეკომენდაციას, რომელიც დისტანციური სწავლების დროს შრომითი ექსპლოატაციის სავარაუდო ნიშნების გამოვლენასა და რეაგირებაში დაეხმარებოდათ.

1.4. სერვისების ფიზიკური გაცემისა და ტრანსპორტის შეზღუდვა

ბავშვთა ზოგადი განათლების უფლების რეალიზაციაზე პანდემიის დროს მიღებულმა ისეთმა ზომებმაც მოახდინა ზეგავლენა, როგორიცაა სახელმწიფო სერვისების, მათ შორის, სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამით გათვალისწინებული მომსახურებების დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლა და სატრანსპორტო გადაადგილების შეზღუდვა.

ღონისძიებებმა განათლების უფლების რეალიზაციის მიმართულებით, განსაკუთრებული ზემოქმედება მოახდინეს შშმ და სსსმ ბავშვებზე, სხვადასხვა (მათ შორის, სარეაბილიტაციო) სერვისის საჭიროების მქონე არასრულწლოვნებზე, ასევე, იმ ბავშვებზე, რომლებთანაც სოციალური მუშაკები ინტენსიურად მუშაობდნენ. ერთი მხრივ, ტრანსპორტთან წვდომის, ხოლო, მეორე მხრივ, სერვისების დისტანციურ რეჟიმში გაცემის ფორმის გამო, ეჭვქვეშ დადგა ბავშვების მიერ მომსახურებების ეფექტიანად მიღების საკითხი. ონლაინ ფორმატით სერვისების მიღება განსაკუთრებით გაუჭირდათ შშმ და სსსმ მოსწავლეებს, რამაც, მათი ფსიქოემოციური ფონის დამძიმება, კონცენტრაციის პრობლემები გამოიწვია. ყოველივე ეს მათთვის საგაკვეთილო პროცესში ჩართვის არსებითი ხელშემშლელი ფაქტორი იყო.

პანდემიის პირობებში შესაბამისი სერვისების წყვეტით გამოწვეული პრობლემები განსაკუთრებით ნათელი გახდა მას შემდეგ, რაც სასწავლო პროცესი კლასებში გაგრძელდა.

[144] გასაუბრება სკოლა-პანსიონის დირექტორთან.
[145] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, ბავშვთა შრომა ახალი კორონა ვირუსის პანდემიის პირობებში და მის მიღმა, 2020, 27 – 29.

პერსონალის განცხადებით, ბავშვები სახლებიდან გართულებული, ცალკეულ შემთხვევებში, აგრესიული ქცევით დაბრუნდნენ.[146]

როგორც ზემოთ აღინიშნა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობის შეჩერებითა და სერვისების ონლაინ რეჟიმზე გადასვლით, სოციალური მუშაკების გადაადგილებისა და ოჯახებში ვიზიტის მიმართულებით სერიოზული გამოწვევები შეიქმნა. სოციალური მუშაკების განცხადებით, პანდემიის გამო, უკიდურესი და გადაუდებელი შემთხვევების გარდა ადგილზე არ გადიოდნენ და ოჯახს კომუნიკაციის დისტანციური საშუალებების დახმარებით უკავშირდებოდნენ.[147] ცხადია, პანდემიის დროს დამძიმებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ამგვარმა ბარიერებმა კიდევ უფრო გაართულა ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის, არასრულწლოვნის განათლების უფლების დარღვევის ფაქტების გამოვლენისა და მასზე რეაგირების შესაძლებლობები.

1.5. ვაქცინაციის დანერგვის ეროვნული გეგმით გათვალისწინებული პრიორიტეტები

საქართველოში COVID-19-ის ვაქცინაციის დანერგვის ეროვნული გეგმა 2021 წლის 21 იანვარს დამტკიცდა.[148] გეგმის თანახმად, გამოიყო ის ჯგუფები, რომელთაც ვაქცინაცია პრიორიტეტულად უნდა ჩატარებოდათ. ამ გეგმის ფარგლებში, პედაგოგები მხოლოდ II – III ფაზაში აღმოჩნდნენ და არ ჩაითვალნენ ე.წ. „წინა ხაზის მშრომელებად", რაზეც საერთაშორისო დონეზე მომზადებულმა არაერთმა ანგარიშმა მიუთითა.

აღსანიშნავია, რომ ვაქცინაციის ზომა, ერთი შეხედვით, ნეიტრალური ხასიათისაა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეებთან მიმართებით, იმდენად, რამდენადაც ამგვარი გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების დროს უშუალოდ არასრულწლოვნების ვაქცინაციის საკითხი არ განიხილებოდა. თუმცა, მეორე მხრივ, ამ პროცესში მასწავლებელთა უპირობო პრიორიტეტიზაცია იქნებოდა საგანმანათლებლო პროცესის ფიზიკურ სივრცეში მდგრადი ფუნქციონირებისა და დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის რისკების მაქსიმალური შემცირების წინაპირობა.

ამასთანავე, საყურადღებოა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, „კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხისა და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №975 განკარგულების თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მომუშავე პირები ექვემდებარებიან სავალდებულო ტესტირებას – ყოველ 14 დღეში ერთხელ დასაქმებულთა მაქსიმალური (100%) მოცვით, მაგრამ არანაკლებ 20%-ისა (ტესტირების 20% უნდა ჩატარდეს PCR მეთოდით, ხოლო დარჩენილი 80% – ანტიგენის სწრაფი ტესტით). ამავე დროს, უწყებამ განაცხადა, რომ **მასწავლებელთა ვაქცინაციასთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობდა.**[149]

[146] ფოკუს ჯგუფი საჯარო სკოლის წარმომადგენლებთან.
[147] ფოკუს-ჯგუფი სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალურ მუშაკებთან.
[148] საქართველოს მთავრობის 2021 წლის 21 იანვრის №67 განკარგულება „საქართველოში COVID-19-ის ვაქცინის დანერგვის ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ".
[149] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი MES 9 21 0000581485; 16.06.2021.

ხელისუფლებას ყველას შესაძლო ზომისთვის არ მიუმართავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად. მასწავლებელთა ვაქცინაციის აქტიური წახალისება, მხოლოდ, 2021 წლის აგვისტოში დაიწყო, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლებისთვის იმუნიზაციის ცენტრებში დამატებით შეიქმნა იმუნიზაციის კაბინეტები. მთავრობის დაგვიანებული და არაეფექტიანი ქმედებები აისახება ვაქცინაციის სტატისტიკაზეც. მაგალითისათვის, 2021 წლის 13 სექტემბრის მდგომარეობით, საჯარო სკოლის პერსონალის მხოლოდ 33% იყოს სრულად აცრილი, ხოლო მასწავლებელთა სრული ვაქცინაციის საშუალო მაჩვენებელი 36%-ია.

1.6. ძირითადი მიგნებები

- ჩატარებული შეფასების ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ზოგადი განათლების უფლების რეალიზაციის მიმართულებით არსებული გამოწვევების უმეტესობა (მათ შორის, შშმ/სსსმ ბავშვების ეფექტიანი ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში, ზოგადი განათლების ხარისხი, ტექნიკასა და ინტერნეტზე წვდომა) წლიდან წლამდე მნიშვნელოვანი პრობლემა იყო, თუმცა განსაკუთრებით ხილვადი კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში გახდა

- დისტანციური სწავლების რეჟიმზე გადასვლის პროცესი ქაოტურად წარიმართა. ეს, ერთი მხრივ, მსგავს სიტუაციებში რეაგირების გამოუცდელობით, ხოლო, მეორე მხრივ, მთავრობის არაეფექტიანობითა და მისი დაგვიანებული რეაგირებით იყო გამოწვეული

- დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის პროცესი არ იყო ინკლუზიური და ბავშვების აზრი - მოსმენილი. გადაწყვეტილება მიიღო პრემიერ-მინისტრთან არსებულმა საკოორდინაციო საბჭომ და მისი მიღების პროცესში ბავშვები, მათ უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები, მშობელთა ან შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლები ჩართულნი არ ყოფილან

- პრობლემურად გამოიკვეთა ბავშვების ჯეროვანი ინფორმირებულობის საკითხიც. სკოლაში დაბრუნების სავარაუდო თარიღის შესახებ ინფორმაციული ვაკუუმი მათ კიდევ უფრო სტრესულ მდგომარეობაში აყენებდა. დისტანციურ საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობა ასევე სტრესული გამოდგა იმ ბავშვებისთვის, რომლებიც გადატვირთულ საცხოვრისში ცხოვრობდნენ, ასევე, არასრულწლოვნებისთვის, რომელთაც ოჯახური კონფლიქტის ფონზე უწევდათ გაკვეთილზე დასწრება

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის მიწოდებული რეკომენდაციები იყო ზოგადი და ნაკლებად იძლეოდა რეალურ ცხოვრებაში ეფექტიანი განხორციელების შესაძლებლობას

- დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის პირველ ეტაპზე განსაკუთრებულ გამოწვევად იქცა პლატფორმა Teams-ის ტექნიკური გაუმართაობა, ასევე, მისი გამოყენება როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მასწავლებლებისთვის. პედაგოგთა ნა-

წილმა გაიარა გადამზადება, რაც შეეხება ბავშვებს, მათ საკუთარი და სკოლის ძალისხმევით მოუწიათ პლატფორმის შესწავლა

- ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც დისტანციური სწავლების პროცესში გამოიკვეთა, მოსწავლეებისა და მასწავლებლების ინტერნეტსა და სათანადო საკომუნიკაციო საშუალებებზე წვდომა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ამ პრობლემების შესახებ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სკოლებიდან ინფორმაცია გამოითხოვა, მათ გადასაჭრელად სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია

- დისტანციური სწავლების დროს Teams-ის პროგრამის ალტერნატივად გამოყენებული იყო messenger-ის აპლიკაცია, ტელეფონით ინფორმაციის მიწოდების ფორმატი და ტელესკოლის პროექტი. თუმცა, არც ამ პლატფორმებით სარგებლობა იყო ეფექტიანი და შეუფერხებელი. ამასთანავე, გამოიკვეთა ცალკეული სკოლების კარგი პრაქტიკა მოსწავლეებისთვის დავალებების საქართველოს ფოსტის მეშვეობით გაგზავნასთან დაკავშირებით

- დისტანციურ სწავლებაზე გადასვლისა და თვითიზოლაციის, ასევე, რელევანტური სერვისების ფორმის ცვლილების გამო გართულდა ბავშვების ფსიქოემოციური მდგომარეობა, რამაც არასრულწლოვნების მოტივაციისა და სწავლის ხარისხის კლება გამოიწვია

- მიუხედავად უამრავი გამოწვევისა, გამოვლინდა ონლაინ სწავლების რეჟიმის შემოღების დადებითი ეფექტებიც, მათ შორის, საგანმანათლებლო პროცესებში ცალკეული ბავშვების აქტიურად ჩართვა, მშობლების ეფექტიანი მონაწილეობა საგანმანათლებლო პროცესებში, ბავშვებისა და მასწავლებლების მიერ ტექნიკასთან მუშაობის უნარების განვითარება და დახვეწა

- დისტანციურ სწავლებაზე გადასვლისას გათვალისწინებული არ ყოფილა შშმ/სსსმ ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებები, შედეგად, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი საგაკვეთილო პროცესიდან გარიყვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა

- ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვით/სპეციალური რეგულირებით ბავშვების დისტანციური სწავლების პროცესში ჩართვას საფრთხე შეექმნა. ერთი მხრივ, არასრულწლოვნები ელოდებოდნენ, როდის დაასრულებდნენ მშობლები მუშაობას, რომ საღამოს პერიოდში, მასწავლებლისგან მიეღოთ ინდივიდუალური გაკვეთილები. მეორე მხრივ, შემოსავლის დაკარგვის/შემცირების შემთხვევაში, საფრთხე შეექმნა არა მხოლოდ განათლებაზე ფინანსურ ხელმისაწვდომობას, არამედ ბავშვების ფიზიკურ გადარჩენას

- COVID-19-ის ვაქცინაციის დანერგვის პროცესში, პედაგოგები არ უღიარებიათ „წინა ხაზის მშრომელებად“და ვერ მოხვდნენ ვაქცინაციის პირველ ტალღაში. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან მიღებული წერილიდან ირკვევა, რომ უწყება არ ფლობდა ინფორმაციას მასწავლებელთა ვაქცინაციის რაოდენობრივი მაჩვენებლის შესახებ.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- რელევანტურ უწყებებთან და აქტორებთან მჭიდრო თანამშრომლობით, შეიქმნას კრიზისული სიტუაციების მართვის ინსტიტუციური მექანიზმი, რომელიც ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისა თუ ღონისძიების გატარების დროს, ბავშვების უფლებებზე (მათ შორის, განათლების უფლებაზე) და ბავშვების სხვადასხვა ჯგუფზე სავარაუდო ზეგავლენის შეფასების მექანიზმს გამოიყენებს
- ხელისუფლების ყველა შტოსა და დონეზე შეიქმნას მექანიზმი, რომელიც რელევანტური გადაწყვეტილების მიღებისას თავის თავში მოიცავს ბავშვების მონაწილეობისა და მათი აზრის მოსმენის/გათვალისწინების საკითხებს
- შემუშავდეს ბავშვებთან კომუნიკაციის სტრატეგია, რომელიც აქცენტს გააკეთებს გლობალური პანდემიის პირობებში ბავშვების ინფორმირებაზე მათი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობის გათვალისწინებით და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ რეალურ მონაწილეობაზე
- ბავშვებთან კომუნიკაციის სტრატეგია ითვალისწინებდეს ეთნიკური უმცირესობების ენებზე მისაწვდომობას, ასევე, მისაწვდომობას სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის (მხედველობის ან სმენის სპეციფიური საჭიროების, ინტელექტუალური შეღუდვის მქონე ბავშვებისთვის).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- შეიმუშაოს მეთოდოლოგია და აწარმოოს დეტალური სტატისტიკა საგანმანათლებლო პროცესში ჩართული და მის მიღმა დარჩენილი ბავშვების საჭიროებების შესახებ. სულ მცირე, პანდემიის დასრულებამდე აწარმოოს იმ არასრულწლოვნების დეტალური სტატისტიკა, რომელთაც გამოწვევები აქვთ ტექნიკასთან ან/და ინტერნეტთან წვდომის თვალსაზრისით, და მიიღოს ყველა ღონისძიება გამოვლენილი ინდივიდუალური თუ სისტემური ბარიერების უმოკლეს ვადებში აღმოსაფხვრელად
- კოვიდ-19-ის პანდემიის ჩარჩოს გარეთ, შემუშავდეს ზოგადი განათლების მიღების ჰიბრიდული ან/და დისტანციური მეთოდი, ამგვარი ინდივიდუალური საჭიროების მქონე ბავშვებისათვის
- შეიქმნას დეტალური მეთოდოლოგია და ინსტრუქციები პანდემიისას დისტანციური სწავლების გამოწვევებისა და თავისებურებების შესახებ, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს სხვადასხვა საჭიროების მქონე ბავშვების ეფექტიანად ჩართვას სასწავლო პროცესში, ხარისხის კონტროლისა თუ შეფასების თემებს
- მასწავლებლებიც დამოსწავლეებიც, სიღრმისეულად გადამზადდნენ სწავლების ონლაინ პლატფორმების გამოყენებაში.

- უმოკლეს ვადებში განხორციელდეს ღონისძიებები სხვადასხვა საჭიროების მქონე არასრულწლოვანთათვის საგანმანათლებლო პლატფორმების სრული მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, ან შეირჩეს ისეთი პლატფორმა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა არასრულწლოვნისთვის, მათი სპეციფიკური საჭიროების მიუხედავად
- პროექტი „ტელესკოლა" ადაპტირდეს ყრუ და სმენის სირთულის მქონე მოსწავლეებისთვის;
- დისტანციური სწავლების საჭიროების შემთხვევაში, ბავშვებს, რომლებსაც თავიანთი სპეციფიკური საჭიროებებიდან გამომდინარე არ შეუძლიათ დისტანციურ სწავლებაში ჩართვა, შეეთავაზოთ ფიზიკურ გარემოში სწავლის შესაძლებლობა
- როგორც სამინისტროს, ისე სკოლების დონეზე, უზრუნველყოფილი იყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში არასრულწლოვნების ეფექტიანი მონაწილეობა და მათი აზრის მოსმენა/გათვალისწინება
- ჩატარდეს პანდემიისას ზოგადი განათლების სისტემის ფუნქციონირების სიღრმისეული კვლევა და მის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდეს კრიზისულ სიტუაციებში გამოსაყენებელი დეტალური ინსტრუმენტი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, გატარდეს ღონისძიებები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულთა შორის ვაქცინაციის წახალისებისა და ვაქცინაციის პროცესში მათი პრიორიტეტიზაციისთვის
- პანდემიის მიმდინარეობისას და მისი დასრულებიდან გონივრული ვადის განმავლობაში, უზრუნველყოს იმ ბავშვიანი ოჯახების ფინანსური/სოციალური მხარდაჭერა, რომელთაც პანდემიის კონტექსტში შემოსავალი მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგეს.

კოვიდ-19-ის პანდემიის დროს მიღებული ზომების სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება

1.1. კოვიდ-19-ის პანდემია და სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების უფლებების დაცვის გამოწვევები

COVID-19-ის გავრცელების თავიდან ასაცილებლად მიღებული ზომების ზეგავლენის შესაფასებლად, კვლევამ მოიცვა მცირე საოჯახო ტიპის სახლები, თავშესაფრები, რელიგიური კონფესიების დაქვემდებარებაში არსებული დიდი ზომის ინსტიტუციები, ასევე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სკოლა-პანსიონები, რომლებიც ექცევა სახელმწიფო რეგულაციების ქვეშ.

ბავშვებს შორის კიდევ უფრო მოწყვლად ჯგუფად აღიარეს ინსტიტუციებში მცხოვრები ბავშვების, რადგანაც, მათი განგრძობითი მხარდაჭერა, კრიზისის პირობებში, შესაძლოა, მარტივად დადგეს საფრთხის ქვეშ.[150] კერძოდ, ბავშვები, რომლებიც ცხოვრობენ რეზიდენტულ დაწესებულებებში, პანდემიის დროს სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომების გამო,[151] ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე, შეიძლება იძულებულები გახდნენ დაბრუნდნენ ოჯახებში, როგორც ეს განათლების და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სკოლა-პანსიონების შემთხვევაში მოხდა, ან საყოველთაო ჩაკეტვის პირობებში მოუწიოთ დაწესებულებებში იზოლაციაში ყოფნა. ასევე, გაზრდილია ზოგადად დახურულ დიდი ტიპის დაწესებულებებში ვირუსის გავრცელების რისკი. ეს რისკი განსაკუთრებით მძიმედ შეიძლება აისახოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების რეზიდენტული დაწესებულებების შემთხვევაში. დამატებით, ქუჩაში მცხოვრები ბავშვები ერთ-ერთი ყველაზე დაუცველი ჯგუფია ბავშვებისა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მასობრივი ჩაკეტვისა და გადაადგილების შეზღუდვის პირობებში, ისინი რჩებიან იზოლირებულები და სხვადასხვა სერვისების გარეშე.[152]

პანდემიის დაწყების პირველივე დღიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ბავშვების, მათთვის აუცილებელი სოციალური და სარეაბილიტაციო მომსახურებებით უზრუნველყოფა. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოსაყოფია სახელმწიფო ზრუნვაში მცხოვრები ბავშვების ჯგუფი, რომლებიც დაშორებულები არიან მშობლებს. არსებული რეგულაციებისა და შეზღუდვების გამო, მათ ნაკლებად მიუწვდებათ ხელი სოციალურ მუშაკებსა და სხვა საჭირო სერვისებზე.[153] ასევე, ფიზიკური დისტანცირების მოთხოვნა და გადაადგილების შეზღუდვა, ბავშვების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე განსაკუთრებით უარყოფითად აისახება, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში დაკავშირებულია კოგნიტური განვითარების შეფერხებებთანაც კი.[154] საქართველოს კანონმდებლობით

[150] Policy Brief: The Impact of COVID-19 on children, 2020, https://bit.ly/3dePJMN.

[151] საქართველოში დროებით ფუნქციონირება შეწყვიტეს დღის ცენტრებმა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებულმა სკოლა-პანსიონებმა.

[152] Protection of Children during the Covid-19 Pandemic, Children and Alternative Care Immediate Response Measures, Better Care Network, The Alliance *for* Child Protection in Humanitarian Action and UNICEF, 2020, https://uni.cf/35QykpB.

[153] The impact of COVID-19 on children and young people, The Children's Society, https://bit.ly/3qrK5fN.

[154] Policy Brief: The Impact of COVID-19 on children, 2020, https://bit.ly/3dePJMN.

აღიარებულია ბავშვის უფლება, ისარგებლოს ჯანმრთელობის უმაღლესი სტანდარტით, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში.[155] შესაბამისად, ბავშვების ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესების გაზრდილი რისკის ფონზე, მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფოს განეხორციელებინა ეფექტიანი ინტერვენცია. ეს განსაკუთრებით აქტუალურია იმ საერთაშორისო მაჩვენებლების ფონზე, რომელიც 2020 წელს ჩატარებული გლობალური კვლევის ფარგლებში გამოქვეყნდა. კვლევამ გამოავლინა, რომ ბავშვების 74% უფრო დამწუხრებულია, ვიდრე პანდემიამდე, 62% უფრო ნაკლებად ბედნიერად გრძნობს თავს და 47% უფრო უიმედოდ არის, ვიდრე იქამდე იყო. 60% უფრო მოწყენილია და 59% - სევდიანი. 51% ამბობს, რომ მოკლებულია სოციალურ კავშირებს მეგობრებთან და თანატოლებთან.[156]

გლობალური პანდემიის ფონზე განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბავშვების ინფორმირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართვის საკითხი, რაც ბავშვის უფლებათა კონვენციით აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპი. ვირუსის გავრცელების თავიდან არიდებისა და ბავშვების ჯანმრთელობის უფლების დაცვის მიზნით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ბავშვების ინფორმირებას მნიშვნელოვან საკითხებზე მათი ასაკის შესაბამისი ფორმით. თუმცა, ამ შესწავლის, ასევე, გლობალური კვლევის შედეგების მიხედვით, სამწუხაროდ, არ მიუმართავთ ბავშვების სათანადო ინფორმირებისთვის და არც გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩაურთავთ.[157] ინფორმაციაზე წვდომას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დაცვის მიმართულებით. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ სახელმწიფოებისთვის შემუშავებული სახელმძღვანელო დოკუმენტი[158], დეტალურად განსაზღვრავს ქვეყნების მიერ შშმ პირთა უფლებების დაცვის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, რომელთა შორის ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფას განსაკუთრებული ადგილი უკავია.

მსოფლიოს მასშტაბით გლობალური პანდემიის გამოცხადების პარალელურად, საქართველოში მიიღეს კონკრეტული ზომები, რომელთა ძირითადი მიზანი ვირუსის გავრცელების თავიდან არიდება იყო. ამის პარალელურად, შეიზღუდა მთელი რიგი უფლებები, რომლებმაც პირდაპირ თუ ირიბად გავლენა იქონია ბავშვის უფლებების დაცვაზე, მათ შორის, სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების უფლებრივ მდგომარეობაზე. ამ თავში, ყურადღება გამახვილებული იქნება, სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების ჯანმრთელობის უფლების დაცვის, სათანადოდ ინფორმირებულობის, თავისუფალი დროის დაგეგმვის, თამაშისა და დასვენების უფლებებზე, ასევე, მათი ოჯახებთან ურთიერთობისა და საჭირო სერვისებზე წვდომის შენარჩუნების აუცილებლობაზე.

1.2. კოვიდ-19 და ინფორმაციის მიღების უფლება

COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, საქართველოს მთავრობამ შემდეგი ნაბიჯები გადადგა:[159]

[155] საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, მუხლი 11.
[156] The Hidden Impact of COVID-19, Save the Children, A Global Research Series, 2020, https://bit.ly/3wWng6m.
[157] იქვე.
[158] Disability considerations during the COVID-19 outbreak, 2020, https://bit.ly/3wZlosn.
[159] COVID-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში, 2020; ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3nUIHDg [ბოლოს ნანახია 2021 წლის 21 სექტემბერს].

- იმართებოდა ყოველდღიური სამთავრობო ბრიფინგები დარგის სპეციალისტების, მინისტრებისა და პრემიერ-მინისტრის მონაწილეობით
- სამთავრობო ბრიფინგების ტრანსლაცია მიმდინარეობდა ჟესტური ენის გამოყენებით
- ინფორმაცია ითარგმნებოდა ეთნიკური უმცირესობების ენებზე
- COVID-19-თან დაკავშირებული სპეციალური საინფორმაციო სამთავრობო ვებგვერდი www.StopCov.ge ხელმისაწვდომია ექვს ენაზე. კერძოდ, ქართულ, აფხაზურ, ოსურ, ინგლისურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ვებგვერდზე განთავსებულ საინფორმაციო ხასიათის ვიდეოებს დართული აქვს ჟესტური ენის თარგმანი.
- მოხდა მოსახლეობის მასობრივი ინფორმირება SMS სისტემის გამოყენებით, რომელიც თარგმნილია ეთნიკური უმცირესობების ენებზე. ქართულის გარდა, მოკლეტექსტური შეტყობინებები იგზავნებოდა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც.

ასევე, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ინფორმაციით, პანდემიის პერიოდში, სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებულ ბავშვებს, მათ შორის, შშმ ბავშვებს, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის გავრცელების თავიდან არიდების მიზნით, მიეწოდებოდათ მათთვის აუცილებელი ინფორმაცია ჯანმრთელობის დაცვის პროტოკოლების, რეკომენდაციებისა და ჰიგიენის წესების შესახებ. ასევე, სააგენტოს ინფორმაციით, ბავშვთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ითვალისწინებდნენ ბავშვის საუკეთესო ინტერესს.[160] თუმცა დაკონკრეტებული არ არის, უშუალოდ პანდემიისა და ვირუსის გავრცელების შესახებ ინფორმაციის მიწოდების რა ფორმები იყო გამოყენებული, ვის მიერ, რა პერიოდულობით და ფორმით აწვდიდნენ ბავშვებს ინფორმაციას. ასევე, უშუალოდ პანდემიასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რამდენად უზრუნველყოფილი იყო ბავშვების მონაწილეობა და რა საკითხებთან დაკავშირებით. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან CRIA-ს შედეგები პანდემიის შესახებ ბავშვების ინფორმირებულობის მიმართულებით შექმნილ სირთულეებზე მიუთითებს.

დაწესებულებების ნაწილმა საკუთარი ძალებით, სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრები ბავშვებთან, თავად თარგმნა ბროშურები, ასევე, ბავშვებს აჩვენებდა მოძიებულ ვიდეორგოლებს.[161] ერთ-ერთი სერვისის მიმწოდებელმა-ბავშვების გასაგები ფორმით ინფორმირების მიზნით, გარე რესურსების მოძიებაც სცადა. სხვა ორგანიზაციის შემთხვევაში, ბავშვებს ნაკლებად მიეწოდებათ ინფორმაცია მათი ასაკის შესაბამისი ფორმით. იმისათვის, რომ მოეხერხებინათ წესების დაცვა, ბავშვებისთვის ძირითადად ვირუსის მძიმე შედეგების გაცნობით შემოიფარგლებოდნენ.

[160] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს 2021 წლის 17 ივნისის წერილი № 07/5111.
[161] ჩაღრმავებული ინტერვიუები სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

- *„ბავშვები თვითონ იღებდნენ გადაწყვეტილებას, იცოდნენ რომ ეს იყო საშიში და მძიმე ინფექცია. თუ ვინმე დაავადდებოდა, რომ საავადმყოფოში წავიყვანდით. ჰქონდათ თავიდან პროტესტი, ღია ტიპის დაწესებულებაა ჩვენი, როცა ეს ახსნა-განმარტებები მოისმინეს, რა შეიძლება მოყვეს ამ ყველაფერს, ეს ბავშვები ღებულობდნენ გადაწყვეტილებას და დღესაც გარეთ გასვლის სურვილიც არა აქვთ" - სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი.*

ბავშვების ინფორმირებულობის კუთხით, განსაკუთრებული პრობლემა იყო სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების საკითხი. უჭირდათ პირადი დაცვის საშუალებების გამოყენების აუცილებლობის ახსნა და შედეგის მისაღწევად მეტი ძალისხმევა სჭირდებოდათ.[162] ვირუსის შესახებ ბავშვების ინფორმირებულობის კუთხით, ნაკლებ ინფორმაციაზე საუბრობენ ერთ-ერთი მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა პანსიონატის თანამშრომლები. თუმცა, ძირითადად, ვირუსის შესახებ ინფორმაციას, განსაკუთრებით სიახლეებს, ბავშვები საკუთარი ძალებით იგებდნენ ინტერნეტიდან და ტელევიზორიდან.

- *„ინტერნეტიდან მივიღეთ ინფორმაცია. პირბადეები დაწესებულებაში მოგვაწოდეს, დანარჩენი ინტერნეტიდან და ტელევიზორიდან ვიგებდით" - სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვი.*

1.3. კოვიდ-19 და საჭირო სერვისებზე წვდომის შენარჩუნება

კრიზისის მიმდინარეობისას შეუძლებელი გახდა სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო) მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის კონკრეტული სერვისების მიწოდება. ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, შეჩერდა „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის" ზოგიერთი ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებები. მომსახურების დისტანციურად ან ნახევრად დისტანციურად მიწოდების შემთხვევაში, მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციები ხელმძღვანელობდნენ სპეციალური რეგულაციით, რომელიც მიღებული იყო პანდემიის დაწყების საწყის ეტაპზე.[163]

---

[162] ჩაღრმავებული ინტერვიუები სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

[163] „დღის ცენტრის მომსახურების, ბავშვთა ადრეული განვითარების მომსახურების, ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის, განვითარების მძიმე და ღრმა შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამებისა და კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფის კომპონენტის მოდიფიცირებული მომსახურებების ჩარჩო დოკუმენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 1 მაისის № 01-184/ო ბრძანება და „შეზღუდული შესაძლებლობის, განვითარების დარღვევის ან/და ასეთი რისკის მქონე 18 წლამდე ბავშვებისთვის სოციალური რეაბილიტაციის მომსახურებების დისტანციურად მიწოდება-მიღების კონცეპტუალური ჩარჩოს დამტკიცების შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 4 ნოემბრის № 01-536/ო ბრძანება.

მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო პანდემიის პერიოდში მოსწავლეებისათვის ფსიქოსოციალური მომსახურების გაწევა. ამ გამოწვევის დაძლევის მიზნით: მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს, მომსახურების მიწოდების ფარგლებში, შეეთავაზათ მათთვის მისაღები ნებისმიერი პლატფორმის გამოყენება, შეიქმნა მშობლებისათვის რეკომენდაციების ჩამონათვალი, რათა შეძლებოდათ შვილების რეალური მხარდაჭერა პანდემიით გამოწვეული სტრესული მდგომარეობის გადალახვაში.[164] თუმცა, შეფასების ფარგლებში, სახელმწიფო ზრუნვაში მცხოვრებ არცერთ ბავშვს და მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელს არ მიუთითებია ამ მომსახურებით სარგებლობის შესახებ. აქვე, პოზიტიურად უნდა შეფასდეს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მოთხოვნით და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, ორგანიზაციის, „საქართველოს ბავშვები", მიერ განხორციელებული პროექტი, რომელიც ბავშვებს პანდემიის პირობებში მნიშვნელოვან მხარდაჭერას უწევდა. პროგრამაში ჩართული იყო 12 ფსიქოლოგი, რომლებიც უშუალოდ მცირე საოჯახო ტიპის სახლებსა და მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში ჩართულ ბავშვებს ემსახურებოდნენ.[165]

საყოველთაო კარანტინის გამოცხადებამ რისკის წინაშე დააყენა ბავშვების წვდომა სასიცოცხლო მომსახურებებზე, კვებასა და რეაბილიტაციის სერვისებზე. განსაკუთრებით პრობლემური იყო ეს საკითხი პანდემიის დაწყების პირველ თვეებში, როდესაც დაიკეტა ან დისტანციური მუშაობის რეჟიმზე გადავიდა მომსახურებები, დღის ცენტრები, განათლების სამინისტროს დაქვემდებარებული სკოლა-პანსიონები და არ არსებობდა ბენეფიციარებისთვის საკვები პროდუქტების ალტერნატიული მიწოდების სქემა. მოგვიანებით, დღის ცენტრების ბენეფიციარებისთვის გაიცა კვების ვაუჩერები. კრიზისის მიმდინარეობისას, 2 200 ბენეფიციარის მხარდასაჭერად, სულ 4 400 ვაუჩერი გაიცა.[166] თუმცა, საკვების მიწოდების კუთხით, პრობლემური იყო სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომა, რომელიც კრძალავდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობას.

- *„ძალიან დიდი გამოწვევა იყო ყველაფრის დაკეტვა, განსაკუთრებით, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერება. ჩვენ, გარდა იმისა, რომ ინსტიტუციებში გვყავს ბავშვები, მიუსაფარ ბავშვთა დღის ცენტრები გვაქვს, ასევე სასადილოები. აქ ხანდაზმულებთან ერთად, დადიან მათი ოჯახის წევრებიც. ტრანსპორტის გაუქმების გამო, ძალიან დიდი გამოწვევის წინაშე აღმოვჩნდით, რომ მიგვეწოდებინა ეს საჭმელი მათთვის, რადგან მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამას სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფდა და პროვაიდერების კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული. მერე დავიწყეთ ფონდების მოძიება და პერიოდულად, 2 კვირაში ერთხელ მაინც ვახერხებდით დღის ცენტრის ბავშვების საკვები პროდუქტებით მომარაგებას. სახელმწიფოს ამისთვის დამატებით ერთი თეთრიც არ გამოუყვია" - სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი.*

[164] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულება მანდატურის სამსახურის 2021 წლის 16 ივნისის წერილი №MES 1 21 0000578157.

[165] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს 2021 წლის 17 ივნისის წერილი № 07/5111.

[166] COVID-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში, 2020; ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3nUIHDg [ბოლოს ნანახია 2021 წლის 21 სექტემბერს].

დისტანციურ მომსახურებებზე გადასვლის დროს ასევე გართულდა ბავშვთა სარეაბილიტაციო სერვისის მიღება. აღმზრდელებს თავად უხდებოდათ გარკვეული ვარჯიშების და მასაჟების გაკეთება, რაც დიდ სირთულესთან იყო დაკავშირებული.[167]

სახელმწიფოს მიერ მომზადებული ანგარიშის მიხედვით, სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ ბავშვებს, აღმზრდელებსა და მიმღებ მშობლებს, COVID-19-ით გამოწვეულ სტრესთან გასამკლავებლად და კრიზისული მდგომარეობის დასაძლევად, მიეწოდებათ ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისები.[168] თუმცა, ანგარიშში დაკონკრეტებული არ არის მხარდაჭერის ტიპი, პერიოდულობა და იმ ბავშვების რაოდენობა, ვისაც დახმარება გაუწიეს. ამის პარალელურად, სახელმწიფო მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებები მიუთითებენ ონლაინ ფსიქოლოგიური დახმარების მიღების ხარვეზებზე. კერძოდ, ზოგიერთ დაწესებულებაში პრობლემად გამოიკვეთა ბავშვების დაბალი მონაწილეობა და დაინტერესება ფსიქოლოგის ონლაინ მომსახურების მიღებით, რაც, საბოლოოდ, უარყოფითად აისახა ბავშვებზე.[169] განსხვავებული მიდგომა გამოიკვეთა იმ დაწესებულებებში, სადაც „საქართველოს ბავშვები" ახორციელებდა პროექტს.

- *„ბავშვები თავად ითხოვდნენ ფსიქოლოგის დახმარებას, არავინ აცდენდა, არ აგვიანებდნენ. ბავშვები თვითონ ამისამართებდნენ საკუთარ მეგობრებს. ბავშვების და არა სოციალური მუშაკების დახმარებით, რომელთა ჩართულობა ძალიან დაბალი იყო. მინდობის აღზრდის პროგრამაში ჩართული ოჯახები თავის ნაცნობ ოჯახებს ეუბნებოდნენ სერვისის შესახებ. ბავშვები აკრიტიკებდნენ სახელმწიფო ფსიქოლოგს, რომელიც 6 თვეში ერთხელ შეიძლება მივიდეს მათთან, რაც რეალური ინტერვენცია არ არის" - სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი.*

პანდემიის პერიოდში განსაკუთრებული როლი ჰქონდა სოციალური მუშაკის უწყვეტ ჩართულობას სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების უფლებრივი მონიტორინგის მიზნით. პანდემიასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ მომზადებული სპეციალური ანგარიშის მიხედვით, ბავშვებთან რეგულარული კონტაქტის შესანარჩუნებლად, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს რეგიონალურ/რაიონულ ცენტრებში დასაქმებულ სოციალურ მუშაკებს მიეცათ სპეციალური მითითებები მუშაობის დისტანციურ რეჟიმთან დაკავშირებით.[170] მიუხედავად ამ რეკომენდაციისა, CRIA-ს შედეგების მიხედვით, საკმაოდ დაბალი იყო სოციალური მუშაკის ჩართულობა პანდემიის მიმდინარეობს დროს სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ ბავშვებთან მუშაობის თვალსაზრისით. ეს აიხსნა ადამიანური რესურსების ნაკლებობით, რადგან, ხშირად, სოციალური მუშაკი ან ინფიცირებული პირის კონტაქტი იყო, ან თავად ჰქონდა ვირუსი და კონკრეტულ მუნიციპალიტეტში სხვა სპეციალისტი არ მოიპოვებოდა. ასევე, პრობლემა იყო სოციალური მუშაკების ტრანსპორტირება და აქ-

[167] ჩაღრმავებული ინტერვიუები სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელთან.
[168] COVID-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში, 2020; ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3nUIHDg [ბოლოს ნანახია 2021 წლის 21 სექტემბერს].
[169] ჩაღრმავებული ინტერვიუები სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელთან.
[170] COVID-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში, 2020; ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3nUIHDg [ბოლოს ნანახია 2021 წლის 21 სექტემბერს].

ედან გამომდინარე, სამუშაოს დისტანციურად განხორციელების გამო, მუშაობის ხარისხიც მკვეთრად გაუარესდა.

გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც ყველაზე კრიტიკულ სიტუაციაში დაწესებულებები სოციალური მუშაკის გარეშე მუშაობდნენ. ეს პრობლემა განსაკუთებით პრობლემური იყო მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრებისა და, თბილისში მდებარე სოციალური საცხოვრისის შემთხვევაში, სადაც 87 ბავშვი ცხოვრობს. თვეების განმავლობაში არ ჰყავდა სოციალური მუშაკი მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფარს, მაშინ როცა მიმართვიანობა ბევრად გაიზარდა. სოციალური მუშაკის განსაკუთრებით დაბალი ჩართულობა გამოვლინდა რეგიონში მდებარე ერთ-ერთ მცირე საოჯახო ტიპის სახლში. დაწესებულების თანამშრომლების განცხადებით, სახლის თანამშრომლები აქეთ აწუხებდნენ მას, რაც ნიშნავს, რომ მხოლოდ დაწესებულების მიმართვის შემდეგ იყო შესაძლებელი სოციალურ მუშაკთან კომუნიკაციის დამყარება. ბავშვების ინდივიდუალური განვითარების განახლებული გეგმები სოციალური მუშაკის მიერ არის შედგენილი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა პანსიონატის შემთხვევაში, პრობლემა შეიქმნა თანამშრომლების რაოდენობასთან დაკავშირებით, რადგან საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის შეზღუდვის გამო 8 თანამშრომელი ვერ ახერხებდა დაწესებულებაში მისვლას და მათი სამუშაო სხვა თანამშრომლებზე გადანაწილდა.[171]

დაწესებულმა შეზღუდვებმა და დისტანციურ მომსახურებებზე გადასვლამ მნიშვნელოვნად შეზღუდა სახელმწიფო ზრუნვაში მცხოვრები ბავშვების წვდომა სხვადასხვა ფსიქოსოციალურ და სარეაბილიტიციო სერვისებზე, ასევე, სოციალურ მუშაკებთან. ბავშვები პანდემიამდე დადიოდნენ ცეკვის წრეებზე, თიხის დამუშავებაზე, მაგრამ შემდგომ ყველაფერი დაიხურა, და ეს მათ ძალიან აწუხებდათ.[172]

1.4. ზომების ზეგავლენა ჯანმრთელობის დაცვის უფლებაზე

კოვიდ-19-ის პანდემიამ ბავშვების ჯანმრთელობის დაცვის უფლება ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. დღის წესრიგში დადგა ისეთი საკითხების დროული და ეფექტიანი გადაჭრა, რომელიც გლობალურ პანდემიამდე არ ყოფილა აქტუალური და, შესაბამისად, სახელმწიფო ზრუნვის მიმწოდებელ დაწესებულებებს არ ჰქონდათ საკმარისი მზაობა და შესაბამისი ინფორმაცია, გამკლავებოდნენ ახალ რეალობას. პანდემიამ რისკის წინაშე დააყენა არა მხოლოდ ბავშვების ფიზიკური, არამედ ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხი. ბავშვების რეზიდენტული დაწესებულებები პანდემიის გამოცხადების დღიდან განიხილებოდა როგორც ერთ-ერთი ყველაზე უფრო დაუცველი და ვირუსის ადვილად გავრცელების ადგილი. შესაბამისად, უფრო დიდი სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ არასრულწლოვნები, რომლებიც განთავსებულები იყვნენ სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში.

შექმნილ მძიმე მდგომარეობაში, მნიშვნელოვანი იყო, სახელმწიფოს შეექმნა ეფექტიანი მექანიზმები და შეემუშავებინა შესაბამისი რეგულაციები, რომლებიც ორიენტირებული იქნებოდა უშუალოდ ამ ტიპის დაწესებულებებში ვირუსის გავრცელების თავი-

[171] ჩაღრმავებული ინტერვიუები სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელთან.
[172] შეხვედრები სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ ბავშვებთან.

დან არიდებასა და მასთან გამკლავებაზე. ასევე, მნიშვნელოვანი იქნებოდა, უშუალოდ დაწესებულებებს, შიდა რეგულაციებში გაეკეთებინათ შესაბამისი ჩანაწერები.

კვლევის ფარგლებში, მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან, მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრებიდან და დიდი ზომის ლიცენზირებული დაწესებულებებიდან, გამოვითხოვეთ ინფორმაცია, როგორც სახელმწიფოს მიერ პანდემიის მართვის მიზნით მათთვის მიწოდებული დოკუმენტაციის, ისე შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში 2020 წლის მარტიდან შეტანილი ცვლილებების შესახებ. მოწოდებული ინფორმაციის ანალიზიდან იკვეთება, რომ სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებს შიდა რეგულაციებში, მათ შორის, შინაგანაწესში არ შეუტანიათ ცვლილებები პანდემიის მართვასთან დაკავშირებით. პოზიტიურად უნდა შეფასდეს საქველმოქმედო ფონდის, „საქართველოს კარიტასი", მიერ შიდა მოხმარებისთვის რეგულაციების შემუშავება და ცალკე დოკუმენტის მიწოდება მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციებისთვის.[173]

სახელმწიფოს შესაბამისი უწყებებისა და ასევე, კვლევის ფარგლებში დაწესებულებების მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის თანახმად, პანდემიის მართვის მიზნით შემუშავდა ზოგადი რეკომენდაციები[174] და სტანდარტები.[175] რეკომენდაციები უმეტესად მოიცავს ჰიგიენის დაცვის მიზნით შემუშავებულ ზოგად წესებს, შშმ პირების ინვენტარის დასუფთავება-დეზინფექციის წესებს. რაც შეეხება სტანდარტებს, მათში განსაზღვრულია შემდეგი საკითხები: ბენეფიციარების და თანამშრომლების ემოციური მხარდაჭერა პანდემიის პირობებში, COVID-19-ის შესახებ მუდმივად განახლებადი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, ანგარიშგება და კოორდინაცია შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან, ინფექციის წყაროს კონტროლი-მკურნალობა და შიდა გადაცემის პრევენცია, უსაფრთხოების ზომები და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, COVID-19-ის პროსპექტული ზედამხედველობა ბენეფიციარებში, პერსონალსა და მნახველებში, ფიზიკური დისტანცირება და გადაადგილების შეზღუდვა, დაწესებულებაში სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა, დასუფთავება და დეზინფექცია, დაავადების შესახებ ბენეფიციართა და პერსონალის ინფორმირება, ინფექციის პრევენციისა და კონტროლის ზოგადი წესები.

---

[173] ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდის, „საქართველოს კარიტასი", სააღმზრდელო დაწესებულებებში ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით".

[174] „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში" რეგისტრირებული ზოგიერთი ქვეპროგრამის მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებებისთვის"; COVID-19-ისადმი ექსპოზირებული არასამედიცინო ობიექტების დასუფთავების დროებითი რეკომენდაციები; საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ტერიტორიული ერთეულების (ფილიალების) ბავშვთა სახლების ინფექციების კონტროლის წესები"; „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ტერიტორიული ერთეულების (ფილიალების) ხანდაზმულთა და შშმ პირთა პანსიონატებისთვის ინფექციების კონტროლის წესები".

[175] „ბავშვთა 24-საათიანი ზრუნვის დაწესებულებებისთვის (მათ შორის, დედათა და ბავშვთა თავშესაფარი) ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და კონტროლის სტანდარტები; COVID-19 შემთხვევის განსაზღვრება (დროებითი), სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და კონტროლის სტანდარტები.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ, პანდემიის მართვის მიზნით, სახელმწიფო ზრუნვის 24-საათიანი დაწესებულებებისთვის, გარკვეული ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები და სტანდარტები შეიმუშავა, კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ეს დოკუმენტები მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციებს მიეწოდებოდათ დაგვიანებით, ხოლო მისი შინაარსი, ხშირად, არ პასუხობდა რეალობაში არსებულ გამოწვევებს.[176] მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციები მიუთითებენ, რომ პანდემიის დროს არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარება უფრო იყო წამყვანი და შედეგზე ორიენტირებული. განსაკუთრებით კი გამოყოფენ „საქართველოს ბავშვების" მხარდაჭერას, რომელიც ბავშვების ქცევის მართვის მიმართულებით ძალიან დაეხმარათ, განსხვავებით სახელმწიფოს ძალისხმევისა, რომელსაც ამ მიმართულებით არსებული საჭიროების მიუხედავად, რესურსები არ გამოუყვია.[177] ამის გამო, პანდემიის საწყისი ეტაპი უმეტესი სახელმწიფო მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებებისათვის ძალიან მძიმე აღმოჩნდა.

- *„ისევე როგორც ყველასთვის, ჩვენთვისაც ძალიან მძიმე იყო პანდემიის დაწყების პერიოდი, როცა ყველაფერი დაიკეტა. ძალიან მწირი იყო ინფორმაცია და ძირითადად ჩვენი საერთაშორისო პარტნიორებისგან გვიწევდა ინფორმაციის მიღება. ასევე მივმართავდით ჯანდაცვის სამინისტროსა და სააგენტოს, რომ მოეწოდებინათ ჩვენთვის ინსტრუქცია, რითი უნდა გვეხელმძღვანელა. სამწუხაროდ, ეს ინსტრუქციები თუ მოდიოდა, მოდიოდა ძალიან დაგვიანებით ან, ფაქტობრივად, ქმედითი არ იყო. ამიტომ, მერე ვისხედით და ჩვენით ვცდილობდით რაღაც გაგვეგო. ასევე, რეგულაციები არ იყო კონკრეტულ სერვისზე მორგებული. მაგალითად, მიუსაფრების შემთხვევაში არაფერი იყო. მცირეებზე მეტ-ნაკლებად უფრო კი. 24 საათიანი დაწესებულებების რეგულაციები იყო უფრო სახელმწიფოს ბალანსზე არსებული დიდი ინსტიტუციებისთვის და ჩვენც მოვყევით უბრალოდ" - სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი.*

- *„რეკომენდაციები იყო ზოგადი, ჩემს საჭიროებებზე მორგებული არ იყო და ვერც იქნებოდა, მე ოთხი სახლი მქონდა და ოთხივესთან ზოგადი რეკომენდაციები მქონდა მიღებული. ეს რეკომენდაციები რომ გამომადგა რამეში, არ ვიცი, რაღაცა გამომადგა, რაღაცა არა" - სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი.*

პანდემიის გავრცელების საწყის ეტაპზე არსებულ რთულ სიტუაციაზე საუბრობს სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომლის თქმით, როცა პირველად კორონავირუსი გამოჩნდა, ყველაფერი ყირაზე დადგა, არ იყვნენ მზად. ადმინისტრირების ნაწილში შეექმნათ პრობლემა, განსაკუთრებით, ტრანსპორტზე, მედიკამენტებზე, საკვებზე. მისი თქმით, საკუთარი ძალებით ეძებდნენ ინფორმაციას ინტერნეტში, რეკავდნენ სხვადასხვა უწყებაში. სახელმწიფოსგან დაგვიანებული რეაგირების პირობებში, თავად გადაწყვიტეს შიდა რეგულაციებით გამკლავებოდნენ სიტუაციას, შექმნეს სამოქმედო გეგმა, რომლის საშუალებითაც განსაზღვრეს, ვინ რაზე იყო პასუხისმგებელი.[178]

[176] რეკომენდაციების მიღებაზე მიუთითებს 7 ორგანიზაცია/დაწესებულება
[177] ჩაღრმავებული ინტერვიუები სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელთან.
[178] ჩაღრმავებული ინტერვიუები სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელთან.

სახელმწიფოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და სტანდარტები, გარდა იმისა, რომ დაგვიანებით მიეწოდათ სახელმწიფო ზრუნვის მიმწოდებელ დაწესებულებებს, ფაქტობრივად, გაუმჭვირვალე იყო მათი დიდი ნაწილი და ვერ ხვდებოდნენ, როგორ გამოეყენებინათ პრაქტიკაში. მაგალითად, ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო, რომ თანამშრომლებს ემუშავათ გრძელვადიან ცვლაში. თუმცა, რას გულისხმობდა ეს გრძელვადიანი ცვლა, განმარტებული არ ყოფილა.[179]

მნიშვნელოვან სირთულეს ქმნიდა ისიც, რომ ზოგადი რეკომენდაციებისა და სტანდარტების პარალელურად, არ მომხდარა დაწესებულებების უზრუნველყოფა შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსებით.[180]

- *„მდგომარეობა არ იყო მარტივი, რადგან რესურსების გაძლიერება მოგვიწია მთლიანად როგორც პიროვნული, ისე მატერიალური, გაგვიორმაგდა. აღმზრდელები გადავიყვანეთ ჩვენს მომსახურებაზე, ყველა მორიგეობაზე მიგვყავდა და მოგვყავდა. მოგვიწია ის, რომ 2 დღე უწევდათ მუშაობა, ესეც იყო რეკომენდაცია, პრინციპში რეკომენდაცია იყო, რომ მეტი ხნით დაგვეყოვნებინა, მაგრამ არ გამოდიოდა, ვითვალისწინებდით მათ ოჯახურ და ემოციურ მდგომარეობას“ - სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი.*

- *„უდიდესი დარტყმა იყო ფინანსები. რა ბიუჯეტიც გვაქვს, წინასწარ გვაქვს ერთი წლის გაწერილი. კოვიდის დროს ადამიანებში იყო პანიკა და ჩვენ მოვიფიქრეთ, რომ მატერიალურად წავახალისეთ თანამშრომლები, რომლებიც კარანტინში რჩებოდნენ, ავუნაზღაურე ხელფასის კიდევ ერთი ოდენობა, რომ კარანტინში გაჩერებულიყვნენ“ - სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი.*

- *„საკმაოდ დიდი ფინანსური რესურსი დაგვიჯდა ეს. 24-დღიანი კარანტინიც კი მოგვიწია, მთელი თვე დატყვევებული აღმზრდელისთვის უნდა მიგვეცა დამატებითი ანაზღაურება, რადგან მთელი თვე ოჯახს ტოვებდა, ჯანმრთელობას რისკავდა“ - სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი.*

მონიტორინგის დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულებების უმეტესობა ცდილობს დაიცვას ვირუსის გავრცელების პრევენციული ისეთი ზომები, როგორებიცაა თერმოსკრინინგი, პირბადის ტარება, დეზობარიერი შენობის შესასვლელში. ამ მხრივ სირთულე გამოიკვეთა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებაში არსებული პანსიონისა და ერთი მცირე საოჯახო ტიპის სახლის შემთხვევაში, სადაც დაწესებულებაში შესვლისას თერმოსკრინინგი არ ტარდებოდა.[181] პრობლემურია ის ფაქტი, რომ ამ მცირე საოჯახო ტიპის სახლში არ არის აღმზრდელებისთვის ცალკე სველი წერტილი, ხოლო პანსიონში ასევე არ არის განთავსებული დეზობარიერები ყველა საჭირო სივრცეში. გარდა ამისა, პერსონალი არ ატარებდა პირბადეს და კოვიდ 19-თან დაკავშირებული მასალები თვალსაჩინოდ არ იყო გამოკრული შესაბამის დაფებზე.

[179] ჩაღრმავებული ინტერვიუები სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.
[180] ჩაღრმავებული ინტერვიუები სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.
[181] პანსიონში ინახება მხოლოდ ძველი პერიოდის თერმოსკრინინგის ჟურნალი, რომელსაც პანდემიის საწყის ეტაპზე ავსებდნენ.

სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფი ბავშვების ჯანმრთელობის უფლების დაცვისა და შესაბამისად, ვირუსის პრევენციის მიმართულებით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად გამოიკვეთა სადეზინფექციო საშუალებებზე წვდომა და სახელმწიფოს მიერ მათი საკმარისი რაოდენობით მიწოდება. მართალია, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კრიზისის მიმდინარეობისას, მცირე საოჯახო ტიპის სახლები შესაბამისი სადეზინფექციო და სამედიცინო საშუალებებით აღიჭურვა,[182] კვლევის ფარგლებში დაწესებულებებიდან მიღებული ინფორმაცია მათ არასაკმარის რაოდენობაზე აკეთებს აქცენტს. უნდა აღინიშნოს, რომ ისევე როგორც რეგულაციების შემუშავების ნაწილში უთითებენ დაწესებულებები არასამთავრობო ორგანიზაციების განსაკუთრებულ როლზე, ამ შემთხვევაშიც, კერძო კომპანიების დახმარება გამოიკვეთა კრიზისის მართვის საშუალებად. კერძოდ, სახელმწიფო სერვისის მიმწოდებელმა დაწესებულებებმა ისაუბრეს კერძო ორგანიზაციის მხარდაჭერაზე, რომელმაც პანდემიის საწყის ეტაპზე, როდესაც არ ჰქონდათ საკმარისი რაოდენობის მედიკამენტები და სადეზინფექციო საშუალებები, უზრუნველყო ბავშვები საჭირო ინვენტარითა და მედიკამენტებით.[183]

- „სახელმწიფოსგან ფინანსური დახმარება იყო 0. ერთ-ერთი კერძო ორგანიზაცია დაგვეხმარა, დაგვიკავშირდა და გვკითხა, რა გიჭირთ და რამე ხომ არ გჭირდებათ. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი დახმარება, გვიყიდეს პირველადი დახმარების მედიკამენტები, რომელიც რეცეპტის გარეშე გამოიყენება, დამხმარე საშუალებები, პირბადეები, სითხეები, ხელთათმანები. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი დახმარება ჩვენთვის. სახელმწიფოსგან მხოლოდ დღის ცენტრებში და ადრეული განვითარების პროგრამაში მივიღეთ პირბადეები, ხელთათმანები და ფარები, მაგრამ არა 24-საათიან ზრუნვაში“ - სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი.

პანდემიის მართვისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის უფლების დაცვის მიმართულებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ქონდა ჰოსპიტალური სექტორის მობილიზებას. ინფიცირების შემთხვევების მატების შესაბამისად, ჯანდაცვის სამინისტრო გადავიდა როგორც ჰოსპიტალური, ისე პირველადი ჯანდაცვის სექტორის მობილიზაციაზე. COVID-19-ზე პასუხისთვის სამინისტრომ მიზნობრივად უზრუნველყო 1 620 ჰოსპიტალური საწოლის მობილიზება 15 კლინიკაში. ასევე, რეგიონებში დამატებით გამოიყო 1 050 საწოლი 15 ცხელების კლინიკაში.[184] ჰოსპიტალური სექტორის გადატვირთვის თავიდან ასაცილებლად, წარმატებით იქნა გამოყენებული სასტუმროების ინფრასტრუქტურა. 2020 წლის ოქტომბრიდან განხორციელდა დამატებითი რესურსის მობილიზება კლინიკური სასტუმროების სახით, რომელიც არის შუალედური რგოლი ბინასა და სტაციონარში მკურნალობას შორის.[185]

[182] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2021 წლის 18 ივნისის წერილი №01/8868.
[183] ჩაღრმავებული ინტერვიუები სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელთან.
[184] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2021 წლის 18 ივნისის წერილი №01/8868.
[185] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2021 წლის 18 ივნისის წერილი №01/8868.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები დაკავშირებული იყო საჭიროების შემთხვევაში ჰოსპიტალიზაციის უზრუნველყოფასთან, 2020 წლის ნოემბერსა და დეკემბერში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი კრიზისი შეიქმნა. ამის პარალელურად არ გატარებულა კონკრეტული ღონისძიებები დახურული ტიპის დაწესებულებებიდან ბავშვებისა და თანამშრომლების ჰოსპიტალიზაციის ეფექტიანად სამართავად. მართალია, ბავშვების შემთხვევები, უმეტესად, ადგილზე იმართა, მაგრამ შედარებით ხშირი იყო აღმზრდელების ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი. მონიტორინგმა აჩვენა, რომ სახელმწიფო ზრუნვის მიმწოდებელი დაწესებულებებისათვის განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენდა ინფიცირების შემთხვევების მართვა.

- *„დღეები ველოდებოდით გადაყვანას საავადმყოფოში ნოემბრის თვეში. არანაირი შეღავათი არ იყო ჩვენზე, ვიხვეწებოდით ცხელ ხაზზე, სააგენტო საერთოდ არ გვპასუხობდა. სამინისტროს კონკრეტული პირების კეთილი ნების საშუალებით ხდებოდა დახმარება. თუმცა, მანამდეც გვქონდა მიწერილი ამაზე, რომ საჭიროების შემთხვევაში პრიორიტეტში ჩამსხდარიყვნენ აღმზრდელები, მაგრამ რეალურად ეს არ მოხდა"- სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი.*

სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებების მონიტორინგმა აჩვენა, რომ ყველგან, სადაც ვირუსი დადასტურდა, შემდეგ თითქმის ყველა ბავშვსა და აღმზრდელს შეხვდა. ამით კიდევ ერთხელ დასტურდება ის დიდი რისკი, რომელიც დახურული ტიპის დაწესებულებების შემთხვევაში დგას პანდემიის პირობებში და საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ მხარდაჭერას. ზოგიერთ დაწესებულებაში გამოვლინდა ბავშვების რეინფიცირების შემთხვევებიც.[186] ასევე, პანდემიის პირველი ტალღის დროს 12 ბავშვის მდგომარეობა დამძიმდა.[187] ერთ შემთხვევაში საჭირო გახდა ბავშვის კოვიდ სასტუმროში გადაყვანა, რაც, ბავშვის თქმით, მისთვის საკმაოდ რთული იყო.[188]

კოვიდის დაწესებულებებში, მართვის პროცესში, ერთ-ერთ დაწესებულებაში ასევე გამოიკვეთა ინფრასტრუქტურისა და არასაკმარისი სივრცის შემთხვევა. თუკი ერთდროულად რამდენიმე ბავშვი დაინფიცირდება, დაწესებულების სრულად შევსების გამო, ბავშვების იზოლირება შეუძლებელი იქნება.[189]

სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში, კოვიდ პანდემიის მართვის მიმართულებით, მნიშვნელოვანი საკითხი იყო გეგმური ტესტირება, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული ბავშვების ჯანმრთელობის უფლების დაცვასთან. მნიშვნელოვანია, რომ პანდემიის მეორე ტალღის დროს განხორციელდა ლაბორატორიული ქსელის მობილიზება და ტესტირება ხელმისაწვდომია 250-ზე მეტ ლაბორატორიასა და პირველადი ჯანდაცვის ცენტრში.[190] აღნიშნული რეგულაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან

[186] ჩაღრმავებული ინტერვიუები სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.
[187] მცირე საოჯახო ტიპის სახლი – 3 ბავშვი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა პანსიონატი - 9 ბავშვი.
[188] დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულება.
[189] ჩაღრმავებული ინტერვიუები სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელთან.
[190] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2021 წლის 18 ივნისის წერილი №01/8868.

საწყის ეტაპზე ტესტირების ჩატარება მხოლოდ შეზღუდული რაოდენობითა და ადგილებში იყო შესაძლებელი, ეს კი აფერხებდა ვირუსის მატარებელი ადამიანების დროულ გამოვლენას.

ტესტირების გაფართოებასთან ერთად, მნიშვნელოვანი სიახლე იყო ტესტირებას დაქვემდებარებულ პირთა პრიორიტეტულ პირთა ნუსხაში შემდეგი კრიტერიუმების დამატება: მცირე საოჯახო ტიპის სახლებში, მინდობით აღზრდაში, სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზიის მქონე ბავშვთა სახლებში, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ფილიალებში: ა) ჩარიცხული ბენეფიციარები და მომსახურე პერსონალი; ბ) ჩასარიცხი ბენეფიციარები, მომსახურებაში განთავსებამდე; გ) მომსახურებიდან დროებით გასული/გაყვანილი ბენეფიციარები, დაბრუნების დროს; დ) მომსახურებიდან არდადეგების დროს გაყვანილი ბენეფიციარები გაყვანისა და დაბრუნების დროს.[191] 2020 წლის ოქტომბრიდან[192] ასევე განისაზღვრა ზემოაღნიშნული პირების გეგმური, 14 დღეში ერთხელ ტესტირება.[193]

კვლევაში მონაწილე ყველა დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს ცვლილებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათთვის და ძალიან ეხმარებათ ვირუსის პრევენციაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, გამოიკვეთა გადაწყვეტილების პრაქტიკაში დროულ აღსრულებასთან დაკავშირებული სირთულეები.

- *„დადგენილებაში წერია, რომ 2 კვირაში ერთხელ უნდა გაიაროს 24-საათიან ზრუნვაში მოქცეულმა ბავშვმა და თანამშრომელმა, ასევე ბიოლოგიური ოჯახიდან როცა უკან ბრუნდება, ან სხვა სერვისში გადადის. თუმცა, არ კეთდება, თითქოს პროგრამა არ უშვებს, მერე გვთავაზობენ სწრაფ ტესტს, რომელიც ცდომილებას იძლევა“ - სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი.*

გეგმურ ტესტირებასთან დაკავშირებით სირთულე შეექმნა ასევე სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციას, რომელმაც რეგულაციის შესვლიდან მხოლოდ ორი თვის შემდეგ, სამინისტროს ჩარევის შედეგად, შეძლო თანამშრომლების გეგმური ტესტირების სისტემის გამართვა.[194] პრობლემა გამოიკვეთა მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრის შემთხვევაშიც, როდესაც არ სრულდება რეგულაციის ის ნაწილი, რომელიც დაწესებულებაში შეყვანილი ბავშვის ტესტირებას ითვალისწინებს. კერძოდ, პოლიციელებს ღამის საათებში მიჰყავთ ბავშვები, რომლებსაც ტესტირება არა აქვთ გავლილი.[195]

ვირუსის თავიდან ასარიდებლად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვაქცინაციას. უნდა აღინიშნოს, რომ იმ პირობებში, როდესაც 2021 წლის ივლისის მეორე ნახევრამდე ქვეყანაში არ იყო საკმარისი რაოდენობის ვაქცინა და დახურულ დაწესებულებებში

[191] “კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხისა და ჩატარების წესის ჩატარების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №975 განკარგულებაში შევიდა ცვლილება, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 5 აგვისტოს №1423 განკარგულებით.

[192] საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №975 განკარგულებაში 2020 წლის 6 ოქტომბერს შესული ცვლილება (საქართველოს მთავრობის №N1938 განკარგულება).

[193] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, 2021 წლის 11 ივნისის წერილი №07/4951.

[194] ჩაღრმავებული ინტერვიუები სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელთან.

[195] ჩაღრმავებული ინტერვიუები სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელთან.

მცხოვრები ბავშვები და მათი აღმზრდელები რისკ-ჯგუფებს წარმოადგენენ ვირუსის გავრცელების თვალსაზრისით, სახელმწიფო სამზრუნველო დაწესებულებები ვაქცინაციის პრიორიტეტულ გეგმაში არ მოხვდა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის ოფიციალური მიმართვის მიუხედავად, სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებების თანამშრომლების აცრა პრიორიტეტულ პირთა სიაში ვერ მოხვდა.[196]

- *„ვაქცინაციაში პრიორიტეტში არ ვართ, რაც ძალიან ცუდია. ძალიან დიდ რისკ-ჯგუფი ვართ, მთელ სისტემას გიშლის კოვიდი, გიწევს არანორმალურ მდგომარეობაზე გადაწყობა, ადამიანური რესურსიც პრობლემაა, აღმზრდელი რომ დაინფიცირდეს ყველა, ბავშვებთან არავინ რჩება, კოლაფსი გვექმნება" - სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი.*

ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების დაცვის და COVID-19-ის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად, კრიზისის მიმდინარეობისას, თბილისში გაიხსნა საკარანტინო სივრცე, სადაც თავსდებოდნენ ბავშვები, რომლებიც იმყოფებოდნენ მიუსაფარ ბავშვთა ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების გარეთ, დაუდგინდებოდათ კონტაქტები ან დაუდგენელი იყო მათი კონტაქტი.[197] ამ საკარანტინო სივრცეში მორიგეობდნენ მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში მომუშავე მობილური ჯგუფები.[198] საკარანტინო სივრცე 18 მიუსაფარ ბავშვს მოემსახურა.[199] მნიშვნელოვანია, რომ საკარანტინო სივრცე ორიენტირებული არ იყო ბავშვების საჭიროებებზე და კიდევ უფრო მეტად მძიმდებოდა ბავშვების ფსიქოემოციური მდგომარეობა, დამატებით კიდევ უფრო მეტი პრობლემა წამოვიდა გამოკეტილი ბავშვებისგან. შესაბამისად, დაწესებულებები მიუთითებენ, რომ ამის ნაცვლად, უშუალოდ მათ უნდა ჰქონდეთ სივრცე, სადაც შესაძლებელი იქნება ბავშვის განთავსება და რომლის გარემოც ნაკლებად სტრესული იქნება ბავშვისთვის. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ბავშვების საკარანტინო სივრცე ისევე იმართებოდა, როგორც სხვა სივრცეები და ნაკლებად შეეძლო ბავშვის საჭიროებების დაკმაყოფილება.[200] ასევე, გამოვლინდა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მიუსაფარი ბავშვები მხოლოდ იმიტომ მოათავსეს საკარანტინო სივრცეში, რომ კომენდანტის საათი დაარღვიეს.[201] კარანტინში ბავშვების მოთავსებამ ნეგატიური გავლენა მოახდინა მათ შემდეგ უფლებებზე: ჯანმრთელობის დაცვა და ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა (24-ე მუხლი) თავისუფლების უფლება (37 ბ), დისკრიმინაციის აკრძალვა (მე-2 მუხლი), ბავშვების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება (მე-12 მუხლი), გამოხატვის თავისუფლება (მე-13 მუხლი), სათანადო ინფორმაციაზე წვდომა (მე-17 მუხლი), ნებისმიერი სახის ძალადობისგან დაცვის უფლება (მე-19 მუხლი).

[196] ჩაღრმავებული ინტერვიუები სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელთან.

[197] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2021 წლის 18 ივნისის წერილი №01/8868.

[198] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს 2021 წლის 17 ივნისის წერილი № 07/5111.

[199] სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს 2021 წლის 8 თებერვლის წერილი № 07/842.

[200] ჩაღრმავებული ინტერვიუები სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელთან.

[201] ჩაღრმავებული ინტერვიუები სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელთან.

1.4.1. ფსიქიკური ჯანმრთელობა და ქცევითი სირთულეები

ბავშვების ვირუსისგან, და ფიზიკური ჯანმრთელობის დაცვის გარდა, პანდემიის პირობებში განსაკუთრებით აქტუალური გახდა მათი ფსიქიკური ჯანმრთელობა და რთული ქცევის მართვა. მუდმივმა იზოლაციამ და სოციალური კონტაქტების შეწყვეტამ, გაართულა ბავშვების ქცევის მართვა, ხშირი იყო აგრესიული ქცევა. ბავშვებს, რომელთაც პანდემიამდე ჰქონდათ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, კიდევ უფრო გაუმწვავდათ მდგომარეობა, ასევე იჩინა თავი ახალმა სირთულეებმა. ეს ყველაფერი წინასწარ იყო სავარაუდო და მოითხოვდა სახელმწიფოს შესაბამისი უწყებების დროულ ჩარევას. თუმცა შეფასებამ გამოავლინა, რომ ეს თემა ასევე სრულიად დაწესებულებების წარმომადგენლებზე იყო მინდობილი და სახელმწიფოს მხრიდან ეფექტიანი მხარდაჭერა არ ყოფილა. ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების გამართულად და უსაფრთხოდ მისაწოდებლად, COVID-19-ის პანდემიის პირობებში ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა სახელმძღვანელოებისა და პროტოკოლების ნაკრები „ფსიქიკური ჯანმრთელობა და COVID-19: კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი).[202] პროტოკოლი მოიცავს როგორც ფსიქიკური ჯანდაცვის სტაციონარულ სერვისებში, ისე სტაციონარს გარეთ არსებულ სერვისებში COVID -19 პირობებში პაციენტების უსაფრთხო მართვის სახელმწიფო სტანდარტებს. თუმცა, ეს სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების მხარდაჭერის ეფექტიან ზომად ვერ განიხილება, რადგან მხოლოდ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირებისათვის სერვისის მიწოდების დროს ვირუსის მართვაზე იყო მიმართული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფოს მიერ ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რადგან საგანმანათლებლო დაწესებულება მანდატურის სამსახურისთვის, რომელიც ბავშვების ფსიქოემოციურ მხარდაჭერას ეწევა, ნათელი იყო ის მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომელშიც ბავშვები აღმოჩნდნენ. მათი წარმომადგენლის თქმით, იმატა შფოთმა და შიშმა არასრულწლოვნებში.[203]

მნიშვნელოვანი პრობლემა გამოიკვეთა ფსიქიკური ჯანმრთელობის მართვასთან დაკავშირებულ მიდგომაში. კერძოდ, უმეტესად, როდესაც ბავშვს აქვს ფსიქიკური ჯანმრთელობის დიაგნოზი, ფაქტობრივად გამორიცხულია მასთან ფსიქოლოგის ონლაინ ინტერვენცია და თერაპიული მუშაობა და მხოლოდ 2 კვირა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში დაყოვნება და მედიკამენტების მიღება განიხილება ფსიქიკური ჯანმრთელობის მართვის სტრატეგიად.[204]

ბავშვების ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და ქცევის სირთულეებზე ისაუბრეს ყველა დაწესებულებაში, სადაც შეფასება განხორციელდა. ის დაწესებულებები, რომელთაც ეზოები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა ჰქონდათ, შედარებით ახერხებდნენ ბავშვების ქცევის მართვას გარე აქტივობების გამოყენებით. თუმცა, კიდევ უფრო რთული სიტუაცია შეიქმნა იმ მცირე საოჯახო ტიპის სახლებსა და მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრებ-

[202] ფსიქიკური ჯანმრთელობა და COVID-19, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, https://bit.ly/3gUknNZ.
[203] ჩაღრმავებული ინტერვიუ საგანმანათლებლო დაწესებულება მანდატურის სამსახურის წარმომადგენელთან.
[204] ჩაღრმავებული ინტერვიუები სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელთან.

ში, სადაც მსგავსი ინფრასტრუქტურა არ ჰქონდათ. ამის გამო, მოიმატა დაწესებულებებიდან გაქცევის მაჩვენებელმა, განსაკუთრებით, მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრების შემთხვევაში.[205]

> *„ეზო იყო ერთადერთი სივრცე, სადაც გადიოდნენ. იმ ბავშვებს, ვისაც ისედაც ჰქონდა გაქცევის მცდელობები, დაემატათ ახალი ქცევები. ამის ობიექტური მიზეზი იყო ის, რომ არა ეზო, არა სკოლა, არა მეგობრები. იყო ტანსაცმლის გადაყრის, კარადების დანგრევის შემთხვევები. ხშირი იყო ბავშვებს შორის კონფლიქტები და ფიზიკური დაპირისპირება. ბავშვები, ღამე რომ იძინებდნენ, მორიგეობდნენ, რომ ასაკით უფრო დიდ ბავშვს არ ეძალადა“ - სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი.*

სამწუხაროდ, იყო შემთხვევებიც, როდესაც დაწესებულებას ჰქონდა ეზო, მაგრამ არ იყენებდა მას და ბავშვები მთელი დღეები გამოკეტილები იყვნენ ოთახებში. მსგავსი შემთხვევა გამოვლინდა კოჯრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა პანსიონატში. ბავშვების უმეტესობას პანდემიამდე ჰქონდა ქცევითი სირთულე და ამას დაემატა დამატებითი შეზღუდვა. სერვისი მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, ბავშვები მთელი დღე გაკოჭილები არიან სკამზე და ერთადერი ჭამის პროცესია, როცა ვინმე მათ უახლოვდებათ, შესაბამისად, ადვილად ასახსნელია მდგომარეობის კიდევ უფრო დამძიმება.[206] თავად კოჯრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა პანსიონატის წარმომადგენლების თქმით, გაიზარდა ბავშვების ფსიქიატრიულ დაწესებულებებში გადაყვანის მაჩვენებელი და ასევე, ბავშვებს შორის კონფლიქტების მაჩვენებელი. ბავშვების ქცევის დამძიმება გამოვლინდა მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრისა და მცირე საოჯახო ტიპის სახლის შემთხვევებშიც. ამასთანავე, ამ ტიპის გართულებებმა თავი იჩინა იმ ბავშვებშიც, რომელთაც მანამდე მსგავსი გამოწვევები არ ჰქონიათ.

> *„ჩაკეტვის მომენტი იყო ძალიან რთული. ბავშვები გაღიზიანებულები იყვნენ ამ შეზღუდვით. დასაწყისში თითქოს კარგად წავიდა, მაგრამ ბოლოსკენ გაგვირთულდა მდგომარეობა, ველარ შეძლეს ჩაკეტილ მდგომარეობაში ყოფნა. ერთი გოგო არის რომელიც გაგვირთულდა ძალიან, ფიზიკურ აგრესიაზე გადავიდა, ურტყამდა ხელებს კედელს, ბავშვებზე ძალადობას ცდილობდა. მასზე დაგვჭირდა უფრო მეტი ენერგიის დახარჯვა. მერე ამ ჩაკეტვამ გამოიწვია ის, რომ როცა გაიხსნა, სახლში ველარ მოგვყავდა. მეგობრებთან უნდოდათ, პარკებში, სკვერებში, ერთიანად გავიდნენ გარეთ. მერე დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა, რომ სახლში შემოსულიყვნენ ხოლმე“ - სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი.*

საყოველთაო კარანტინმა, სწავლის ონლაინ ფორმატში გადასვლამ და სოციალური აქტივობებისგან ბავშვების მოწყვეტამ, დამატებითი პრობლემა გააჩინა მათი გაჯეტებზე დამოკიდებულების მიმართულებით. გარდა იმისა, რომ გაიზარდა ინტერნეტ ბულინგისა და ძალადობის რისკები, ამ ფაქტმა გავლენა იქონია ბავშვების ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზეც. სკოლა-პანსიონის ბავშვები მონიტორინგის დროს საუბრობდნენ ჯანმრთელობის პრობლემებზე, მათ შორის თვალის სხვადასხვა დაავადებების

[205] ჩაღრმავებული ინტერვიუები სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელთან;
[206] ჩაღრმავებული ინტერვიუები სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელთან;

გართულებაზე. ასევე, ამავე სკოლა-პანსიონის ბავშვების თქმით, მნიშვნელოვნად გაიზარდა კომპიუტერულ თამაშებზე მათი დამოკიდებულება, რამაც ძილის პრობლემები გამოიწვია[207]. სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი ასევე საუბრობს ინტერნეტზე დამოკიდებულების ორ შემთხვევაზე, რის გამოც საჭირო გახდა ბავშვების თერაპიულ პროგრამაში ჩართვა.[208]

1.5. კოვიდ-19 და თავისუფალი დროის დაგეგმვა, თამაშისა და დასვენების უფლება

პანდემიის საწყის ეტაპზე მიღებულმა ამკრძალავმა ზომებმა, რომლებმაც სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვები სრულად მოწყვიტა საზოგადოებასა და მეგობრებს, და მათ აღარ შეეძლოთ დაწესებულების ტერიტორიის დატოვება, დახურულ დაწესებულებაში ვირუსის ადვილად გავრცელების პრევენციის მიზნით, გაზარდა მათი თავისუფალი დროის დაგეგმვის საჭიროება, რომელიც დააბალანსებდა თამაშისა და დასვენების უფლებას.

თავისუფალი დროის დაგეგმვის, თამაშისა და დასვენების უფლების განხორციელების კუთხით, ერთ-ერთ პრობლემად გამოვლინდა ეზოს ინფრასტრუქტურის არარსებობა და/ან არასაკმარისად მოწყობის საკითხი. ასეთ დაწესებულებებში ბავშვებს არ შეეძლოთ დაკავებულიყვნენ ფიზიკური აქტივობებით, რაც დაეხმარებოდათ ახალ რეალობაში გამკლავებოდნენ არსებულ სირთულეებს. დაწესებულებების ნაწილმა გადაწყვიტა, ამ პრობლემის მოგვარებისთვის განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოთ, რათა ადგილზე-ვე ყოფილიყო შესაძლებელი ბავშვების ემოციური ვენტილაცია.[209]

პოზიტიურად უნდა შეფასდეს მცირე საოჯაცო ტიპის სახლში არსებული მიდგომები, სადაც ჩაკეტვის დროსაც ცდილობდნენ ბავშვების ქალაქგარეთ გაყვანას, ტყეში, ბუნებაში, სადაც უსაფრთხო გარემო იყო. ამაში მათ ხელს უწყობდათ საკუთარი ტრანსპორტი. გასვლით აქტივობებს აქტიურად იყენებენ მეორე მცირე საოჯახო ტიპის შემთხვევაშიც. მათი დაწესებულებები აწყობენ ბანაკებს, თუმცა ეს აქტივობები სეზონური ხასიათისაა. ასევე, სხვა, ბევრი დაწესებულებისგან განსხვავებით, აქტივობების მრავალფეროვანი ჩამონათვალი ჰქონდათ ერთ-ერთ მცირე საოჯახო ტიპის სახლში. კერძოდ, ყოველთვის აღნიშნავდნენ დაბადების დღეებს, უსმენდნენ მუსიკას, უყურებდნენ ფილმებს, ჰქონდათ სახატავები, გამოსაჭრელი მასალა, სამაგიდო თამაშები და თავსატეხები.

განსაკუთრებით მკაცრი რეგულაციები გამოიკვეთა კახეთის რეგიონში მდებარე ერთ-ერთ მცირე საოჯახო ტიპის სახლში. ბავშვების თქმით, გარეთ გასვლა სრულად ეკრძალებოდათ 2021 წლის მარტამდე, ხოლო მარტის შემდეგ მხოლოდ 2 საათი შეეძლოთ გარეთ გასვლა. ეს აკრძალვა განსაკუთრებით პრობლემურია, რადგან სახლს არა აქვს იმგვარად მოწყობილი ეზოს ინფრასტრუქტურა, რომელიც ბავშვებს პანდემიის გამო შექმნილ მდგომარეობას შეუმსუბუქებდა. მსგავსი მკაცრი აკრძალვები მოქმედებდა კახეთის რეგიონში მდებარე სხვა მცირე საოჯახო ტიპის სახლის შემთხვევაშიც. ბავშვების თქმით,

[207] ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ ბავშვებთან.
[208] ჩაღრმავებული ინტერვიუები სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელთან.
[209] ჩაღრმავებული ინტერვიუები სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელთან.

მეზობლებთან ზოგადად არ კონტაქტობენ. ახლაც მარტო სკოლაში და მაღაზიაში დადიან. ზოგადად, პანდემიამდეც კვირაში ერთხელ ან ორჯერ შეეძლოთ დაწესებულების ტერიტორიის დატოვება.[210]

შეფასების შედეგების მიხედვით, პანდემიის დაწყებიდან დღემდე, ბავშვების ძირითადი გასართობია კომპიუტერი, ან ტელეფონი. ეს პრობლემა განსაკუთრებით გამოიკვეთა კახეთის რეგიონში მდებარე მცირე საოჯახო ტიპის სახლებში.

- *„უფრო მეტად გავხდით კომპიუტერზე დამოკიდებულები. არ გვაქვს არანაირი აქტივობები. ვირუსის დროს სულ ჩაკეტილები ვიყავით. ასევე, არ გვაქვს არანაირი გასართობი საშუალება - ბურთი, ბადმინტონი და სხვა" - სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვი;*
- *„ინტერნეტით ვერთობით. ახლა, ბოლო დროს, საღამოს გარეთაც გავდივართ, ადრე ესეც არ იყო. ხანდახან კვირაში ერთხელ ვწუწაობთ ახლა" - სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვი;*
- *„ძირითადად ვერთობით ტელეფონითა და კომპიუტერით. ხანდახან სამაგიდო თამაშიც შეიძლება ვითამაშოთ" - სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვი;*
- *„პატარებზე უფრო იმოქმედა, ვისაც ინტერნეტი არა აქვს, რომ გართობილიყო. მეგობრები დიდად არ გვყავს, არც სამეზობლოში და არც სკოლაში. ჩვენი ძირითადი გასართობია ინტერნეტი. ხანდახან ეზოში ვთამაშობთ, ბურთი გვაქვს და ჰამაკი" - სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვი.*

დაწესებულებების ნაწილში პრობლემას წარმოადგენს გასართობი ნივთების არარსებობა ან ნაკლებობა. ერთ-ერთ მცირე საოჯახო ტიპის სახლის ბავშვები აღნიშნავენ, რომ ეზოში არაფერი აქვთ, სურვილი აქვთ ჰქონდეთ ტენისის მაგიდა, ბადმინტონი ან ბურთი. მათი თქმით, ბურთი შარშან გაუსკდათ და იმის მერე არ ჰქონიათ.

1.6. კოვიდ-19 და ოჯახთან ურთიერთობის შენარჩუნება

2020 წლის მარტს გამოცხადებული საყოველთაო კარანტინის პირობებში, როდესაც ჩაიკეტა დახურული ტიპის დაწესებულებები, აიკრძალა საქალაქთაშორისო გადაადგილება და ასევე, შეჩერდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა, რისკის წინაშე დადგა სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების ოჯახებთან ურთიერთობის შენარჩუნება. პანდემიის საწყის ეტაპზე, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს რეკომენდაციით შეჩერდა ბავშვების იმ მშობლებთან ვიზიტით გაშვება, რომლებიც ოფიციალურად იყვნენ დარეგისტრირებულები გამყვან მშობლებად. ასევე, ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით დაწესებულებების დახურვის პირობებში, მშობლები არ დაიშვებოდნენ დაწესებულების ტერიტორიაზე.

[210] შეხვედრა სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ ბავშვებთან.

საერთაშორისო რეკომენდაციების მიხედვით, ბავშვის ზრუნვაზე პასუხისმგებელმა პირებმა ბავშვებს უნდა მიაწოდონ დეტალური ინფორმაცია ასეთი შეზღუდვების შესახებ და მაქსიმალურად ეცადონ, ასეთი შეზღუდვები აუცილებლობის გარდა არ გამოიყენონ. მათ შორის, რეკომენდაციების მიხედვით, COVID-19-ის პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა, შესაძლებელია, გამოიწვიოს ალტერნატიულ ზრუნვის ფორმებში ჩართული ბავშვების კონტაქტის გაძნელება ოჯახებთან და მეგობრებთან. ალტერნატიულ ზრუნვაში მცხოვრებმა ბავშვებმა აუცილებელია შეინარჩუნონ წვდომა მომსახურებებზე, რომლებიც დაეხმარებიან ამ პრობლემების მოგვარებაში, თუ გამოვლინდება მათ სამზრუნველო დაწესებულებაში.[211]

საქართველოს შემთხვევაშიც, ოჯახთან ურთიერთობის შეზღუდვამ დაამძიმა ბავშვების მდგომარეობა, მათ უმეტესობას შეეცვალა ქცევა.

- *„მეგობრებს ვერ ვნახულობდი, მარტო ვგრძნობდი ძალიან თავს. დედასაც ვერ ვნახულობდი, ცუდად ვიყავი ძალიან" - სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვი.*

ზემოაღნიშნული პრობლემის გამო, შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამოსასწორებლად, დაწესებულებებმა ინდივიდუალურად დაიწყეს შემთხვევების განხილვა. მაგალითად, ერთ-ერთმა ორგანიზაციამ განაცხადა, რომ მშობლებს დაწესებულების ტერიტორიაზე უშვებდნენ, ნიღბით და დისტანციის დაცვის საშუალებით ხდებოდა მშობლებთან კონტაქტის შენარჩუნება. თუმცა, მსგავსი მიდგომა არ შეუმუშავებია ყველა დაწესებულებას. ნაწილი აქტიურად იყენებდა სატელეფონო კომუნიკაციას. მაგალითად, თუ პირადად არ ჰქონდათ, ბავშვები აქტიურად იყენებდნენ სპეციალურად გამოყოფილ ტელეფონს, რომლის საშუალებითაც შეეძლოთ ყოველდღიური კონტაქტი შეენარჩუნებინათ მშობლებთან. მდგომარეობა შეიცვალა მომდევნო ეტაპზე, როდესაც შეზღუდვები მოიხსნა. დღეს უკვე უმეტეს შემთხვევაში ხდება ბავშვების ბიოლოგიურ მშობლებთან კონტაქტი და ოფიციალური ნებართვის პირობებში ბავშვების დროებით გაყვანა. თუმცა, განსხვავებული მდგომარეობაა აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე ერთ-ერთ მცირე საოჯახო ტიპის სახლში, სადაც პანდემიის დაწყებიდან სახალხო დამცველის რწმუნებულების ვიზიტის პერიოდისთვის, ბავშვებს არ უნახავთ მშობლები და მხოლოდ ტელეფონის საშუალებით უკავშირდებიან.

1.7. ძირითადი მიგნებები

- სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებს, შიდა რეგულაციებში, მათ შორის, შინაგანაწესში არ შეუტანიათ ცვლილებები პანდემიის მართვასთან დაკავშირებით
- პანდემიის მართვისა და სახელმწიფო ზრუნვაში მცხოვრები ბავშვების ჯანმრთელობის უფლების დაცვის მიზნით მიღებული რეგულაციები, მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციებისთვის იყო ძალიან ზოგადი, არაგანჭვრეტადი და არ იყო მორგებული მომსახურების ტიპზე (მცირე საოჯახო ტიპის სახლი, დიდი ზომის დაწესებულება, მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფარი, სოციალური საცხოვრისი). ასევე, ეს რეგულაციები დაწესებულებებს საკმაოდ გვიან მიეწოდათ

[211] The impact of COVID-19 on children and young people, The Children's Society, https://bit.ly/3qrK5fN.

- პანდემიის ეფექტიანად სამართავად შემუშავებული რეგულაციების პრაქტიკაში აღსასრულებლად, სახელმწიფოს მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების მატერიალური მხარდაჭერა არ გამოუჩენია და მათი დახმარება მხოლოდ ერთჯერადად სადეზინფექციო საშუალებების გადაცემით შემოიფარგლა
- პანდემიის საწყის ეტაპზე სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებს პრობლემა შეექმნათ გადაადგილებაზე, მედიკამენტებსა და საკვების მიწოდებაზე
- პანდემია მძიმე ფინანსურ ხარჯებთან აღმოჩნდა დაკავშირებული დაწესებულებებისთვის და საჭირო გახდა მათ მიერ დამოუკიდებლად, სხვადასხვა ფონდების მოძიება, რადგან სახელმწიფოს მიერ გაწეული დახმარება არ იყო საკმარისი
- ყველა დაწესებულება არ იცავს პანდემიის მართვის მიზნით შემუშავებულ რეგულაციებს, მეორე მხრივ, ზოგიერთ დაწესებულებაში განსაკუთრებული სიმკაცრით იცავენ წესებს, რაც ბავშვების სრულ იზოლაციაში გამოიხატება. ორივე შემთხვევა ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესს
- დაწესებულებებში, სადაც გამოვლინდა ვირუსის შემთხვევა, ფაქტობრივად, ყველა ბავშვსა და თანამშრომელს დაუდასტურდა მოგვიანებით ვირუსი. სირთულე წარმოქმნა დაწესებულებებში ვირუსის დადასტურების შემდეგ თანამშრომლების ჰოსპიტალიზაციის საჭიროებამ
- სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულების თანამშრომლები და ბავშვები ექვემდებარებიან სავალდებულო ტესტირებას 2 კვირაში ერთხელ. თუმცა, რეგიონების მიხედვით, ტესტირების დროულად ჩატარებასთან დაკავშირებით, გარკვეული სირთულე გამოვლინდა. დამატებით, სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებების თანამშრომლები ვერ მოხვდნენ ვაქცინაციის პრიორიტეტულ პირთა სიაში
- ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების დაცვისა და COVID-19-ის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად, თბილისში შექმნილმა კრიზისულმა ცენტრმა ვერ შეძლო თავისი ფუნქციის შესრულება. ცენტრი არ იყო ორიენტირებული ბავშვების საჭიროებებზე
- დაწესებულების გარე ინფრასტრუქტურის და სოციალური აქტივობების დაგეგმვასთან დაკავშირებული გამოწვევების გამო, განსაკუთრებით დამძიმდა ბავშვების ფსიქოემოციური მდგომარეობა
- საყოველთაო კარანტინმა და სოციალური აქტივობების შეზღუდვამ გაართულა ბავშვების ფსიქოემოციური მდგომაროება. გარკვეულ შემთხვევებში, ბაშვები მეტად გახდნენ ინტერნეტზე დამოკიდებულები, რის გამოც მათ ნაწილს თერაპიულ მომსახურებებში ჩართვა დასჭირდა
- კოვიდვირუსისა და პანდემიის შესახებ ბავშვების ინფორმირების მიზნით, სახელმწიფოს არ ჰქონია შემუშავებული კონკრეტული მიდგომები, რის გამოც დაწესებულებებმა საკუთარი რესურსებითა და გარე პირების დახმარებით შეძლეს ამ საკითხთან გამკლავება. განსაკუთრებით პრობლემური აღმოჩნდა ბავშვებისათვის გასაგები ფორმით ინფორმაციის მიწოდება

- საყოველთაო კარანტინის გამოცხადებამ რისკის წინაშე დააყენა ბავშვების სასიცოცხლო მომსახურებებზე წვდომის საკითხი. დღის ცენტრებისა და უფასო სასადილოების დახურვამ ბავშვების საკვებით უზრუნველყოფა შეუძლებელი გახადა
- პრობლემას წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულება მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების გაწევა რეგიონში, რადგან მომსახურება ძირითადად ონლაინ რეჟიმზე გადავიდა, ინტერნეტზე წვდომა კი, ყველა ბავშვს არ ჰქონდა
- საკმაოდ დაბალი იყო სოციალური მუშაკის ჩართულობა პანდემიის მიმდინარეობის დროს სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების უფლებრივი მდგომარეობის შეფასების მიმართულებით; შესაბამისად, ბავშვების უფლებადარღვევის შესაძლო ფაქტებისა და ბავშვების სპეციფიკური საჭიროებების გამოვლენა რიკსის ქვეშ დადგა, ამასთანავე, პანდემიის პირობებში ზოგიერთ დაწესებულებას საერთოდ არ ჰყავდა სოციალური მუშაკი, როდესაც მათი როლი განსაკუთრებით აქტუალური იყო ისეთი სერვისების შემთხვევაში, როგორიცაა მიუსაფარი ბავშვების ქვეპროგრამა და სოციალური საცხოვრისი.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- გადამზადდნენ ბავშვთან მომუშავე სერვისის მიმწოდებელი სპეციალისტები ონლაინ სივრცეში მომსახურების გაწევის საკითხებზე
- შემუშავდეს ბავშვებთან კომუნიკაციის სტრატეგია, რომელიც აქცენტს გააკეთებს გლობალური პანდემიის პირობებში ბავშვების ინფორმირებაზე მათი ასაკის გათვალისწინებით და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ რეალურ ჩართულობაზე. ასევე, უზრუნველყოფილი იყოს ბავშვებთან კომუნიკაციის სტრატეგიის ეთნიკური უმცირესობების ენებზე მისაწვდომობა
- რელევანტურ უწყებებთან და აქტორებთან მჭიდრო თანამშრომლობით, შეიქმნას კრიზისული სიტუაციების მართვის ინსტიტუციური მექანიზმი, რომელიც ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისა თუ ღონისძიების გატარების დროს ბავშვების უფლებაზე სავარაუდო ზეგავლენის შეფასების მექანიზმს გამოიყენებს
- უზრუნველყოფილ იქნას ხელისუფლების ყველა შტოსა და დონეზე ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც, კრიზისულ სიტიაციებში, რელევანტური გადაწყვეტილების მიღებისას თავის თავში მოიცავს ბავშვების მონაწილეობისა და მათი აზრის მოსმენის/გათვალისწინების საკითხებს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- პანდემიის მართვის მიზნით შექმნილი რეკომენდაციებისა და სტანდარტების შემთხვევაში, გაითვალისწინოს დაწესებულებების სპეციფიკა. კერძოდ, დიდი ზომის დაწესებულებების, მცირე საოჯახო ტიპის სახლებისა და მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრების კონკრეტული მახასიათებლები, ასევე, ბავშვების სხვადასხვა ჯგუფების საჭიროებები (შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებში, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები)
- სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებების თანამშრომლები მოექცნენ ვაქცინაციის პრიორიტეტულ პირთა სიაში.

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს:

- შეიქმნას პროფესიონალების მიერ დაკომპლექტებული მულტიდისციპლინური ჯგუფი, რომელიც უშუალოდ იქნება პასუხისმგებელი სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებების პროფესიულ და ინფორმაციულ მხარდაჭერაზე, გლობალური პანდემიის პირობებში

- პანდემიის პირობებმში, ბავშვის შესაძლო უფლებადარღვევის მომატებული რისკების გამო, გაიზარდოს ფსიქოლოგების რაოდენობა სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში და მოხდეს მათი გადამზადება, ასეთი საჭიროების შემთხვევაში, სერვისის დისტანციურ მიწოდებაზე
- პანდემიის პირობებში, ონლაინ სოციალურ და სარეაბილიტაციო სერვისების მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებები სრულად აღიჭურვოს ინტერნეტითა და შესაბამისი ტექნიკით; ასევე, დაწესებულებაში ბავშვების იზოლაციის საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ფინანსური რესურსები გამოიყოს სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებების ეზოს ინფრასტრუქტურის მოსააწყობად და ბავშვების სოციალური აქტივობებისათვის საჭირო რესურსებით უზრუნველსაყოფად
- მხოლოდ უკიდურესი საჭიროებიდან გამომდინარე შეიზღუდოს სოციალური მუშაკის ვიზიტი დაწესებულებაში, ყველა სხვა შემთხევაში, სოციალური მუშაკი ვიზიტებს უნდა ახორციელებდეს ბავშვთა რეზიდენტულ დაწესებულებებში და უნდა ჰქონდეს უშუალო და ხშირი კომუნიკაცია სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ არასრულწლოვნებთან.

დანართი

დანართი 1 - კვლევის ფარგლებში განხორციელებული ვიზიტები და შეხვედრები

კვლევის ფარგლებში მონახულებული საჯარო სკოლები და სკოლა პანსიონატები

- დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შატილის სკოლა-პანსიონი
- დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს სკოლა-პანსიონი
- დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღაროსკარის სკოლა-პანსიონი
- ახალციხის №7 სკოლა-პანსიონი ქუთაისის №45 საჯარო სკოლა-პანსიონი
- ჭიათურის №12 საჯარო სკოლა-პანსიონი
- სამტრედიის №15 საჯარო სკოლა-პანსიონი
- თბილისის №198 საჯარო სკოლა
- თბილისის №200 საჯარო სკოლა
- თბილისის №202 საჯარო სკოლა
- თბილისის №203 საჯარო სკოლა
- გორის №5 საჯარო სკოლა
- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლა
- წალკის №1 საჯარო სკოლა
- წალკის მუნიციპალიტეტის დაბა თრიალეთის საჯარო სკოლა
- მარნეულის №5 საჯარო სკოლა
- ამრახ ასლანოვის სახელობის მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ თაზა-კენდის №1 საჯარო სკოლა.

სოციალური საცხოვრისები

- თბილისის ორხევის სოციალური საცხოვრისი.

კვლევის ფარგლებში მონახულებული დედათა და ბავშვთა თავშესაფრები

- ხაშურში ა(ა)იპ საზოგადოება „ბილიკის" დედათა და ბავშვთა თავშესაფარი.

კვლევის ფარგლებში მონახულებული ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრები

- თბილისის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი)
- გორის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი)
- სიღნაღის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი)
- ბათუმის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი)
- ქუთაისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი).

კვლევის ფარგლებში მონახულებული მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრები

კვლევის ფარგლებში ვიზიტი განხორციელდა სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრულ მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში რეგისტრირებულ ყველა მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფარში, როგორც დღის ცენტში, ისე სადღეღამისო თავშესაფარში.

კვლევის ფარგლებში მონახულებული მცირე საოჯახო ტიპის სახლები

კვლევის ფარგლებში ვიზიტი განხორციელდა სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრულ ფარგლებში რეგისტრირებულ უმეტესობა მცირე საოჯახო ტიპის სახლში.

კვლევის ფარგლებში მონახულებული ლიცენზირებული დიდი ზომის დაწესებულებები

კვლევის ფარგლებში ვიზიტი განხორციელდა ყველა ლიცენზირებულ დიდი ზომის დაწესებულებაში, გარდა ნინოწმინდის წმინდა ნინოს ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატისა.

შეხვედრები სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან

- სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სოციალური მუშაკები
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
- საქართველოს პროკურატურა
- სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური.

შეხვედრები მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან

- საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი
- ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი, „საქართველოს კარიტასი"
- საზოგადოება „ბილიკი"
- საქართველოს ბავშვები
- „ბავშვი და გარემო"
- „დივაინ ჩაილდ ფაუნდეიშენ ოფ ჯორჯია."